ელექტრონული ანთოლოგია
მოზარდებისთვის



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

სამოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი
CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE

დანაშაულის
პრევენციის
ცენტრი

ახალი ელექტრონული ანთოლოგიისთვის ქართველი მწერლების მოთხრობები, ლექსები, იგავები და ესსეები თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა შეარჩიეს და მხატვრულად გააფორმეს.

წიგნზე მუშაობის პროცესმა საშუალება მოგვცა, გვემეგობრა მოზარდებთან; გვესაუბრა მათთან ერთად ღირებულებით თემებზე, ქართველ მწერლებზე, ლიტერატურაზე; დავხმარებოდით მათ წიგნიერებისა და კომპიუტერული წიგნიერების უნარების განვითარებაში.

ახლა, როცა ელექტრონული წიგნი მზად არის, გვინდა, წიგნზე მომუშავე ახალგაზრდების ჯგუფს მივულოცოთ წარმატება და სამომავლოდ კიდევ ბევრი გამარჯვება ვუსურვოთ.

წიგნის რედაქტორები
ია ანთაძე
თამარ ჩხაიძე

პროექტი "ახალი ელექტრონული ანთოლოგია მოზარდებს" დაფინანსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში

თბილისი, 2015 წელი

წიგნზე იმუშავეს:

აკაკი გუმბერიძე - გალაკტიონი („დღეები ბრუნავს, ვით კამათელი“), ნიკო გომელაური („მღვდლებმა მითხარით, ან წარმართებმა“)
გვანცა ნაზარიშვილი - ერლომ ახვლედიანი „ვანო და ნიკო და ვალი“, ვაჟა-ფშაველა „დღეს ვიცინი“
დიანა ბენაშვილი - ნოდარ დუმბაძე „ზუსტად 8 საათზე“, რევაზ ინანიშვილი „ლამაზი ცრემლი“
თათა აფრიდონიძე - აკა მორჩილაძე „უპატრონო ძაღლების პირადი ცხოვრება“, გურამ რჩეულიშვილი „სიყვარული მარტის თვეში“;
ირაკლი ჩაჩხიანი - მანანა მენაბდე „ამბავი პირველი“, სულხან-საბა ორბელიანი „თავტაფიანნი“
ამირან ალადაშვილი - გურამ რჩეულიშვილი „ფეხბურთი იწყება“
ბექა მუყასაშვილი - გალაკტიონი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, მუხრან მაჭავარიანი („ვითარცა მტკვარი“)
ლიკა რობაქიძე - გურამ დოჩანაშვილი „პირველი კონცერტი“
ნათია მათიკაშვილი - გოდერძი ჩოხელი „უმისამართო წერილი“
ნიკოლოზ მეძმარიაშვილი - გალაკტიონი „მესაფლავე“
ალექსი ნაჭყებია - ვაჟა-ფშაველა „გასამართლებული ჩიბუხი“
ბესარიონ გულბანი - გურამ დოჩანაშვილი „მუსიკოსი“
ბექა თოლორდავა - კოტე ყუბანეიშვილი („ფანჯრის რაფაზე იდგა ალოე“), („როცა სიბნელე ირგვლივ სრულია“)
დავით მოლაშხია - რეზო თაბუკაშვილი („მშვიდობას ვეტყვი, მალე ქართულ ზეცის საფირონს“), შარლოტა კვანტალიანი „სანამ დედა ცოცხალია...“
ზურაბ დანელია - ნიკო გომელაური („ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულა“)
თამარ წუწუნავა - გურამ რჩეულიშვილი „დათუნა“, ნიკო გომელაური („როგორი იყო აბა რა ვიცი“)
მამუკა ირემაშვილი - გალაკტიონი „პირველი მაისი“, მუხრან მაჭავარიანი („ვინც კი, საერთოდ, რაიმეს უცდის“)
რეზი გოგიაშვილი - ილია ჭავჭავაძე „ღამე“, ტარიელ ჭანტურია „ლექსპრომტი ზეს“
ლუკა ხრიკული - კონსტანტინე გამსახურდია „ზღვის ფერი გაქვს თვალები და... თავად ჰგავხარ... ზღვას...“, მუხრან მაჭავარიანი „საქართველო“, გიორგი საჯაია („მთვარე - ძაღლიშვილი, ისე გაიტრუნა“)
ვადო ცომაია - აკაკი წერეთელი „აღმართ-აღმართ“
ქეთევან მიქაბერიძე - ნოდარ დუმბაძე „Hellados”
გიორგი ქარცხაია - ანა კალანდაძე („ფეხი დამადგით“)
ზაზა კალაშოვი - მანანა ჩიტიშვილი „არ დამემდურო“
მირიან ბერიძე - ვაჟა-ფშაველა „დამსეტყვე, ცაო“

სულხან-საბა ორბელიანი
თქვა აქიმმა:
თავტაფიანნი

მე სომხითის მეფისა აქიმი ვიყავ. მასთან ვჯე. ერთი შემცოდე კაცი მოიყვანეს. მეფემ მისის თავის წარკვეთა ბრძანა. მე მცირედი დავაყოვნე, მუნვე წამალი შევაგებე. რა თავი მოჰკვეთეს მას კაცს, იგი წამალი ყიას ჩავასხი და ტაფა ყელზე დავაკარ. აღარ მოკვდა კაცი იგი და თავის ნაცვლად ტაფა ება. სიკვდილს უკან სამი-ოთხი შვილი ეყოლა და თავი არც ერთს არ ება და წვრილი ტაფები ებნეს თავთა ნაცვლად.



ილია ჭავჭავაძე

ღამე

როცა ყაყანი ქვეყანისა სრულად მიწყდება
და აღარ ისმის ბოროტების ხმა მოსაწყენი,
როს მძინარს სოფელს კამარა ცის ზედ გარდეშლება, -
სამხრეთის ღამევ, მაშინ მიყვარს ყურება შენი!
[1857-1861 წწ.]

აკაკი წერეთელი - აღმართ-აღმართ

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა;

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ
მაშინა.

შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა
დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).

ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ
მიწა მე,
ვსთქვი: "ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად
მიწამე!"

და ვიფიქრე "ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას
სადარი?"

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას
ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: "მტერს როგორ
მონებდა?

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი…
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს
ისარი!"

მივაძახე: "ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!"

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი
ნეტარად?

ჩემო თავო! ვეღარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა
მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და
ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა, მარად ის!
ხელ-დაკრებით განისვენე მარადის!

დამსეტყვე, ცაო

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლეინებ
მოზღვავებულის ავითა!..
განა მარტო ვარ ამქვეყნად,
სხვაც მრავალია ჩემფერა,
ვისაც არც ტარასტა სწყალობს,
წყევლას უბარებს ტერტერა.
ის ვიცი, მითი ვნუგეშობ, –
გულიც მან გამიერთფერა.
ხან მინდორ-ჭალებს დავთელავ,
ხან შავაბიჯებ სერ-სერა;
დავუკრავ მჭვარტლიანს ჩონგურს
ათასჯერ, განა ერთხელა;
და ზედ დავმღერებ იმასვე,
რასაც დღესნამდე ვმღეროდი…
მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი
გულ-მკერდზე დაიწეროდი!
ბარო, წარბნი და წამწამნი
იმ სიტყვით დაიკეროდი!..
ისევ მტერი ვარ იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი, –
იგივე მიყვარს, იგივე,
ვისაც ამ სოფლად ვრჩეობდი.
სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს –
კეთილსა ვყვანდე ზიარად;
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად…
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, –
ჯერ ისევა ვარ ფხიანად.

[1903 წ.]

ვაჟა ფშაველა

გასამართლებული ჩიბუხი
(სურათი ფშავლების ცხოვრებისა)

I

გაითქვა. ღვაწლით შემოსილი, დიდებული, სახელოვანი იყო ეს ჩიბუხი. პატრონს, ღვთისუნელს, კიდეც იმიტომ უყვარდა და ეტრფოდა, პირიდან არ იშორებდა, მძინარეს გამოღვიძება უხაროდა, ადგომა ეხალისებოდა – ჩიბუხს მოვწევო. ისე საგანგებო ტკბილეულობა, სურნელოვანი თაფლიანი ყვავილი – სასუტკა – როგორ დაატკბობდა, ასიამოვნებდა მწყემს ბალღს, როგორც ღვთისუნელს ჩიბუხი ანეტარებდა… ჰსუტავდა ჩიბუხს და თან თვალებსა ჰკულავდა. ყრილობაში, სახლში, გარეთ საქმეში, ყველგან და ყოველთვის, საცა ჩიბუხი იყო, ღვთისუნელიც იქ იყო თავის ტყავის, კინკრიხოზე დაკრულის ქუდით და სადაც ღვთისუნელი – იქვე ჩიბუხი თავის ავლადიდებით. „ბიჭო, გამახარე, არიქა, მამა-შვილობას, ცეცხლი მომიტანე!” – შვილიც დაუზარებლად მოურბენინებდა მუგუზალს… „დედაკაცო, ცეცხლი!” რა ექნა ან დედაკაცს, მის ცოლს ხვარამზეს, ქმრის ბრძანება არ აესრულებინა? დიაღაც ასრულებდა, ხოლო, როცა ცეცხლს მოუტანდა, თან ამ სიტყვებსაც მიაყოლებდა, ზედ დაატანდა: „აჰა, ჩაიწვი და ჩაიბუგე უარესად, როგორც ჩამწვარი ხარ და ჩაბუგული!”

– ჰმ, ვერ უყურებ მაგ სულელს! – წაიბუტბუტებდა ღვთისუნელი თავისთვინ. ამის მეტს არც ავს ეტყოდა, არც კარგს. გააჩაღებდა ჩიბუხს… ადის ბოლი, იკლაკნება, იშლება, იფანტება, იძაბება. ნეტარობს ღვთისუნელი, ათასიც რომ ეთქვა ცოლს, ჩიბუხს ვერ უღალატებდა, თუმცა კი, მართლაც, ჩამწვარ-ჩაბუგული იყო. ახალოხის წინა კალთები, ჩოხა, შალვარი ცეცხლისაგან ჰქონდა დაცხაული ჩიბუხის წევის დროს. ბევრჯელ კინაღამ არ დაიწვა კაცი. მაინც თავისას არ იშლიდა: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. ერთხელ მგზავრად მიმავალს ტანისამოსზე გაუჩნდა ცეცხლი და

თქვენს მტერს დაემართოს, რაც იმას დაემართებოდა, არაგვი რომ არ დასწრებიყო. მაშინათვე წყალს ეცა.
ხალხში ბევრი თქმულება იყო გავრცელებული ღვთისუნელსა და იმის ჩიბუხზე. სხვათა შორის იმასაც კი ამბობდენ: მკის დროს ღვთისუნელს ხელეურში ყალივნის ცეცხლი ჩაჰვარდნია და ხელეური დასწვიაო, ღვთისუნელი დამწვარაო და სხვა, მაგრამ თქმა თქმად დარჩა, ამბავი – ამბად, ღვთისუნელი ჩიბუხს შეჰრჩა, ჩიბუხი – ღვთისუნელს. დღესაც ისევ ცოცხალია და ცხოვლად ასრულებს თავის მოვალეობას ჩიბუხის წინაშე.
მეტისმეტად ესიამოვნება მგზავრად წასულს, შეჰხვდეს ვინმე, რომ ჩვეულებრივი გამარჯვება-გაგიმარჯოს, სალამ-ქალამის შემდეგ მიაგებოს ასეთი სიტყვა: „მოდი, ჩამოვსხდეთ, თითო ყალიონი მოვწიოთ!”
– ტალკვესი ხო გაქვის? – ეკითხება მგზავრს შინაურულად, ძმურად. რაკი ყალიონს გაჰმართავს, რამდენიც გნებავთ ელაპარაკე და ალაპარაკე, წასვლას ვეღარ გაიგებს. ხიდთან რომ მივიდეს, უეჭველად ხიდის ყურზე უნდა დაისვენოს, თუნდა დაღალული არ იყოს, და ჩიბუხი მოსწიოს. ეწევა ჩიბუხს და თან მდინარის ტალღებს ადევნებს თვალსა. რას ფიქრობს ამ დროს, ღმერთმა უწყის, მხოლოდ ეს ცხადია, ესიამოვნება.
მიდის დილით გარიჟრაჟზე ყანაში სამკალად. შესჩერებია თავთავებს, ჰხედავს ფხაზე ნამი პატარძლის ცრემლივით დაჰკიდებია, ესეც კაი საბუთია, შეისვენოს, ჩიბუხი გააკეთოს. „მოდი, ბარემ ერთს ყალიონს გავაკეთებ, მანამდე ყანაც შეიბერტყება, შეშრება, მჭელეურს ნამი აღარ შეჰყვება და მეც კარგა, გულიანად შეუტევ”, – ფიქრობს ღვთისუნელი თავის გუნებაში. თავზე კი ამ დროს ტოროლა დასტრიალებს, დაჰკივის, თუმცა ღვთისუნელი იმას ყურს არ უგდებს, არც ესმის გაბრუებულს მისი ჭიკჭიკი: „ადე, ღვთისუნელო, ადე, ძმაო, რა დროს ჩიბუხია, ნამი არ უშლის ყანას, გალესე ნამგალი და მოუსვი გულიანად; მომკილს ყანას არაფერი უშავს, აგერ ცხრათვალი მზე მოდის, დაჰხედავს, შეაშრობს; მერე უფრო დაცხება, მუშაობა გაგიძნელდება; ჩიბუხი არსად გაგექცევა, ყანა კი, შეიძლება, გაიქცეს: ხომ იცი, ცა თავზე დაჰყურებს!”
ერთხელ ღვთისუნელს დიდი უბედურება დაატყდა თავსა. თქვენთვის იქნება არაფერია, იმისთვის კი – დიდი უბედურება. მიჰხვდით? ვერა… ღვთისუნელმა ტყეში, ფიჩხის ჭრაში, ჩიბუხი დაჰკარგა, სადღაც ჩაჰვარდნოდა ის ვერანა. ეძება ღვთისუნელმა ბევრი, მაგრამ ვერას გახდა.
– ბიჭო, დავითო, გოგო, მარიამო, – უთხრა ღვთისუნელმა ვაჟს ცამეტი წლისას, ქალს ცხრისას, თავის შვილებს: – აბა, ერთი, მამაშვილობას მიიარ-მოიარეთ, იქნება მომიხელოთ ის ოხერი ყალიონი, გამიჭირდა, ვკვდები უყალივნობით. თქვენ უფრო თვალს აჭრევინებთ, გაჰყევით ამ ბილიკს, რაზედაც ე ფიჩხი გამოვატარე, იქნება მანდ სადმე ჩამივარდა. მაშ რა იქნა? ცამ ჩანთქა თუ დედამიწამ?
ბალღები მაშინვე ჩიბუხის ძებნას შეუდგნენ.
– რა საქმე გიჭირს ნეტავ, ბეჩავო, რაში გარგია, კაცმა იცოდეს, რაც საქმეს არ გაცდენს და არა გშრეტს, რო მისტირი იმ ოხერს ყალიონს? – უთხრა ბუზღუნით ცოლმა ხვარამზემ.
– შენ მაგისას არა გკითხავ, ე პური არ დასწვა, ნაცარი გადაუგრილე. შენც ახლა მე უნდა დამარიგო შენს ჭკვაში, დედაკაცობაში წილი უნდა ჩაიდვა და ის კი დაგვიწყებია: „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა კაცუნაო, ზოგს დედაკაცს – დედაკაცი, ზოგსა – დედაკაცუნაო?!” – მიუგო ქმარმა და თანაც თავზე ჩაჩი გვერდზე მოიგდო.
ხვარამზეს ბარემ უნდოდა პასუხზე პასუხის გაცემა, მაგრამ დასთმო, თანაც შაეცოდა ქმარი, ჩიბუხს მოკლებული, და თავადაც ღვთისუნელის დაკარგულ სიამოვნების ძებნას შეუდგა.
– ჰმ, ყალიონი და რა ყალიონი, ის ოხერი, ისა! – ბუტბუტებდა თავისთვის ღვთისუნელი და თან თვალი შვილების მოსასვლელ გზისაკენ ეჭირა. ბალღები მირბი-მორბოდენ ტყეში, გულმოდგინედ ეძებდენ მამის ჩიბუხს, მაგრამ ამაოდ, იმათ ისევ დედამ აჯობა. ხვარამზემ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი: როცა ღვთისუნელი ჩიბუხს მოსწევდა, უკან წელში ჩაიტანდა. მაშასადამე, მოისაზრა, თასმას, რომელიც ჩიბუხს ჰქონდა მობმული და კისერზე ჰქონდა გადაგდებული ღვთისუნელს, სხვა არაფერი გასწყვეტავდა, თუ არა ფიჩხი, ღვთისუნელის მოტანილი, ზიდილ-ჯაჯგურში. ამიტომ ხვარამზემ პირდაპირ ქმრის მოტანილს ფიჩხს მიჰმართა და იმას დაუწყო ჩხრეკა. იმედი არ

გაუმტყუნდა: მართლაც, ფიჩხში აღმოჩნდა ღვთისუნელის ბედნიერება. მხოლოდ ხვარამზემ ჩიბუხი ქმარს მაშინვე არ გამოუჩინა.
– მაშ, ეს მითხარ, კაცო, – ეუბნებოდა ხვარამზე ღვთისუნელს, – ჩიბუხი რო მოგიხელო, რამდენს გზას მოიტან ფიჩხს კიდევ?
– იქნება მაჰხელე? – სთქვა ღვთისუნელმა და სახეგაბრწყინებული წამოიჭრა ზეზე. – მაიტა. სადა გაქვს, რა უყავ?
– შენ რა გინდა, რაც უყავ? სთქვი, რამდენს გზობას მაიტან კიდევ?.. – ჰკითხა ცოლმა.
ღვთისუნელმა თავი ჩაჰკიდა და ჩაფიქრდა.
– რამდენსა? – სთქვა ბოლო დროს, – ერთსა.
– მაიტან სამსა? – განუმეორა ცოლმა.
– მოვიტან, მოვიტან, ოღომც ნუ მკლავთ უყალივნობით, სთქვა ღვთისუნელმა.
– კარგი, მაშ, ეხლა ეს მითხარ, შენის მკვდრების ცხონებასა, ყალიონი უფრო გიყვარს, თუ ჩვენა, შენი ცოლ-შვილი? – ეკითხებოდა კვალად ცოლი.
ღვთისუნელს წვერებში ჩაეცინა, ტუჩებზე ღიმილი შეუთამაშდა.
– ყალიონი, – უპასუხა ცოტა სიჩუმის შემდეგ, – ეგ მასიამოვნებს და თქვენ კი ჭირისა და ვაების მეტი არაფერი მაჩვენეთ; წინ მარტი მიჩან, უკან აპრილი, თავზე ქუდი აღარ შამრჩა და ფეხებზე – ქალმები. ბევრს ნუღარ მაყბედებ, მაიტა ჩქარა ი ოხერი ყალიონი, თორო, ხო იცი, მე ცოტა ნაფქვავი მაქვ, კიდეც გავჯავრდები.
– ოღომც შენ ნუ გაჯავრდები მაგაზე მეტად, აჰა! – უთხრა ხვარამზემ და თანაც ჩიბუხი გადასცა. – ჯვარი გეწეროსთ შენა და შენს ჩიბუხსა, ერთმანეთს შეგაბეროსთ, ტკბილად დაგაბეროსთ.
– ამინ და ეგრე იყოს! მაგას რა სჯობია! ღმერთმა შენც გიშველოს, დედაკაცო, და მუდამ ხალისიანად ცეცხლი მოგატანინოს, როცა შაგიკვეთო, – მიუგო ღვთისუნელმა და თან შეუდგა ჩიბუხის მართვას: სირაში რამდენჯერმე ჩაჰბერა და შეისუტა; მერე სათამბაქოდან ამოიღო წეკვის ნაგლეჯი და დაუწყო ხელისგულზე სრესა… ამ დროს ქშენით, პირზე ოფლგადამდინარი ბალღებიც მოვიდენ და გულმტკივნეულად განუცხადეს მამას: „ვერ მოვხელეთ, მამავ, ვერა! სუ დავიარეთ ეგ ტყე, ვეძებეთ გზა-გზის პირებზე და არსად იბადება!”
– გიშველათ ღმერთმა, შვილებო, ნუ შასწუხდებით, დედათქვენმა მოიხელა, აქ არი! – და უჩვენა უკვე გამზადებული ჩიბუხი, – თქვენ ეხლა ერთი ნიგზური (მუგუზალი) მომიტანეთ, სხვა არაფერი მინდა, – უთხრა მამამ შვილებს და ისინიც ბრძანების ასასრულებლად გაექანენ სახლისაკენ, ხოლო ღვთისუნელს თვალი კარებისაკენ ეჭირა და პირით ყალივნის სირას აწვალებდა.
ცეცხლიც მალე მოუვიდა და გაიჩარხა იმის საქმე. დაადო ჩიბუხს ცეცხლი. გააჩაღა ჩიბუხი. გაეხვია თამბაქოს ბოლში. ისე ჰგრძნობდა ამ დროს თავსა, თითქოს ღვთისუნელზე სული წმინდა გადმოსულაო.

II

საყდრის გალავანში კომლის კაცს მოეყარა თავი. დიდი ყატყატი იდგა: ზოგნი ფეხზე იდგნენ, სხვანი მხარ-თეძოზე შემოწოლილიყვნენ. სათათბიროდ დიდმნიშვნელოვანი საქმე გამოსჩენოდა ხალხსა და ეს საქმე უნდა გაერჩია, მისთვის თავის მსჯავრი დაედო. თებერვლის შუა რიცხვები იქნებოდა, გალავნის ძირზე მინაქრული თოვლის გროვა მოსჩანდა. ღვთისუნელს ზურგი შაექცია ხალხისთვის, გაბუტული იჯდა ხმაამოუღებლად და თვალებით თოვლს მისჩერებოდა, პირში ჩიბუხი ეჩარა და ნელ-ნელა ჰსუტავდა.
– ეხლა თქვენ იცით, როგორც გაასამართლებთ. მე ამის მეტს ვერას ვიტყვი: დავიღუპე, დავიქე. თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც დღე მე მადგა: რამოდენა საქონლის საჭმელი ჩალა და თივა ჩამეწვა-ჩამებუგა. კიდევ კარგი, საქონელი მაინც გადავარჩინეთ… საბძელში გოდორი იდგა, ერთი ცხრა-ათი კოდი ქერი ეყარა შიგ, ისიც ჩაიწვა. უღლებს, გუთანს, ფიწლებს, ნიჩბებს ვინღა ჩივის! სუყველა გაადნო ცეცხლმა. რა უყვა ამ ცივ ზამთარში? ან საქონელი სად მოვათავსო და ან რა ვაჭმიო? მართალია, მამასახლისს ელით, მაგრამ ტყუილად, მე მამასახლისი არაფერს მომიტანს და ვერც გზას მამცემს უთქვენოდ, – ეუბნებოდა ფარაჯაში გახვეული, ბანლის გარსაკრით

შემოსარტყული, თავზედ ხელსახოცწაკრული, ჯოხზე დაბჯენილი, ტირილის ხმაზე მოუბარი ბუთლია, – არ მინდა არავის შეწუხება, არც თქვენი, არც კიდევ მეზობლისა, მაგრამ რა ვქნა, ამ წყალწაღებულმა, რო არა ვთქვა და არ ვიჩივლო, მეც ერთი საწყალი კაცი ვარ, ცოლ-შვილის პატრონი!

– განა მაგას კი უნდოდა! მოუხდა ფათერაკი საქმე, მოუხდა! ახლა ხო არ დავარჩობთ, ან არ ჩავაქვავებთ? საწყალს თავადაცა სცხვენიან, აგერ პირდაპირ ვეღარ გვიყურებს, როგორ გვერიდება. უფრო სასმლის ბრალი იქნება, – გაისმა რამდენიმე ხმა გროვიდან.

– იმდენი ბრალიც არ იყო სასმლისა, თქვენი ჭირიმე, არა! სასმლის ბრალი კი არა, იმის ბრალია, რომ ეგ ბეჩავი მეტისმეტად ებრძვის მაგ წყეულს ყალიონს: დღე არ გააჩნია და ღამე, თორო დალევით იმდენიც არ დაგვილევია, გონი დაგვეკარგა. აღების ღამე იყო, ბერიკეები მომივიდენ სტვირით, ფანდურით, ლხინით, ჰაიჰუით. ღვთისა წინაშე, ძალიან მიამა, ბებრები, ბალღები სუ ერთმანეთში არეულიყვნენ. დავპატიჟე შინ, ვასმიე არაყი, ვაჭმიე პური, რაც ჩემი საწყლობა იქნებოდა. ღვთისუნელი აღარ გავუშვი, ჩემი ბრალია, მიმაჩნია, მინდოდა ერთად დრო გაგვეტარა, ამაძრახებს, ან ავს მეტყვის, ან კარგსაო, ვიფიქრე. ღვთისუნელმაც ხათრი არ გამიტეხა, დარჩა ჩემთან. როგორც ვიცით, ხინკალი მოვხარშეთ, ვახშამი ვჭამეთ. კარგა ხანს ვისხედით. დასწყევლოს ღმერთმა ის დღე და ის საათი! მოვიდა ძილის დრო, ღვთისუნელს შინ დავუგე ლოგინი. არაო, დაინიჟა, საბძელში ჩალა (ბურდო) იქნებაო, იქ წავალ, იქ დავიძინებ, თბილად ვიქნებიო. მეც აღარ ავუხირდი. დავაწვინე საბძელში და ბოლოს ეს გამოვიდა. – დაამთავრა ბუთლიამ სიტყვა და თანაც ღრმად ამოიოხრა. ხალხს გულში წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდა, დავა როგორც უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მიღებულ ძველადგანვე წესს საქმის გარჩევისას არა ჰღალატობდა.
– აბა, ერთი, ღვთისუნელს დავუძახოთ, იმასაცა ვკითხოთ, ვნახოთ ის რაღას იტყვის, იქნება – ბრალს არა კისრულობს, კაცებო? – გაისმა კვალად ხმები ხალხის გროვიდან. – „ღვთისუნელო, ღვთისუნელო! მოდი აქ ცოტა ხანს”. – ღვთისუნელი ადგილიდან არ იძვროდა, მინამ რამდენჯერმე არ დაუძახეს. როგორც იყო, ადგა წელში და მუხლებში მტვრევით ღვთისუნელი და წარსდგა ყრილობის წინაშე. დარბაისელთ ღიმილი მოსდიოდათ სახეზე ღვთისუნელის დანახვაზე და ჯეილები, რომელთაც ცალკე ჯგუფი შაედგინათ, სიცილით იხოცებოდნენ. ღვთისუნელი თავჩაქინდრული იდგა კრების წინაშე და დიდხანს ხმას არ იღებდა, ყალიონს ეხლა ხელში ატრიალებდა. ახალოხის, ჩოხის და ტყავის წინა კალთები სულ შემოსწვოდა, წამწამ-წარბ-ულვაში სულ ატრუსული ჰქონდა. ამის გამო ყველას სიცილსა ჰგვრიდა.
– მიკვირს, ძმობილო, რო სუ არ ჩამწვარხარ? – ჰკითხა ვიღამაც ხუმრობის კილოთი.
– განა გიჟი იყო, ჩამწვარიყო, დღესაც კიდევ ეტყობოდა თოვლზე მაგის ნაგორავალი, – გაიხუმრა მეორემ.
– დაილოცა ღმერთი, დაილოცა იმის სამართალი! – იძახოდა მესამე, – რაზე შავრცხვებოდით მთელი სოფელი და კაცი დაგვეწვებოდა?!
– ნეტავი ჩავმწვარიყავ, ისა სჯობდა, – წარმოსთქვა, როგორც იყო, ბოლო დროს ღვთისუნელმა, – მოვრჩებოდი ამოდენა დავიდარაბას და ვაი-ვაგლახს, აღარც თქვენ დაჰღონდებოდით, აღარც მე და აღარც ეს საწყალი ბუთლია. მე ერთს რასმე გთხოვთ, ჩემო ძმებო და მეზობლებო, კარგა იფიქროთ, აიღ-დაიღოთ. მართალია, მე მივაყენე ზარალი ბუთლიას, იმ ღამეს რომ მე იქ არ მივხისფეხე-ბულიყავ, ამ კაცს საბძელი და ბოსელი არ დაეწვებოდა. მაგრამ ბუთლიას ბრალიც კია, – რა უნდოდა, – წავხირებულიყავ შინა; აღარ მამეშვა, არ შაიძლება, თუ ძმა ხარ, დარჩიო. ან მაგას რა აბრძოლებდა, მაგ დალოცვილსა? როგორც მოვხისფეხდი, ისევ ისრე წავხისფეხდებოდი – ეს საქმე არ მოხდებოდა. აღარ მამეშვა, და ბოლოს კი ასე გამოვიდა საქმე. ღმერთმაც იცის, თქვენც კარგად იცით, ბუთლიასაც ეჭვი არა აქვს, რომ მე ეგ ჯიბრით და შურისძიებით არ დავწვი. ათასჯერა ვწოლილვარ საბძელში, ჩალაში, ყალიონიც მამიწევია, მაგრამ იქ ცეცხლი არ გაჩენილა. რაღა მაგის საბძელში გაჩნდა ცეცხლი, თუ ერთი რამ მიზეზი არ იყო, თუ წერა არ იყო. – ღვთისუნელმა როცა სიტყვა „წერა” ახსენა, ხალხმა ყურები ჩამოყარა, ღვთისუნელმა ეს ცხოვლად შეამჩნია, გული მოეცა, უფრო გამხნევდა. იქამდის გამხნევდა, რომ ჩამოჯდა კიდეც, სათამბაქოვე ამოიძრო ქამრიდან და

ჩიბუხს მართვა დაუწყო; თანაც განაგრძო: – ახლა ესეც იფიქრეთ, თქვენ გენაცვალოსთ ღვთისუნელი, მე რო მართლა ჩამვწვარიყავ, ვის უნდა ეზღო ჩემი თავსისხლი? ხო უნდა დაჰბრალებოდა ბუთლიას, რადგანაც მაგან დამაბრუნა ძალად შინა. მაშინ ხომ ყველას უნდა გეთქვათ: სუ ბუთლიას ბრალია! იმ აღების ღამეს ღვთისუნელი რო არ დაებრუნა, არ დაეთრო, კაცი არ დაიწვებოდაო. მაგრამ ესეც უსამართლობა იქნებოდა. მე, დაილოცა ღმერთი, არ დავიწვი და რის ბრალია? ესეც იმავე „წერისა". აბა კარგა იფიქრეთ, თუ ასე არ არი?
ხალხი უფრო ღრმად ჩაფიქრდა და ღვთისუნელიც სრულიად გამარჯვებულად გრძნობდა თავსა, მაგრამ უცებ აღმოჩნდა ხელის შემშლელი „გარემოება", ეს „გარემოება" ადამიანი გახლდათ, გლეხკაცი სამოცის წლისა, ზურაბი, კაცი პირდაპირი, მოურიდებელი, პატიოსნებით გათქმული. ვისთანაც უნდა ჰქონოდა საქმე, დიდთან თუ პატარასთან, თავის გრძნობას, თავის აზრს მოურიდებლად, მოუფერებლად წარმოსთქვამდა მუდამ. თავის ჯეილობაში ბევრი უწვნევია ზურაბს თუ მოხელეებისაგან, თუ მეზობლებისაგან, მაგრამ თავისი ზნე ვერარამ და ვერავინ მოაშლევინა. მისი დანჯღრეული ხმა, სწორედ ვეფხვის რუხრუხის მსგავსი, მეხივით გაჰკვეთდა გასაკვეთს და გასაწყვეტ საქმეს.
ვიდრე ხალხი ფიქრში იყო და გუნებაში სწონავდა ნასმენ-ნახულს, ღვთისუნელმა დრო იხელთა, ყალიონში თამბაქო ჩაყარა, ტალკვესი, აბედი ამოიღო, დააკვესა, ყალიონს აბედი დაადო და დინჯად ბოლება დაუწყო. გამარჯვებული ვარო, თან გულში ამას ფიქრობდა. აი სწორედ ამ დროს გაისმა მოხუცის ვეფხვის რუხრუხი.
– ჩვენ გავიგოთ, ბიჭო, ვისი და რის ბრალია? – წარმოსთქვა ზურაბმა და თან ეკლის კონების მსგავსი ულვაშები და ჩამობარდნილი წარბები შეათამაშა – რა უნდა გავიგოთ? გაგებული მაქვ და ძალიან კარგა ვხედავ, ჯერ არ დავბრმალვარ. ვისი ბრალია? ე მაგის ბრალია, პირში რომ გჩრავ და, როგორც ძაღლი ვერ ეშვება ძვალს, რაც უნდა გამოხრული იყოს, ისე შენ ვერ მაჰშვებიხარ, შე გადაყრუებულო!
– უთხრა ეს ზურაბმა და თან ჯოხი დაუკრა ჩიბუხს ისე მარჯვედ, რომ ჩიბუხი ხალხში გადავარდა, ხოლო ღვთისუნელი პირს კატანაცემი დარჩა და დიდხანს ვერ გამორკვეულიყო, თუ ეს რა საქმე დაემართა. – წერა, წერა! წერა-მწერელი, თუ არ დაგიშლია, შენ ნუ მამიკვდები, წერა-მწერელს შენ და შენის ჩიბუხის თვალყურის საგდებლად მოუცლია?! აი ეგ არი ჩემი სამართალი. გესმის თუ არა? ყალივნისთვი კი არა, შენთვი უნდა დამეკრა ეს ჯოხი თავში, შე ძაღლო! – ამბობდა ზურაბი და თან ცეცხლის მგზნებარე თვალებით შასჩერებოდა ღვთისუნელს.
ხალხი აჩოჩქოლდა, ეცნენ საბრალო ღვთისუნელის ჩიბუხს და დაუწყეს წეწა, ზოგი მუშტსა სცემდა, სხვა ფეხქვეშ იგდებდა, სირა (ჩიბუხის ტარი) დააქუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს. ისმოდა ჟრიამული, სიცილ-ხარხარი.
გამტკნარებულმა, განაცრებულმა ღვთისუნელმა როდის-როდის წარმოსთქვა: – ვაჰმე, ჩემო ყალიონო, აბა, უყუროს კაცმა, რასა სჩადიან, ე?! ღმერთი იწამეთ, ყალიონი არ გამიტეხოთ! – მიჰმართა ბოლო დროს ხალხს ღვთისუნელმა, მთელი გული და გონება მისი მიმართულ იქმნა ჩიბუხისაკენ და ზურაბის საპასუხოდ მხოლოდ ორის სიტყვის თქმა მოასწრო: – „გაგიხმეს ხელი და დაგიდგეს ენა, აჰა!" მიეშველა თავის საყვარელ ჩიბუხს. უნდოდა დაეხსნა წამებისაგან, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდა, ვერაფერი უშველა პატრონმა, აღმზრდელმა აღზრდილს: ხალხმა ჩააქვავა ღვთისუნელის ჩიბუხი, მოუსპო სიცოცხლე, მოუსპო…

III

როცა იყო და არ იყო, ხალხი დაშოშმანდა, დაჯარდა, ცოტად გული მოიოხა. ხოლო სადავო საქმისა არ იყო ეს სრული გადაწყვეტა, – ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა დაზარალებული ადამიანი და ვერც ხალხის სინიდისი. ჩიბუხის დასჯა ვერ გააძღობდა უსაჭმელოდ დარჩენილს ბუთლიას ძროხებს, ვერც გომურსა და საბძელს აუშენებდა დაზარალებულს. ნივთიერი დახმარება იყო საჭირო, ამას ყველა ჰგრძნობდა, ყველას გული ძალადაუტანებლად დუდუნებდა: – „უნდა უშველო დაზარალებულს მეზობელსაო!" მხოლოდ ერთი ენის დაძვრა იყო საჭირო, ერთი მოწოდება, რომ ხალხს „ჰოს" თქმით მოეშორებინა ის მოთხოვნილება, რასაც გული და ჩვეულება ავალებდა. ეს ხმაც გაისმა.
– კაცებო, – წარმოსთქვა ზურაბმა, – რო შაძლება და ღონე ჰქონდეს, თუ მთელი ზარალი არა, იმის

ნახევარი მაინც უნდა ღვთისუნელისათვის გვეზღვევინა, რადგან იმის გაუფრთხილებლობის ბრალია ამ კაცის ზარალი. მაგრამ რადგან ღვთისუნელიც საწყალი კაცია, ჩვენი ვალია ყველასი დავეხმარნეთ ჩვენს ძმას, ჩვენს მეზობელს. ნუ ვუმტყუნებთ მამა-პაპის წესსა და ჩვეულებას, რითაც ვის შეგვიძლიან, იმით შევეწივნეთ, გავიყვანოთ ეს კაცი იოლად. ამისთანა საქმე დღეს ამის თავს არი, ხვალ ჩვენს თავზე იქნება. მე ამის მეტი არ შემიძლიან: მიჩუქებია ერთი თივა[1] და ერთი ტვირთი ჩალა; როცა გინდა, მოდი, ძმაო, და წამაიღე; როცა საბძელ-გომურის მასალას მოიტან და კეთებას დაუწყებ, ერთს შაბათს დღეს ბალღსაც გაშველიებ.
– გიშველა ღმერთმა! – გაისმა ხალხში ხმა: – მეც მიჩუქებია ერთი თივა. მეც, მეც… მეც… მეც ერთი ტვირთი ჩალა… „მეც მიჩუქებიაო”, ამ სიტყვებმა, როგორც მილით გაყვანილმა წყალმა, მორწყო მთელი გუნდი ხალხისა. ხოლო ღვთისუნელს, იმის გარდა, რაც თავის პირით აჩუქა, ხალხმა დაავალა ორიოდე დღე ხარით და კაცით მიჰშველებოდა ბუთლიას ხე-ტყის ზიდვაში. ბუთლია ხალხს მადლობას უხდიდა, ხოლო ღვთისუნელი არ იყო ხალხის მადლობელი მის საყვარელ ჩიბუხის დასჯის გამო.
მოჩივარი და მოპასუხე იქვე ყრილობაზე შერიგდენ, ერთმანეთს პირზედ აკოცეს და სახლში, როცა ხალხი დაიშალა, ერთად წავიდენ. ბოროტ ენათა ის ხმაც კი გაავრცელეს ბოლოს, რომ აღებისღამინდელი ჩარექაში დარჩენილი არაყი ღვთისუნელს და ბუთლიას ერთად ესვათ, გამოეცალათ, ერთმანეთი ედღეგრძელებინათ, მკვდრებისთვის შენდობა ეთქვათ თურმე და ერთმანეთისათვის შაეფიცნათ ისევ ძმობა და სიყვარული.

1910 წელი

[1] ზვინია თივისა - 6 - 7 ფუთამდე.

დღეს ვიცინი

დღეს სულ ვიცინი; რაც უნდა შემემთხვეს, გინდ ავი, გინდ კარგი, მაინც ვიცინი და თქვენც გირჩევთ იცინოთ, ვინაიდგან ბუნებაში ისეთი არაფერი ხდება, თუ სატირელი იქნება, იმავე დროს საცინელიც არ იყოს. წარმოიდგინეთ, იმაზედაც კი მეცინება, რომ გირჩევთ – თქვენც იცინეთო. რა უფლება მაქვს თქვენ მოგაწონოთ ის, რაც მე მომწონს, – ჩემის თვალსაზრისით გაცქერინოთ მსოფლიოსთვის? არავითარი. ეს მხოლოდ ჩემი პირადი ახირებაა, ჩემი გემოვნება, ჩემი ჩვეულება აზროვნებისა, რომელიც მინდა სხვასაც მოვახვიო თავზე. მოდი და ნუ გაიცინებ. ვიხედები უკან, გავცქერი ჩემ გამოვლილს გზას, ეს ხომ თავით ბოლომდე ახირება იყო, ჯახირობა; კბილით კლდის მტვრევა, შიშველი ხელებით ნარის გლეჯა, მშიერა მუცლით მღერა-თამაში. დღეს თუმც მეცინება, მაგრამ ამ ახირებას ვერ ვიშლი, ისევ ისე ვჯახიროობ და ვეუბნები თავისთავს: ჰა, არ შესდრკე, გასწი წინ, გაიწიე ჩემო თავო!..

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ რაც უნდა ძვირფასი არსება დავკარგო, წამართოს იგი სიკვდილმა, მაინც არ ვიტირებ. სიკვდილი დღეს, აი სწორედ ამჟამად, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ, საცინელი მგონია და არა სატირელი… ვფიქრობ, ვუკვირდები და ამიტომ არ ვემორჩილები მარტო გრძნობას, იგი მაცდურია, მატყუარა; ამიტომ მკვდარი მე უფრო საცინელი მგონია, ვიდრე სატირელი. იცით რატომ? იმიტომ, რომ დიდი საზღვარი დაიდო ერთი და იმავე პიროვნების მდგომარეობათა შორის. შეადარეთ სიცოცხლე და სიკვდილი, მათ შუა დიდი კონტრასტია. არის კი მართლა კონტრასტი? ესეც საეჭვოა… ჩვენ გვგონია მხოლოდ ასე. სიკვდილი ხომ არავის არ გამოუცდია, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა სთქვა, რომ იმაზე სწორი მსჯელობა ვიქონიოთ. ეს თავისთვის იყოს.

მკვდარი ადამიანი რად არის უფრო საცინელი, ვიდრე სატირელი? იმიტომ, დიდ ჩირთიფურთებში იყო სიცოცხლის დროს, ათასნაირ გეგმას ადგენდა და ყოველივე ეს ერთბაშად გაქვავებით შეიცვალა, ჩვენ ასე გვეჩვენება, როგორც უნდა იყოს…

არ ვამტყუვნებ ბავშვებს, რომელნიც მოხუცებულებს დასცინიან, ჩიფჩიფსა და სიარულში აჯავრებენ. სიბერე სიკვდილის ცალი გვერდია… ესევე ბავშვები მკვდარზედაც გაიცინებდენ, დიდებისაგან რომ არა ჰქონდეთ თავში ჩაჭდეული წინააღმდეგი წარმოდგენა. დიაღ, დღეს სიკვდილიც კი სასაცილოდ მიმაჩნია, ხვალ რა იქნება, ეს ღმერთმა უწყის, ხვალ შეიძლება გუნება და შეხედულება შემეცვალოს.

ხოლო დღეს ასე ვფიქრობ: რაც სატირელია, ის უფრო საცინელია, ვიდრე სატირელი. მოიტათ, გავშალოთ სიცოცხლის, ადამიანთა ცხოვრების ბოღჩა; გავაღოთ კიდობანი, სკივრი, ყუთი, ამოვალაგოთ მთელი იმისი ავლადიდება, მისი საუნჯე დღიდან დაბადებისა სიკვდილამდე კი არა, იმას იქითაც; აი, ეს აკვანი, ესეც იავნანა, სიყვარული, ტრფობა, მეგობრობა, ქორწინება, კუბო, სამარე და ზედ ძეგლი. ხა, ხა, ხა, ხა!..

ყველა ეს ნივთი ადამიანის ცხოვრებისა არ არის დაუსაბამო და სწორედ იმიტომ არის საცინელი. უცებ ფერს იცვლის. წარმოიდგინეთ ნაპოლეონი თავის სახელოვან მხედრობის წინაშე, სამკუთხა ქუდის მაგივრად წოპწოპა კარდონის ჩაფხუტით. ნუთუ ამ დიდებულ ადამიანზე საცინელი იქნებოდაღა ვინმე? ზოგი ადამიანი კი ამას და ამის მსგავსს მოვლენას სატირელ მოვლენად ჩასთვლის, – შემაწუხებელ-შემაძრწუნებლად, თუმც აქ სიცილის მეტს სხვა გრძნობას ადგილი არა აქვს.

რა არიან ეს დავრდომილნი ადამიანთა ცხოვრებაში, მშიერ-ტიტველნი, უძლურნი, ცხოვრებისაგან გარიყულნი, გლახაკნი, ბედისაგან შეურაცხყოფილნი?! საცინელნი არიან და სხვა არაფერი. მე გიჟს დავუძახებ იმას, ვინც იმათ იტირებს; მე იმათ შემწეობას აღმოვუჩენ, თუ შემეძლება, ხოლო იცოდეთ, ჩემს ბაგეს სიცილის სხივები არ მოჰშორდება. ეს და ამგვარი მოვლენა ბუნებაში მხოლოდ საცინელია და სხვა არაფერი. ბუნება რომ მუდამ წამს თავის თავს დასცინის, ჩვენ რაღა ვართ, რომ არ გავიცინოთ მის წინაუკმო მოქმედებაზე.

ბუნება ბავშვსა ჰგავს, რომელიც დიდის წვალებით ხუხულას აგებს, ანუ კოშკს. შემდეგ რაღაც ფიქრი მოუვა, ჰკრავს წიხლს თავის აშენებულს ციხეს, დაჰფუშავს და თან სიცილს დააყრის, დააყოლებს ხარხარს, კიჟინს. დასცინის თავის მოქმედებას; ნამოქმედარს, ნაშრომს მასხარად იგდებს.
რა ცოდვა-ჭირით შობილს, რა საცოდაობით თუ სათუთობით აღზდილს ადამიანს, ჯან-ღონით, გრძნობა-გონებით სავსეს, ლამაზს ჰკლავს უცებ და ცივ სამარეში აწვენს, მიწად – მტვრად აქცევს, რა არის ეს, თუ არ ბუნების დაცინვა თავისთავზე?!.
კიდევ სხვა მაგალითი ბუნების დამახასიათებელი. გაგიგონიათ ხომ ადამიანი ვინმე, მაღლა მთიდან რომ დაბლა ქვას აგორებდა, ლაღობდა, იცინოდა, როცა გაგორებულს ქვას უცქეროდა და ამ დროს იმას როდი ფიქრობდა, რომ დაბლიდან ისევ მაღლა ამოტანა დასჭირდებოდა? მაინც ამოჰქონდა რის ვაინაჩრობით მაღლა მთის მწვერვალზე, რათა ეხლა კიდევ ხელახლა დაგორებულიყო ქვა და ამ სურათით დამტკბარიყო. ასე ცოდვილობდა მთელი თავის სიცოცხლე. ასეთივეა ბუნება.
მე რომ დღეს ბალკანეთში ათასობით დახოცილთა გვამებს ვნახავდე, წარმოიდგინეთ, სიცილით მივესალმებოდი, თუმცა იმათ ალაგას რო ვიყო, მეც ისე მოვიქცეოდი, როგორც ყოველი ბოლგარელი, სერბი, ბერძენი, შავმთიელი ან თუ ოსმალო. ხოლო თუ დაჭრილს ვნახავდი, წყლულს შევუხვევდი, წყალს მომთხოვდა – ვასმევდი და, როცა დავალეინებდი, ე. ი. ის სმას დაუწყებდა, სმის დროს დაკოდილს კი მე ცქერას დავუწყებდი, – ჩემს სახეს ღიმილი მაინც არ მოჰშორდებოდა. ასე გადასწყვიტა ჩემმა ოცნებამ, ჩემმა გონებამ. არ შემიძლიან სხვარიგად შევხედო ამისთანა მოვლენებს – ომში დახოცილებს, კაცს კაცისაგან მოკლულს, – თავისთავად მკვდარს.

———

რამდენს ვიცინი იმაზე, ვინც დადის და დაკარგულს სატრფოს დაეძებს და თან მოსთქვამს: „ახ, სადა ხარ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნუგეშო, ჩემო წუთისოფელო, რად დამტოვე? სად დამეკარგე? ვისზე გამცვალეო?!“ ხოლო მე მიკვირს, ტარიელს რად ატირებს შოთა ნესტან-დარეჯანისათვის?! ალბათ იმიტომ, რომ ნესტანი თავის ნებით კი არ გაექცა ტარიელს, არამედ ქაჯთა წყალობით. ნესტანს არაფერი ბრალი არ ედება, მისი ნება არაფერ შუაშია, ვინაიდგან მას განაგებენ ქაჯნი, – იგი ნებაშებორკილია, თვით ნესტანიც ცხრაკლიტულშია დამწყვდეული.
მე, ნუ გაგიკვირდებათ, ასე ვფიქრობ, რომ ტარიელს შაეძლო სულ ღიღინით ევლო და ეძებნა თვისი სატრფო, ამიტომ მე დღეს დავცინი იმის ცრემლებს. სასაცილოდ მიმაჩნია მისი ხეტიალი, ათასნაირი საშიშროების განცდა ისე, როგორც ლამანჩელი აზნაურისა (დონ-კიხოტი).
ხოლო ხვალ რას ვიფიქრებ – ეს ღმერთმა უწყის.

ვაჟა-ფშაველა

გალაკტიონი

დღეები ბრუნავს, ვით კამათელი,
და ყვავილების არის მრავლობა.
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.
წელიწადები წავლიან ძველნი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი!

სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში

გალაკტიონ ტაბიძე

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა-
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!

ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.

და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე, დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!

შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები,
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, -
ღამენათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!

დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.

სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!

და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!

დავიკრებ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

მესაფლავე

მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც... მომაბეზრე კიდეც თავი,
და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.
ვარდის თვეა, მაისია, ნორჩ ბალახებს სიო არხევს,
ხეებს ყვავილთ თეთრი გუნდი, როგორც თოვლი, ისე აწევს,
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში მთა-ბარს ახვევს,
ყვავილებით მოქარგულა არემარე მომხიბლავი.
ვერა ხედავ, იმ საფლავზე, როგორ სტირის ობლად ქვრივი?
რარიგ შვენის ახალგაზრდა ქალს ეგ სევდა ღვთაებრივი!
განა გუშინ არ იყო, რომ ამ მოკლულმა დარდით ქალმა
ცრემლი ღვარა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა?
დღესაც იგი იმ სამარეს გულმოკლული დაჰქვითინებს,
დღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს.
მოვა ხოლმე და დაჯდება ცივ სამარის გაშლილ ქვაზე,
დარდით არის გაჟღენთილი მისი უღვთო სილამაზე;
თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა...
სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა!
მაგრამ რა ვქნა? მესაფლავე, ჩუმად იყავ, უგდე ყური...
გესმის, გესმის, როგორ კვნესის დაღლილი და უბედური?—
“გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება.
შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე... თუ როდისმე დაგივიწყო! ”
მესაფლავე, კიდევ იტყვი, რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
აი, თუნდაც გალავნისას მესაფლავე აღებს კარებს:
ახალგაზრდა ვინმე ვაჟი კიდევ სატრფოს ასამარებს.
გულმოკლული ძვირფას კუბოს არ სცილდება, არ შორდება,
განა როსმე სხვა ამგვარი სიყვარული მეორდება?
უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება,
და გადმოსჩქეფს გულმოკლულ ვაჟს თვალთგან ცრემლთა მდუღარება.
ფიცით ამბობს: “ოჰ, შეშფოთდეს სამარეში ჩემი ძვლები,
არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,
გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!”
მესაფლავე, კიდევ იტყვი, რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ის ქალი კი, წეღან რომ ვთქვი, ისევ მოდის თმაგაშლილი
და სამარეს დაუვიწყარს თავს ადგება, ვით აჩრდილი,
ხელში ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმჭკნარი,

მოაქვს, რომ მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი.
ოჰ, ეს ქალი ალბათ დარდით ყვავილივით ჭკნება, ჭკნება...
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.
საცოდავი! თვალებსაც კი დასჩნევია უძილობა, —
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა, —
ახლა? ახლა კიდევ იტყვი, რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
და ის ვაჟიც, გუშინწინ რომ მიაბარა სატრფო საფლავს,
არ სცილდება სასაფლაოს, სევდიანს და გულმოსაკლავს;
სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება,
თავს დასცქერის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვას ეუბნება.
მის თვალებსაც დასჩნევია ღამის თევა, უძილობა, —
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა!
მესაფლავე, ახლაც იტყვი, რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
დღეს იმ ქალმა გულმოკლულ ვაჟს უნებურად მოჰკრა თვალი,
გაიფიქრა: “ისიც ჩემებრ ტირის ცრემლებშეუმშრალი;
უძიროა კაცის სევდა, უძიროა კაცის გული,
რას არ ითმენს სიყვარულის ცხოველ ნათელს მოკლებული”, —
ასე ამბობს სევდიანი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა.
ალბათ, ვაჟსაც ამ უსიტყვო ცქერამ გული აუძგერა...
ასე იცის თანაგრძნობამ... შენ კი ისე იღიმები,
თითქოს მართლა იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები,
რომლის ძალით ორი გული სამუდამოდ შეერთდება...
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც, ქვეყნად ეგრე როდი ხდება.
როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ... ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.
გამიგონე, მესაფლავე, შენ არ იცი კაცის დარდი,
თორემ რაა — ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?!
რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვარდი
და მწუხარედ წასჩურჩულა: “შემიყვარდი, შემიყვარდი,
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შევაერთოთ სულთან სული...
გამომყევი, ქალო, ცოლად... ძლიერი მაქვს სიყვარული...
მართალია, ის სატრფონი არც შენ, არც მე აღარა გვყავს,
მაგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს.
დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო,
და ახალი შევქმნათ ყოფნა... გამომყევი ცოლად, ქალო!”
დაუცადე, მესაფლავე, თუ რა პასუხს მისცემს ქალი,
შენ გგონია, რაკი ვაჟმა დაივიწყა თავის ვალი,
ქალიც ასე მოიქცევა? მე მგონია — არა, არა...
განა გუშინ არ იყო, რომ სატრფო მიწას მიაბარა?
მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?
აი, ნახავ — აბეზარ ვაჟს რა პასუხით გაისტუმრებს!



მაგრამ ქალი, ღმერთო ჩემო, მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს:
“თანახმა ვარ! ერთადერთი მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს”...
მესაფლავე, ახლა კი გაქვს ნება, რაც გსურს, კვლავ იგი თქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.
ალბათ ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს ბინა... ხედავ, გადის ხანი,
არ ნახულობს სასაფლაოს დღეს არც ერთი იმათგანი,
საფლავთაგან მტვერს და ბალახს დღეს არავინ არ აცილებს
და მოვლასთან ერთად ფერი წართმევიათ ვარდ-ყვავილებს...
განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო...
თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, რად სჭირიათ თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?
ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?
ძილით ვეღარ გამოგარკვევთ ვერრა ძალა, ვერც შემთხვევა...
ასე ხდება ქვეყანაზე — ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწყდება...
ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დაივიწყეს ბედი მწვავე,
იმ ორს ერთად გადავერცხლილს კუბოში სჭედს მესაფლავე...
სჭედს და რაღაც მწარე ფიქრზე თან ველურად იღიმება, —
იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა... როგორც ხდება...
განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო!

გალაკტიონ ტაბიძე



გალაკტიონ ტაბიძე

პირველი მაისი

პირველი მაისი,
პირველი მაისი,
პირველი მაისი
მოვიდა ამაყი:
წითელი ყაყაჩო
თუ იასამანი,
ხავერდის ვარდები
და თეთრი ზამბახი.
მეფეს კი, მეფეს კი -
ქარით და გრიგალით
თითქო არავისა
და არარაისი -
ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.
დრო მოვა… და ისევ,
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.

სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს
იმ ნათელ გაწევას,
იმ პირველ მაისებს!

ზღვის ფერი გაქვს თვალები და... თავად ჰგავხარ... ზღვას...
თუ არ შეგებრალები და მისთხოვდები სხვას...

მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას;
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს

ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს; შენს სიყვარულს ქარს
და მოგიკლავ მოღალატე მაგ ნაფერებ ქმარს!

ზღვის ფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას.

კონსტანტინე გამსახურდია

გურამ რჩეულიშვილი

ფეხბურთი იწყება!

მოთხრობა

დღის თორმეტი საათიდან დაიწყო ხალხმა დენა. ქუჩა თავშივე გადაეკეტათ ორ წყებად მდგარ მილიციელებს.
- ბილეთები, მოქალაქე, ბილეთები ამოიღეთ; სწორია, გაიარეთ.
- ტუ! ტუ! - ყვიროდნენ ავტომანქანები, რომელთაც ფანჯარაზე საშვები ჰქონდათ გაკრული.
- გამოეცალე, ბიჭო, რა შიგ ბორბლებში ძვრები? - ყვიროდა აღელვებული მძღოლი.
- ვა, შენ რა გიჭირს, არხეინად მანქანაში ზიხარ გაჭიმული, ახლა მე მკითხე, ვრჩები უნახავი, - თავისთვის ბუტბუტებდა უბილეთო ბიჭი.
- გამარჯობა, სევერიან! С приездом, ფეხბურთიზა ჩამოხვედი?
- აპა არა! მოვკვდები და ვერ გავაცდენ, с сорок пятого года შეხვედრა არ გამიცდენია.
- კი მარა, ასე უცებ ბილეთი სად იშოვე. აქ ვცხოვრობ, დღეს მელიტონს რომ არ მოეტანა, გარეთ ვრჩებოდი.
- მელიტონი რომელი, რაცხა მეცნობა.
- დირექტორის მოადგილე ქე როა სელხოსნაბში.
- ბიძა, ბილეთი არ გინდათ? - მივიდა მათთან ქუდჩამოფხატული, ტელაგრეიკიანი ბიჭი.
- გეიარე, ბიძიკო, შენი გზით. - ცალყბად უთხრა მელიტონმა, ამხანაგს ხელი გამოუყარა და შესასვლელისკენ წაიყვანა.
- რას უცდი, ჩერჩილ? - დაუძახა ხალხიდან ანზორმა, - ბილეთი თუ გაქვს?
- აბა, აქ უბილეთოდ რას შეხვალ, ეს არის ახლა ვიყიდე, ხუთი თუმანი მივეცი თითოში.
- ორი რად გინდოდა, კაცო?
- ერთი ვანიჩკასთვის ავიღე გუშინ, ასი მანეთი მომცა, შენი ჭირიმე, სულ რომ დახარჯო, რამენაირად იყიდეო.
ანზორს ბოლო სიტყვები არც გაუგონია, ხალხმა ისე მიაგდო მილიციელთა წყებას. ხმაჩახრეწილი და ქანცგამოლეული წესრიგის დამცველები პირნათლად ასრულებდნენ თავის მოვალეობას.
- მოქალაქე ეგ! დაიხიეთ უკან, თქვე...! სწორია.
- მაჩვენე ბილეთი! - დაიწრიპინა მილიციის ლეიტენანტმა, მერე ჩერჩილას და ვანიჩკას ბილეთებს დახედა.
- ერთმა გაიარე! სწორია, თქვენ მოიცადეთ, მოქალაქე, თქვე მამაძაღლო, ახლა გაჩვენებთ, როგორ უნდა ფალშივი ბილეთების გაკეთება! ჯინჭარაძე! ტოკლიკიშვილი!
- არის, უფროსო! - გამოეჭიმნენ გამხმარი, დაბალი ტანის მილიციელები.
- ეს კაცი შააგდეთ ვარონაშია და თბილისის ზღვიდან აყურებინეთ ფეხბურთი! მაგის...
- ბიძა მე, მე რა შუაში ვარ, მომყიდეს! ხუთი თუმანი მივეცი, ვიყიდე.
- მოქალაქე, წამოდით, თქვენ ხელს უწყობთ სპეკულაციას.
ვანიჩკას ხმა არ ამოაღებინეს, ისე მიათრიეს მანქანასთან, მერე კარებთან მიდგმულ კიბეზე აიყვანეს. აქ, როგორც იყო, შემოტრიალდა ვანო და პირდაღებულ ჩერჩილას თვალები გადმოუტრიალა:
- ჩერჩილ, შენი დედა...!
მილიციელებმა, ეტყობა, ნაცნობი კაცის სახელი გაიგონეს, მაგრამ კარგად ვერ მოიგონეს, სად გაეგოთ, თუ სად ჰყავდათ გაცნობილი ეს “ჩერჩილი”. ამან ცოტა შეაჩერა ვანიჩკას

შეგდება მანქანის კამერაში. შემდეგ მილიციელებმა გაორმაგებული ძალით ჰკრეს ხელი და შეაგდეს შიგ გაცეცხლებული ვანიჩკა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ყვიროდა. ხალხი კი სულ მიდიოდა დაუსრულებლივ. ხალხის ნაკადს მილიცია პირნათლად ახარისხებდა, უმეტესობას უშვებდა, უფრო ცოტას სპეკულიანტებისკენ აგზავნიდა, მათზე უფრო ცოტას კი "ვორონებში"" ათავსებდა და ქალაქგარეთ ისტუმრებდა ჭკუის სასწავლებლად.
- ბიჭო, აი ნახე, რა თამაში იქნება დღეს, - გულდაგულ არწმუნებდა თამაზი გივის - ანდრო, ავთო, ხოჭოლავაც ისეთ ფორმაში არიან, რო ტყუილია. ვინაა ტატუშინი, მე არ ვუყურე შეჯიბრზე, მარცხენა სულ არ უვარგა, ოჰ, ჩვენ ერთი სიმონიანისთანა ცენტრი მოგვცა!
გივი ხალხის დინებას მიჰყვებოდა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ცხენოსან მილიციას. როცა ცხენს გვერდზე ჩაუარა, ლაგამს ხელი მოჰკიდა, ფაფარზე ხელი გადაუსვა და ამოიხვნეშა, "უჰ, ახლა ერთი ცხენი მთელ ფეხბურთს მირჩევნია!"
გვერდზე ვიღაცა გაცხარებული ებაასებოდა თავის თანამგზავრ ქალს:
- რა სიამოვნებაა ამ ფეხბურთში? როგორ, ფეხბურთი ეს...
თამაზმა გვერდით მოიხედა, მერე უკმაყოფილო სახით მიაჩერდა გივის:
- ბიჭო, გესმის, მესხისგან ფეხბურთელი დადგება, ტყუილია! შენ ყურს არ მიგდებ, ვა, რა კაცი ხარ, ფეხბურთი არ გაინტერესებს.
- რა ვქნა, მაინტერესებს, მაგრამ ისე არ მიყვარს. ცხენოსნობა კიდევ ჰოო.
ხალხი კი მოდიოდა შეუჩერებლივ. როცა მილიციელთა პირველ წყებას გასცდებოდა, ცოტა ამოისუნთქავდა, მაგრამ ახლა წინ მეორე ხვდებოდა, მერე მესამე, მერე მეოთხე და კარი, კონტროლიორები, კვლავ მილიცია. ზედ კარებთან ვიღაცას ბილეთი გაუვარდა. მან სცადა დაკუზვა, მაგრამ ხალხი მოაწვა და უბილეთოდ შეათრია. ერთი მოაჯირზე მიეჭყლიტათ. ფართოგავიან დიაცს უკან ჩასუქებული დაბალი ბიჭი ამოსდგომოდა და ხშირ-ხშირად სუნთქავდა. ორ ახალგაზრდას ხელი ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა და მეგობრის დას იცავდნენ ხალხის მოწოლისაგან. გივი ხმამაღლა ბუზღუნებდა, თამაზს თვალები ჰქონდა დაწითლებული, სახე აღგზნებული, ხალხის მოწოლას ვერცა გრძნობდა. ვიწრო შესასვლელში დაჭირხნული ხალხი უკვე შიგ ეზოში იშლებოდა, მერე სირბილით ახალგაზრდები, ჩქარი ნაბიჯით უფროსები, ასპირანტები და დოცენტები მიისწრაფოდნენ კიბეებისაკენ.
ფეხბურთი საღამოს ხუთ საათზე იწყებოდა.
სტადიონი. ზღვა ხალხი. ყაყანი. კიბეებზე უთვალავი მაყურებელი, მოწოლა, ჭყლეტა. ვიღაცა მარჯვედ აპობდა კიბეებზე მდგარ ხალხს, სხვები ბუზღუნებდნენ. შლაპიანმა ჩასუქებულმა ულვაშა ბიძებმა ხვნეშით ჩამოიარეს კიბე შუამდე, მერე მეექვსე რიგს შეყვნენ. ვიღაცამ დაიყვირა, სახე დაემანჭა და ნატკენ მაზოლზე ხელი მოიკიდა. მილიციის პოლკოვნიკი, რომელიც ცოლთან ერთად მოსულიყო, დამჯდარ სტუდენტს ბილეთს უჩვენებდა, სინდისს აფიცებდა, ემუქრებოდა. სტუდენტი მეზობელს აწვებოდა, მეზობელი თავის მხრივ სხვას. როგორც იყო, ადგილი ცოტა განთავისუფლდა. ის მაშინვე დაიკავა პოლკოვნიკის ცოლმა. მერე, როგორც იქნა, პოლკოვნიკიც დაჯდა.
- შალიკო, კაცო! - კიბიდან იძახოდა თეთრშლაპიანი, კოსტუმში გამოწყობილი მოქალაქე, რომელსაც შარვალზე ლურჯი კანტები ჩასდევდა.
პოლკოვნიკმა მოიხედა და სახე გაებადრა.
- გამარჯობა, კაცო! ადგილი გაქვს?
- ადგილი? არა.
- აქეთ შემოდი, იქნება რაცხაფერად მოვახერხოთ რაიმე.

ნაცნობმა ბოდიშებით დაიწყო რიგში შემოსვლა, პოლკოვნიკი შალიკო კი მეზობელს მიუბრუნდა:
- მოქალაქე, ერთი პატივი გვეცით, ოდნავ, სულ ოდნავ უნდა შეგაწუხოთ.
გვერდზე უსიამოვნო სახით დაიწყეს ჩაწევა, მაგრამ სკამი მაინც ვერ განთავისუფლდა. შალიკომ თავისი ნაცნობი, რომელსაც საკმაოდ დიდი ღიპი ედო, თავისსა და მეზობლის შუა, თითქმის თავის ფერდზე ჩამოსვა. ახლადმოსული ცოტა გაიწ-გამოიწია. მალე ისიც კარგად მოეწყო.
გივი და თამაზი აივნის პირველ რიგში, ამხანაგის ფეხებთან ჩამოსხდნენ და საკუთარი ფეხები ქვევით გადაჰკიდეს. "ამდენ წვალებად არა ღირს, ჩემმა მზემ", ბუზღუნებდა გივი. თამაზი ვიღაც რუსს ეკამათებოდა. შეშინებული რუსი უვნებლად კბენდა თამაზს, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიქცია და საუბარში ჩაითრია მოყვარულები. სტადიონის დიდმა საათმა ხუთი უჩვენა. თამაზი გაჩერდა. "დავრჩით უადგილოდ", გაიფიქრეს ფეხზე მდგომებმა. კიბეზე ჩამავალნი იქვე, ადგილზე ჩასხდნენ. მიწის ქვევიდან მსაჯთა ტრიუმვირატი გაემართა მოედნის ცენტრისაკენ. ჰაერში გაისმა ფეხბურთელთა ჰიმნი. შუაში მდგარი დაბალი, ჩასუქებული, თავტიტველა მსაჯი, რომელსაც ერთ ხელში ბურთი ეჭირა, ხოლო მეორეს ღირსეულად იქნევდა, თავის ორ თანაშემწესთან ერთად, რომელთაც ჭადრაკისებურად მოქარგული დროშა ეკავათ, ღირსეულად უახლოვდებოდა მოედნის ცენტრს. ხალხი სულგანაბული ელოდა ბურთის მოედანზე დადებას. უფრო გამოცდილნი კი ფეხბურთელთა ამოსასვლელისკენ იყურებოდნენ, იქ მიწიდან წელამდე ამოსული რამდენიმე ფეხბურთელი მოჩანდა. თავდადებულმა მოყვარულებმა უკვე მეორე დასკვნა გააკეთეს თამაშის შედეგის შესახებ. პირველი დასკვნა გაკეთდა მსაჯის დანახვისთანავე.
- ტუ! ტუ! ტუ-ტუ-ტუ-ტუ! - გაისმა სასტვენის ფშუტუნა ხმა. ფეხბურთის ჰიმნმა ახალი ძალით დაიგუგუნა.
მოთამაშე მეტოქე გუნდები ცენტრალურ წრეზე ნახევარრკალებად ერთმანეთის პირდაპირ გამწკრივდნენ. მსაჯმა კენჭი ჰყარა. მეკარეებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს. ბურთთან მივიდა თბილისელთა სამი თავდამსხმელი. კალოევმა მოედანს თვალი მოავლო.
- ტუ! - გაისმა სასტვენის ხმა მსაჯისა, რომელმაც საათს დახედა.
ზუსტად ხუთ საათზე შეხვედრა თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "სპარტაკს" შორის დაიწყო.

(1956 წ. აპრილი)

წარწერა ფოტოზე, გაზეთი „ლელო“, 12 მაისი:

მოსკოვში გაიმართა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. თბილისელებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ფორვარდებმა ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. საბოლოოდ, თამაში ფრედ 1:1 დამთავრდა.

გურამ რჩეულიშვილი

სიყვარული მარტის თვეში

“ასეთია ალბათ ბედი, ბედი თეთრი ფერის. სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის.”
გალაკტიონი

"Кто любил, тот любить не сможет. Кто не любил, тот прогорел"
Есенин

- კარგი, ბიჭო, რა მოგივიდა, მოეშვი მაგ გოგოს.
- მოშვებული არა ვარ?
- კარგი ერთი. მითხარი მაინც, გიყვარს ძალიან?
- არა. - უპასუხა ნოდარმა.
- მაშ რაღას დასდევ ამდენს? - შეეკითხა თემო.
- მე დავდევ?
- რა ვიცი, მთვრალი სულ მაგის სიყვარულზე ლაპარაკობ.
- მთვრალ კაცს რამე დაეჯერება?
- რა ვიცი, ხან ფხიზელზე მეტი, ხან არა.
- ჰო, შენც მართალი ხარ.
ნოდარმა თემოს ხელი გამოუყარა და წიგნების ფარდულისკენ წაიყვანა.
- ნახე, ბიჭო, იეთიმ გურჯის ლექსები გამოუშვეს.
- იეთიმ გურჯი ვინ არის?
- პოეტი, აშუღი, მღეროდა, წერდა, რასაც გრძნობდა, იმაზე.
- არ გამიგია.
- დიდი არაფერია, თუმცა სიყვარულია.
თემომ გვერდზე გაიხედა, მერე თვალები ეშმაკურად აათამაშა.
- ახლა კი მივხვდი, რა იეთიმ გურჯი აგიტყდა.
ნოდარი ყურებამდე გაწითლდა, შემდეგ გამყიდველს წიგნი გამოართვა და მარტოკამ განაგრძო გზა. ცოტა ხნის შემდეგ თემო წამოეწია.
- ბიჭო, მართლა ღმერთივით გოგოა, მაგის მარტო უიმედო სიყვარულიც ღირს, არა?
- რა ვიცი.
ნოდარი თავის ფიქრებში გაერთო. “ნეტავი იმან იცის, რომ მე მიყვარს? საიდან უნდა იცოდეს, თუმცა არა, ალბათ, იცის, ვინმე ეტყოდა.”
- ნოდარ, გამარჯობა! - დაუძახა ვიღაცამ. ნოდარმა მოიხედა, მერე ქუდი მოუხადა, ზრდილობიანად მიესალმა. გამარჯობის თქმამ ფიქრები დროებით შეაწყვეტინა, შემდეგ ისევ განაგრძო. “ალბათ, დღეს მოვა თამაშზე, ათი-თორმეტი ბურთი მაინც უნდა ჩავაგდო, მერე ედი გამაცნობს, იქიდან ერთად წამოვალთ. ნეტავი რა უყვარს? რაზე ველაპარაკო? კალათბურთის თამაში - არა. ამას თავის თვალითაც ხედავს; ჯობია ისტორიაზე ვესაუბრო, ან ლიტერატურაზე. ჰო, მართლა, ჰემინგუეის რაიმე ნოველას მოვუყვები”. ნოდარი ბაღში შევიდა, მექანიკურად დაჯდა სკამზე, ფიქრები განაგრძნობდნენ გეგმების წყობას, “მაგას მოპასანი ეყვარება, ჰო, მეც მის რომელიმე მოთხრობას მოვუყვები, თუნდაც “ნავსაყუდარში” ან “სამკაულს”. მან თავი ნერვიულად გაიქნია. “რა სისულელეა მაგეების მოყოლა, ვითომ თვითონ არ წაუკითხავს, ალბათ ჩემზე ათჯერ მეტი იცის, თუმცა, რაც გიყვარს, იმაზე უნდა ესაუბრო, არა? არა, მაგას ჯობია, მოლას რომელიმე ანეკდოტს მოვუყვები. აი, უარესი სისულელე; ჰო, მართლა, როგორმე სიტყვას ზღაპრებზე ჩამოვუგდებ, მოვუყვები არაბულ ზღაპარს “ღმერთისა და დერვიშის” შესახებ.

შესახებ. მაშ ასე, როცა გამაცნობენ, ალბათ, გავწითლდები, თუმცა ნათამაშები მაინც წითელი ვარ ხოლმე და ისე არ შემეტყობა. ასე - ჯერ ჩამოვართმევ ხელს, ვეტყვი სახელს, არა, არ ვარგა, ვეტყვი გვარს, არც ეს მომწონს, არაფერს ვეტყვი, თვითონ ეცოდინება. მერე პირდაპირ ხომ არ მოვუყვები არაბულ ზღაპარს? არა, ჯერ შევეკითხები, გადიან თუ არა არაბეთის ისტორიას, ჰო, ჰო კარგია, ვითომ რაიმე წიგნი მჭირდება. შემდეგ ვეტყვი, ეგ ისტორია მეც ძალიან მიყვარს-მეთქი, განსაკუთრებით მათი ზღაპრები, სადაც მთელი ფილოსოფიური საკითხები არაჩვეულებრივი სისადავით არის-მეთქი წამოჭრილი. ის მიპასუხებს, ნეტა რას?"
ნოდარი კვლავ მიუბრუნდა ფიქრებს, ახლა ეს გეგმა აღარ მოსწონდა. მალე თავში ახლის შედგენა დაიწყო. მერე ადგა და ჩაფიქრებული ქუჩაში გამოვიდა.
- ჰაბარდა, ჰაბარდა! - იძახდა მეეზოვე, თან ქუჩას რწყავდა. - მოეცა-მეთქი, ბიჭო, ვერა ხედავ, ამოგწუწე. ნოდარი შუა ქუჩაზე გადავიდა.
- შე მამაძაღლო, ვერ გაიხედ-გამოიხედავ? - მოესმა მანქანიდან შოფრის ხმა.
შემოტრიალდა. ქვევიდან ტრამვაი მოჰქროდა.
ტანში სიმსუბუქე იგრძნო, თვალები გაუბრწყინდა. სწრაფად გაქანდა რონოდისაკენ და ნაჩვევი მოძრაობით შეხტა კიბეზე, მაგრამ ხელი ვერაფერს მოჰკიდა, სახელური გამომძვრალი ყოფილიყო, წონასწორობა დაკარგა, ფეხებს ტანი ვერ ააყოლა და უკან გადმოვარდა. თავბრუ დაეხვა. ლიანდაგზე დადებულ მარცხენა ფეხს ტრამვაის გორგოლაჭმა ჭრიალით გადაუარა. გაისმა კივილი. ქვაფენილზე მომავალ ჭაღარათმიან ქალს ჩანთა ხელიდან გაუვარდა. რონოდის მგზავრებს სახე მოექცათ გვერდზე. წინა სკამზე მჯდარმა მოხუცმა ცოლ-ქმარმა ფეხები ძირიდან აიღეს უნებლიედ, ალბათ, ტვირთის შესამსუბუქებლად და აკანკალდნენ. ტუჩებშეღებილმა, მოკლეკაბიანმა რუსის გოგონამ ხმამაღლა შეჰკივლა, დაჭყეტილ თვალებზე ხელი აიფარა და ისე განაგრძო ყურება. ათიოდე მეტრის შემდეგ ტრამვაი მუხრუჭების ჭრიალით გაჩერდა. გაფითრებული მძღოლი ტელეფონ-ავტომატისკენ გავარდა.
პირველი შეგრძნება ნოდარისა იყო ხალხი, რომელიც გარს შემოხვეოდა. მას შერცხვა გარშემოხვეულების და თვალებზე აიფარა ორივე ხელი. მერე ტკივილი იგრძნო ფეხში და კვლავ დაკარგა გონება. ცოტა ხნის შემდეგ თვალები გაახილა, უაზროდ მიაშტერდა ვიღაცას. "ნეტავი ის ხომ არ მიყურებს, რა სირცხვილია", გაუელვა თავში. ტკივილის ახალმა შემოტევამ ფიქრი გააწყვეტინა. "ოჰ!" ამოიგმინა ყრუდ. "მაგათი ყოფაც ავატირე, ყველასი". ეგოისტურად გაიფიქრა, შემდეგ სცადა ფეხის აწევა და ადგილზე გაინაბა. მხოლოდ ახლაღა მიხვდა ბუნდოვნად, რომ ფეხი მოჭრილი ჰქონდა, ამ აღმოჩენამ თითქოს დაამშვიდა, აღარა რცხვენოდა, ტკივილიც გაუქრა. ახლა მას თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა. ნოდარი ბუნდოვნად გრძნობდა: ვიღაც თეთრებში ჩაცმულებმა ხელში აიყვანეს. ხალხი გაიყო. მერე საწოლზე დააწვინეს, საწოლი ოთახში შედგეს, შემდეგ რაღაცა, შეშის ნაჭერივით, გვერდზე დაუგდეს, "ნეტავ რა არის?" გაიფიქრა უნებურად. ჩქარა დაიღალა, გული ისევ შეუწუხდა და გონება დაკარგა. ნოდარს დრო და დრო უბრუნდებოდა შეგრძნება. ჩურჩული, ტირილი, სიჩუმე, ისევ კარგავდა გონებას. ახლა იგი უკვე კალათბურთის მოედანზე იყო. გოგონები მის ლამაზ ტანს მალულად ჭვრეტდნენ. მას სიამოვნებდა ქალთა მზერა, უნდოდა, რომ იმასაც ეყურებინა მისთვის, მერე გაწითლდა. მეორე რიგში დაინახა, თავის ამხანაგებთან ერთად მჯდარი. თამაში დაიწყო. აი, გავარდა ნოდარი, გივიმ მიაწოდა ბურთი, სროლა. არ ჩავარდა. ათი ბურთი ააცილა, ოფლმა დაასხა ტანზე, სახეზე. ათი ბურთი. ახლა თამაში წაგებულია.
"ვაიმე", ამოიკვნესა ნოდარმა. საწოლზე ჩამომჯდარმა დედამ ნაზად დაადო ხელი მაჯაზე. "ნოდარ ჯანდიერი", ძლივს წაილუღლუღა მან და სახე გაუბრწყინდა. "ლეილა", მოესმა გოგონას სასიამოვნო ხმა. ნოდარს გული მოეცა;

ნოდარი: უკაცრავად, თქვენ კალათბურთის თამაში გიყვართ, არა?
ლეილა: მე? დიახ!
ნოდარი: ჰო, ასეც ვიცოდი, თქვენ თვითონ არასოდეს გითამაშიათ?
ლეილა: არა, მაგრამ მაინტერესებს.
მან სული განაბა, უნდოდა დიდხანს ესმინა საყვარელი ქალის ხმა, მერე წამოწითლდა და პირდაპირ დაიწყო: "მე ერთ არაბულ ზღაპარს მოგიყვებით, გინდათ?" "დიახ, დიდი სიამოვნებით მოვუსმენ, მე ზღაპრები ძალიან მიყვარს." ნოდარი გაათამამა ასეთმა თანაგრძნობამ, შემდეგ თვალებში შეხედა მას, მაგრამ ფერი ვერ გაარჩია და დინჯად დაიწყო: "იყო არაბეთს ერთი მეფე, მეფე ბრძენი და მჭევრმეტყველი".
ნოდარმა სიამოვნებით გაიღიმა, ხმა თავისუფლად ემორჩილებოდა. "ერთხელ მეფემ იხმო თავისი მრჩეველი და ჰკითხა:
- ბრძენო! მითხარ ჭეშმარიტება სად არის, ან თუ არის, რასა ჰგავს?
- დიდო მეფეო, - მიუგო ბრძენმა, - ჭეშმარიტება სად არის, არავინ იცის, ხოლო გვანებით იგი კეფასა ჰგავს, რომელიც ვიცით, სად არის, მაგრამ ვერასოდეს დავინახავთ."
ნოდარმა დინჯად დაამთავრა თხრობა. იგი ამ წუთში ხის კენწეროს უყურებდა. როცა მზერა ქვევით გადმოიტანა, ის უკვე წასული დახვდა. "ლეილა, ლეილ!" დაიყვირა მან, მერე თვალი მოჰკრა ბაღის კარში სწრაფი ნაბიჯით გამავალს და მის გამოსაკიდებლად გაიწია.

- ცივი ტილო, თუ შეიძლება. - ცრემლნარევი ხმით სთხოვა დედამ ექთანს.
ექთანმა ტილო მიუტანა და ჩუმად ჰკითხა:
- აბოდებს?
- ჰო. - დედას ცრემლები წამოუვიდა.

წელი 1956. 20 მაისი.

დათუნა

ავტორი: გურამ რჩეულიშვილი

- დათუნა! დათუნა! - მოესმა ბავშვს შორიდან დედის ხმა.
დათუნამ ერთხანს ყური მიუგდო, მერე ჯოხის ცხენს შემოჰკრა მათრახი და პატარა ბარდებზე ხტუნაობით წყაროსკენ გაიქცა.
- დათო! - კვლავ მოეწია წყაროსთან დედის ხმა.
დათუნა შემობრუნდა, დაიფრუტუნა, დაიჭიხვინა და ბუზღუნით სახლისკენ გამოჭენდა, "უჰ, ახლა გოგლი-მოგლი გამიჭირებს საქმეს, ან რძე, უჰ" - გააჟრჟოლა ტანში ბავშვს. უცებ წინ ხვლიკმა გაურბინა. მან სწრაფად მოიმარჯვა თავისი ჯოხის ცხენი და ქვეწარმავალს დაარტყა. ხვლიკმა კუდი ადგილზე დატოვა, თვითონ კი სასწრაფოდ მიიმალა. დათუნამ დაიწყო ჯაგების ქექვა, შემდეგ რაღაცა სორო იპოვა და ჯოხით ამოჩიჩქნა.
- დათო, ბიჭო, არ გესმის, დედა რომ გეძახის? წამო ახლავე სახლში, - წყნარად უთხრა თავზე წამომდგარმა მამამ. დათუნა დაემორჩილა და ფეხმოთრევით გაჰყვა.
- ბიჭო, შენ ახლა უკვე ბავშვი კი აღარა ხარ, ხვალზევით თოთხმეტი წლისა ხდები.
დათუნამ ეშმაკური თვალებით გახედა წყალზე საწუწაოდ მიმავალ ტიტლიკანა სწორებს და უნებლიეთ ხელი გამოსტაცა მამას, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.
მამამ წყნარად გამოხედა, მერე მხარზე დაადო ხელი და საუბარი განაგრძო:
- ბიჭო, მე რაზე გელაპარაკები, შენ კი სულ ცელქობაზე გიჭირავს თვალი! ცელქობა კარგია, რა თქმა უნდა, ძალიანაც კარგი, მაგრამ უნდა იცოდე დრო. მე სამი დღის მერე მივდივარ თბილისში და ოჯახი შენ უნდა დაგიტოვო, შენ იცი, როგორ დაუჯერებ დედას და მოუვლი შენს პატარა ძმებს. ახლა დედას გაუგონე ყველაფერი და დაბადების დღეზე ისეთ საჩუქარს მოგიტან, როგორიც არცერთ შენს ტოლს არ ექნება. მე მგონი, მისი ღირსი შენ უკვე ხარ.
დათუნამ ყურადღება დაძაბა.
- რას მამა? - ვეღარ მოითმინა პატარამ. მამამ გაუღიმა.
- მოითმინე ცოტა. ეგეც ვაჟკაცობაში შედის. კარგი ვაჟკაცი ყოველთვის მომთმენია.
- რათა? განა ვინმემ რო გამარტყას, არ ვუპასუხო?
მამა ცოტა არ იყოს დაიბნა.
"რა ვუთხრა,- გაიფიქრა თავისთვის, - არ გაარტყას, უშნო შვილი რად მინდა, გაარტყას - ჩხუბიც არ ვარგა".
- ვანო, კაცო, შენ რაღა მოგივიდა, ჩქარა ამოდით, - გადმოსძახა აივნიდან დედამ.
მამა-შვილს უცებ დაავიწყდა ლაპარაკის თემა და აივანზე ასულები სუფრას შემოუსხდნენ.
ორი დღის შემდეგ, დაბადების დღეზე მამამ დათუნას გეკოს მარკის თოფი მოუტანა.
დათუნამ თოფს კარგა ხანი უყურა, მერე დინჯად გამოართვა, თავის საწოლთან დიდი ლურსმანი დააჭედა და ზედ ჩამოკიდა. ახლა უკან დაიხია, შორიდან დაუწყო ყურება. მამა, სავარძელზე მჯდარი, გაზეთის ზევიდან, სიამოვნებით უყურებდა ბიჭის განცდებს. დათო შემობრუნდა, მამას ხელი ჩამოართვა, გადაკოცნა.
- მოდი, ბიჭო, დაჯექი! არა, ჯერ თოფი მომიტანე, აგიხსნი, როგორ უნდა მოვლა, ხმარება.
დათუნამ თოფი ჩამოიღო კედლიდან, სკამი მოიტანა, მამამ მუხლზე დაირტყა ხელი.
- აქ დაჯექი, გენაცვალე.
- არა, მამა, სკამზე ჯობია! - ოდნავ დამორცხვებით უთხრა დათუნამ, რომელსაც ჩვეულებრივ, ძალიან უყვარდა მამის მუხლებზე ჯდომა. „ჰო, ასეთ დიდ შედეგსაც არ მოველოდი, რა უცებ დასერიოზულდა", - გაიფიქრა მამამ, მერე თოფი გამოართვა.

- აი, ეს არის კონდახი, ეს ლულა; ისინი დაკავშირებულნი არიან ამ ორი ხრახნით, ლულას შიგნით აქვს ჭრილები, რათა ტყვია შორს და მიზანში წავიდეს.
დათუნა სკამიდან ჩამოვიდა, სავარძლის სახელურზე დაჯდა და სულმოუთქმელად ადევნებდა მამის თითებს თვალყურს. „რას იტყვიან რეზო და ნოდარი, როგორ გაუკვირდებათ! მათაც ვასწავლი სროლას, მერე სანადიროდ წავალთ, ჰო, ჩვენ ქოფაკსაც წავიყვანთ ტყეში. ცეცხლს დავანთებთ.“ დათომ მამას შეხედა, რომელიც დინჯად განაგრძობდა ახსნას. ცოტა ხანს ყური მიუგდო, შემდეგ ოცნებამ გაიტაცა. დათუნა თავს ებრძოდა, მაგრამ მთელი გულისყურით მაინც ვერ უსმენდა მისთვის ასე ძვირფას საუბარს. ახლა მამა ყველაზე საინტერესო ადგილას მივიდა:
- აი, ეს გამონაშვერი არის სამიზნე. ჯერ უნდა გახედო ქვევითა სამიზნეში, შემდეგ როცა იქიდან დაინახავ ზეცას, ეცადე, რომ ქვედას თავზე გამავალი სწორი ხაზი, რომელსაც შენს გონებაში გაავლებ, მიებჯინოს ზედას წვერს. შემდეგ გამოსწევ ჩახმახს, ოღონდ ისე, რომ თოფი არ გაინძრეს.
დათუნა ახლა დაძაბული უსმენდა, თან ერთი სული ჰქონდა, თოფი თვითონ აეღო ხელში.
- ახლა გაიქეცი, ბიჭო, და ჩემი ჩანთა მომიტანე.
მოტანილი ჩანთიდან მამამ პატარა კოლოფი ამოიღო, შემდეგ თავი მოხადა.
- აი, ამ კოლოფში, როგორც ხედავ, არის გეკოს ტყვიები, სულ ორმოცდაათი. პირველი, რაც საჭიროა თოფის ხმარებისას იცოდე, ესაა სიფრთხილე! სიფრთხილე! და სიფრთხილე! ჯერჯერობით თოფს მხოლოდ ერთად ვიხმართ.
- შენ რომ ხვალ მიდიხარ, მამა?
ვანოს გაეღიმა.
- კარგი, დაგიტოვებ, დღეს კი გასწავლი ხმარებას.
მამა წამოდგა. ორივენი აივანზე გამოვიდნენ.
- აი, ეს არის ჩამკეტი, გადმოსწიე ასე, შემდეგ ტყვიას მისცემ ლულაში და ჩაკეტავ. მაშ ასე, აგერ იმ ვაშლს ხომ ხედავ, კარგი. ვიდებ მხარზე კონდახს. ვუმიზნებ.
მამამ ჩახმახს გამოჰკრა. ვაშლი გაქრა.
- მოხვდა, - თქვა მამამ.
- ხო, მოხვდა, - დაამოწმა დათომ, - მამა! –თხოვნით შეხედა ბავშვმა.
- ახლავე, ბიჭო, ახლავე, - მამამ ტყვია ჩადო, - გამომართვი თოფი და მოიმარჯვე, როგორც გასწავლე.
დათუნამ წყნარად ჩადო ტყვია და დაუმიზნა მეორე ვაშლს. მერე მაგრად მოჭუტა ცალი თვალი.
პც – დაიძახა ტყვიამ.
ვაშლი ადგილზე დარჩა.
- ეგ არაფერი, ბიჭო, ჩქარა შეეჩვევი, ოღონდ თვალს ასე გამწარებით ნუ ხუჭავ, თოფი თავისუფლად გეჭიროს და სროლის დროს სუნთქვა ოდნავ შეაჩერე. აბა შენ იცი, ფრთხილად, მე კი წავალ ახლა, სამუშაო მაქვს.
მამა ოთახში შევიდა. დათუნამ კი გაიფიქრა: “რა სირცხვილია. როგორ ავაცილე. ახლა კი აღარ ავაცდენ.” იგი ძალიან გაერთო სროლით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა.
ბიჭმა გზას გახედა, შორს დედა დაინახა, რომელიც სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა ბაზრიდან. მან თოფი სასწრაფოდ ჩამოკიდა ადგილზე და სირბილით წავიდა დედის მისახმარებლად.
- ოჰო, შენ სახლში ხარ? - გაუკვირდა დედას.
- ჰო, დიახ.
დედამ თავზე გადაუსვა ხელი.
დათუნამ კალათი ჩამოართვა და მხარზე გაიდო.
- რა იყო, დათუნა, რამ ჩაგაფიქრა? გენაცვალე, დღეს რა, არ იწუწავეთ?
- არა, დედა, არ მეცალა.

- რათა, მამას ეხმარებოდი?
- არა, თოფის სროლას მასწავლიდა.
- რა თოფის?
- დღეს ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად მიყიდა.
“რამ აყიდინა ვანოს თოფი, ახლა ამისთანა ცელქი ბავშვისთვის, როგორ შეიძლებოდა იაარაღი”, - გაიფიქრა დედამ, მერე ალერსით უთხრა:
- დათო, გენაცვალე, გარეთ არ გაიტანო ბავშვებში.
- არა, დედა.
დათუნამ სანოვაგე მაგიდაზე დადო. მერე „საიდუმლო კუნძული“ აიღო და ბაღში ჩავიდა საკითხავად.
„რა ვაჟკაცი იყო ჰერბერტი? როგორ ეხმარებოდა თავისებს, თანაც მგონი ჩემი ტოლა იყო, ნეტა მე რას ვიზამდი იმის ადგილას. ალბათ, ისევე მოვიქცეოდი, მართლა რა საინტერესოა. არა, უნდა ვეცადო, ისეთივე ვაჟკაცი გავხდე, ბოლოს და ბოლოს ბავშვი ხომ აღარა ვარ. აი, მამამ თოფიც კი მიყიდა. მაშ ღირსი ვარ. ნეტა სანადიროდ თუ გამიშვებენ“. ფიქრები მშობლის ხმამ შეაწყვეტინა.
- დათო, შვილო, საუზმეა.
- ახლავე, დედა, მოვდივარ.
დათომ წიგნი ჩანიშნა, მერე სწრაფი ნაბიჯით გავიდა აივანზე.
დედამ და მამამ ერთმანერთს გადახედეს, მერე მამამ ორაზროვნად გაუღიმა დედას.
- ქეთო, მე ხვალ მივდივარ, ალბათ, შენი და დღეს საღამოს ამოიყვანს პატარებს, ეყოთ ამდენ ხანს სტუმრად ყოფნა.
- როდის ჩამოხვალ, ვანო?
- ასე, ერთ კვირაში, მანამდე კი დათუნას ვტოვებ ოჯხში შენ დამხმარედ. ახლა ეგ უკვე ვაჟკაცია, მაგას აღარ დასჭირდება დარიგება.
“მართლაც, რაღა დროს ჩემი დაუჯერებლობაა, პატარა ხომ აღარა ვარ, თოფიც კი მაქვს”, - გაიფიქრა დათუნამ და ოდნავ წამოწითლდა.
- მქონდეს შენი იმედი, ბიჭო? - თქვა ვანომ.
- დიახ მამა.
სადილის მერე რას აკეთებ?
დათუნამ წყლისკენ გაიხედა. ამ დროს იქ პატარები ერთმანერთს ეჭიდებოდნენ, წუწაობდნენ.
- არაფერს, მამა, წიგნი უნდა ვიკითხო.
- არა, შვილო, სადილის მერე ცოტა დაისვენე, მერე კი წადი ბიჭებთან, ითამაშე.
დათუნამ შვებით ამოისუნთქა. შემდეგ გადაწყვიტა ეთამაშა, მაგრამ დროზე დაბრუნებულიყო.
მეორე დღეს დედამ, დათუნამ და მისმა ორმა ძმამ მამა სადგურზე გააცილეს. უკანა გზაზე თოთხმეტი წლის დათუნამ ხელი ჩაჰკიდა პატარებს და ცოცხლად მიჰყვა დედას. გული აღარ უთმენდა, ერთი სული ჰქონდა სანამ სახლში მივიდოდა; ძალიან უნდოდა თოფის ხელში აღება, ამ მოკლე ხანში ასე რომ შეუყვარდა. თან გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, კარგი სროლა ესწავლა.
- დათუნა, შვილო, რაზე ფიქრობ, - გამოელაპარაკა დედა.
- არაფერზე, დედა.
- მე მგონი, შენ იმ თოფზე ოცნებობ, არა?
- ხო, დედა.
- დათო, შენ სახლში აიყვანე პატარები, მე აქ შევალ, საქმე მაქვს.
- შეგიძლია ასაუზმო?
- კი, დედა.
- შემდეგ დააძინე.
- კარგი.
- მე წავედი.

დედამ გზიდან გადაუხვია. იგი აშკარად ამჩნევდა დათოს დასერიოზულებას და ზევით უფროსი ვაჟის ანაბარად მიმავალ ბავშვებს სიყვარულით უყურებდა.
როცა დათუნამ პატარები დააძინა, ჩამოიღო თოფი, მერე გაუტენავად, რამდენჯერმე დაუმიზნა ვაშლს. "ასე ახლა კი აღარ ავაცდენ, ხო, ჯერ ჩავდებ ტყვიას, ახლა ჩავკეტე, ჩახმახი ფეხზე დგას, ვიდებ გულზე, სულ ყველაფერი რიგზეა, ერთ ხაზზე სამივე წერტილი".
- პც. - გავარდა თოფი.
"აღარ არის ვაშლი", - სიხარულით დაასკვნა გულში დათუნამ, მერე მეორეს ესროლა.
- ასცდა.
კიდევ ესროლა - მოხვდა.
"ასე, სამში ორს ვარტყამ უკვე, მაგრამ ვაშლი ხომ ცოცხალი არ არის, არ ინძრევა. მთავარია, ცოცხალ რაიმეს მოვარტყა. აი, თუნდაც ჩიტს".
დათუნამ თოფი მოიმარჯვა. მეზობლად მდგარ ბლის ტოტზე გატიკნული ღობემძვრალა ქანაობდა.
- პც, - დაიძახა თოფმა.
ჩიტი გაქრა. დათუნა ხისკენ გაიქცა.
"მოვარტყი, მოვარტყი," - უხაროდა პატარას. მერე მამის სავაზნე და საგუდავები ჩამოიტანა, რომელზეც მოკლული ჩიტი დაიკიდა.
ჩიტების პატარა გუნდმა თავზე გადაუქროლა და იქვე, მახლობლად დაჯდა. დათომ ესროლა - კიდევ მოხვდა.
მთელი საათი ნადირობდა პატარა დათო და შვიდიოდე ჩიტი ჩამოაგდო.
ახლა იგი მსროლელი, ნამდვილი მსროლელი იყო: უნდოდა, რომ მამა მალე ჩამოსულიყო, - როგორ გაახარებდა. დარწმუნებული იყო, რომ ის ტყეში წაიყვანდა სანადიროდ, იქ დიდ ნადირს მოკლავდა. ალბათ, ბიჭებს გაუკვირდებოდათ, რომ მათი ამხანაგი მონადირე გახდა. მათ ხომ თოფი არც კი სჭერიათ ხელში, მან კი შვიდი ჩიტი მოკლა.
ბეღურა ვაშლის კენწეროზე შემოჯდა და ლამაზად დაიწყო რხევა. მან გადაწყვიტა, ეს ჩიტიც მოეკლა და მერე დაესვენა.
დათუნამ თოფი მოიმარჯვა. პატარა ჩიტი ყელმოღერებული იჯდა კენწეროზე. მზე ღრუბლებს მოეფარა და მორუხო ცის ფონზე ფრინველის გვერდები მშვენიერად ჩანდა. პატარა მონადირეს ძალიან მოუნდა, რომ ამ ფრინველისათვის შიგ თავში მოერტყა. დინჯად დაუმიზნა თოფი.
- პც, - გაისროლა თოფმა.
დათუნამ ჩიტს შეხედა. ფრინველი უღონოდ დაეშვა ქვედა ტოტზე, აქ ცოტა ხანს გაჩერდა, მერე უფრო ქვევით ჩამოეშვა. საწყალი ჩიტი დაჭრილი ჩანდა. დათუნას გააჟრჟოლა, თოფი კუთხეში მიაყუდა და სავაზნე, საგუდავებიანად, რომელზედაც შვიდი ფრინველი ეკიდა, მოიხსნა.
დახოცილი ჩიტების დანახვა რაღაც აღარ ესიამოვნა. ახლა იგი ხის ძირისაკენ გაიქცა. აქ, ხახვის კვლებში იჯდა პატარა ჩიტი. „ცოცხალია, - შვებით ამოისუნთქა ბიჭმა, მაგრამ რაღაც არ იძვრის. ალბათ, დავჭერი, რაც გინდა იყოს, მოვარჩენ", - მისცა თავს პირობა, მერე დაიხარა და ფრინველი ხელში აიყვანა. „ოი", - უნებლიედ აღმოხდა ბავშვს, - საწყალი, საწყალი. ჩიტმა თავი ახლა მთლიანად მოაბრუნა. ნისკარტის ადგილას მხოლოდ წითლად გამოყოფილი ენაღა ჰქონდა. მისი პატარა მკერდი ჩქარ-ჩქარა სცემდა. დათუნას გული შეეკუმშა, „ეს რა ვქენი", - გაიფიქრა მან.
მერე ნელა წამოვიდა აივნისკენ, აქ ჩიტი ნაზად დასვა მაგიდაზე და წყალი მოუტანა. ჩიტი შეშინებული იყურებოდა, მკერდი სულ უფრო ხშირად უცემდა. „ოხ, მხეცი ვარ, მხეცი! როგორ მომივიდა ეს, ნეტავი მომეკლა მაინცა, თუმცა რათ მინდოდა. წავალ, ვაშლს დავუჭრი, იქნება შევაჭამო როგორმე". დათუნამ კიბე ჩაირბინა, აქვე, ღობეზე ჩამოკიდებულ მგუდავებს მოჰკრა თვალი, რომლებზედაც საცოდავად ჩამოხრჩობილი ფრინველები ქანაობდნენ. დათუნას გული შეეკუმშა. „რა ბოროტი ვყოფილვარ, რა უსინდისო, რისთვის დავხოცე! თუმცა ჰერბერტიც ხომ ხოცავდა, და სხვა მონადირეებიც, ვინც ვაჟკაცებად ითვლებიან."

ამის მოგონებაზე ცოტა შვება იგრძნო. ვაშლის ხის ძირში ტყვიისგან დაფხრეწილი ხილი ეყარა. „ესეც აღარ იჭმევა, სულ დამიგლეჯია“, - დათომ ისევ უხერულად იგრძნო თავი, მერე ერთი ვაშლი აიღო, აივანზე წვრილად გახეხა და ჩიტს მიუტანა, ფრინველი კი იჯდა და სულ უფრო საცოდავად სუნთქავდა. „რა სულელი ვარ, უნისკარტოდ ეს ვერც შეჭამს, ვერც დალევს, მაშ რა მოუვა ნეტავი? საწყალი, ალბათ, შიმშილით მოკვდება, რომ მოვკლა, აჯობებს, ნამდვილად აჯობებს, ხო მოვკლავ, წამებას გადარჩება.“ დათომ ჩიტი ხელში აიყვანა. „როგორ მოვკლა, საწყალი“, პატარას ცრემლები მოადგა, მერე ლოყაზე ბუმბებმა დააყარა, მისი ხელით მოკვლა არ შეეძლო; ქვევით ჩაიყვანა ჩიტი, იქ ღობეზე დასვა, თავი დაანება, შემდეგ ისევ აივანზე დაბრუნდა და წიგნი აიღო, მაგრამ კითხვა ვერ შეძლო. იგი თვალს ვერ აშორებდა ღობეზე მჯდარ ფრინველს. „მაინც რატომ ხოცავენ საწყლებს. მამაჩემიც ხომ ხოცავს. ნეტა არა რცხვენია? რათა ხოცავს? საწყალი ჩიტები, როგორ მეცოდებიან, ნეტავ რათ ხოცავენ, ან რატომ ითვლებიან ვაჯკაცებად? მამა თვითონ ამბობდა, შენზე სუსტი და პატარა არა სცემოო. ბიჭმა ძლივს გაამახვილა ყურადღება წიგნის კითხვაზე. ქვევით მოთხრობილი იყო, ჰერბერტი როგორ გამოვიდა სანადიროდ. ახლა ამ ბიჭმაც ოდნავ დაკარგა მის შეგრძნებაში პატივისცემა.
დათუნამ ისევ ჩიტს გახედა. მას თავი მიებრუნებინა და უმწეოდ იყურებოდა. „ნეტავ რას უყურებს,“ - ძლივს მოასწრო გაფიქრება, რომ მეზობლის კატამ ერთი სკუპით მოხსნა ჩიტი ღობიდან და ტყრუშულს გადაევლო. დათუნა სწრაფად წამოხტა და თოფით ხელში გამოუდგა კატას, მაგრამ კატა გაუჩინარდა. „ოხ, რა ვერაგები არიან კატები, სიამოვნებით დავხოცავდი, ტყვილა არ მძულდა! საწყალი ჩიტი, რას ერჩოდნენ.“ ღობესთან ისევ დაინახა ჩამომხვრჩალი ფრინველები.
ნიჩაბი აიღო და მათთვის საფლავის თხრას შეუდგა. მიწის მიყრის შემდეგ ლამაზად შემოულაგა ქვები და გადაწყვიტა, ხვალვე ზედ ყვავილები დაერგო, მერე დაენანა, რომ ერთი კატამ გაიტაცა და შეიძლება შეჭამა კიდეც.
დათო ზევით ავიდა და წიგნის კითხვა განაგრძო, თან კატა ეჩვენებოდა.
ახლა იგი იმ ადგილას იყო, სადაც ჰერბერტმა ფრინველი მოკლა, ხელში აიტაცა და გახარებულმა დაიძახა:
- დღეს ჩვენ მშვენიერი ბულიონი გვექნება! - მართლაცდა ყოჩაღ, ასეთი სადილი თვით მეფესაც შეშურდებოდა, როგორც ამ ფრინველისაგან ჩვენი მაიმუნი დაამზადებს, - დასძინა პროფესორმა.
დათუნამ წიგნს თვალი მოაშორა და მზერა სივრცეში გადაიტანა. ქვევით სოფლის მტვრიანი გზა მოჩანდა, რომელზეც ურემი მიიზლაზნებოდა. შარაგზა მამამისის ნაცნობმა მონადირემ გადასერა და ბუჩქებს შეერია. „ეგეც სანადიროდ მიდის. რა გემრიელ სადილს აკეთებს მერე ძია სიკოს ნანადირევიდან დეიდა თამარა“, - გაიფიქრა ბიჭმა.
„მიაუ“, - დაიკნავლა ამ დროს მეზობლის კატამ და მოაჯირზე ამოძვრა, პირში ჩიტის ბურტყლები ჰქონდა გაჩხერილი. დათუნამ სწრაფად დაავლო თოფს ხელი, მერე ისევ დაუშვა, „მაგას ჩემზე ნაკლები დანაშაული აქვს, - ბუნდოვნად ფიქრობდა იგი, - მაგან ჭამა მაინც, ალბათ მაგისთვის გემრიელი იყო, მე კი სულ ტყუილა დავხოცე“.
დათუნა ძალიან, ძალიან დაღალა ამდენმა ფიქრებმა. იგი ბურანში გაეხვია. შემდეგ ჩაიძინა, კატა კი ფეხებთან მიუჯდა, თავი ტერფზე დაადო და მანაც ჩათვლიმა.

1956 წ.

მუხრან მაჭავარიანი **(1929-2010)**

ვითარცა მტკვარი
მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას ციოდა,
და
დრო
გადიოდა.
ვითარცა ღვინო –
ქვევრიდან
ხაპში –
ხაპიდან –
დოქში –
დოქიდან
ჯამში –
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში...
გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა –
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი...
გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
უღმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ
და...
მიუხედავად ამისა, მაინც –
გამოიარა
რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,



გამოიარა
სულხანის გული
და დღეს –
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
სულხანის ნაქონი სისხლით –
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი.
და...
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

საქართველო

მაშ ოქვენ ფიქრობთ, რომ
არ ჰყოლია მტერი რუსთაველს?
არ გაჰქცევია საშშობლოდან სულთა
მხუთავებს?
და მარტოოდენ უამეადო ტრფობის
ბრალია
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული
დალია?
იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა
ძელექსე;
თეიმურაზი, არჩილ მეფე, ვახტანგ
მეექვსე,
საბა სულხანი გაახვია ბერის კაბაში,
თავშესაფარი დაუკარგა ბესიკ გაბაშვილს,
მაშველს მოსტაცა სამუდამოდ
გულამშეშვილი
და ბარათაშვილს აშოხადა სული
შიშშოლით
იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა
ტყვია,
და ან ბაჩაბელს გაუწოდა ხელი სამიწე,
ან იქნებ მასაც სიყვარულის სახელი ჰქვია
რამაც შეშალა მთის არწივი მოჩხუბარიძე.
არა, ქართველთ გზა როდის არის ასე
ოოლი,
ბევითმკვლელობაა ჩვენში დიდი საქმის
დაწყება,
სარკმელს გააღებს გულამღვრეული
გალაკტიონი
და ქვაფენილზე შურდულივით
დაენარცხება.
იქნებ გგონიათ, დადუმდეს ენა,
ვერ მოესწრებით, არა და ვერა!
ერეკლე მეფე ხომ არ გგონივართ,
თანხმობა მოგცეთ, არა და ვერა!
შოთა რომ არა, ტატო რომ არა,
ვაჟა რომ არა, კიდევ ჰო, მარა...
ესენი როა? ესენი როა,
ახლა კი დროა სოლომონ რომა,
კვლავ დაიქუხოს საქართველომა!
ირიყრაყებს, დილა მოვა კრიალა,
ბოროლა ცას შეასკდება იარად,
მიწიანა, ჩირგვიანად, ციანად,
საქართველო ყვავის ყველაფრიანად,
ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუწ-ნაკუწ,კი არა
საქართველოს გაუმარჯოს მთლიანად!
ტყეებს, ველებს, წყაროს, მდელოს
მთლიანად.
საქართველოს მოთმინების ფიალას!
რა ძნელია, საქართველო,
მეტეხი და დიღმის ველო,
მიდიოდე და ჰფიქრობდე
ეს არ არის საქართველო.
ნაკუწ ნაკუწ კიარა , გაუმარჯოს
საქართველოს მთლიანად!
მიწას, ცასაც, მინდორ ველებს ხიანა
საქართველოს მოთმინების ფიალას!!

მუხრან მაჭავარიანი



მუხრან მაჭავარიანი

"ვინც კი, საერთოდ, რაიმეს უცდის"

ვინც კი, საერთოდ,
რაიმეს უცდის, -
ტაქსის უცდის თუ
ტრამვაის უცდის! -

უკეთუ უცდის,
რაკიღა უცდის, -

ეს იმას ნიშნავს,
რომ სიკვდილს უცდის.



ზუსტად 8 საათზე

ნოდარ დუმბაძე

პატარაზე გაუღეს თუ არა კარი, ევროპა თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა წინა აზიაში: მოკლე კაბებით, ვიწრო შარვლებით, მოკასინებით, შეკრეჭილი და სტაფილოსფრად შეღებილი თმებით, წვრილი ქუსლებით, მცირეგაბარიტიანი ავეჯით, მაგნიტოფონებით, ლუი ამსტრონგებითა და ჩაო–ჩაო ბამბინოებით. მე კი „მოპრმა“ რომ მამაჩემს ოცდარვა წელს არტელ „ანტიბურჟუის“ მიერ გამოშვებული პატეფონი აჩუქა, ისევ ის მიდგას სახლში. კარგია მერე ეს?

ევროპაში ნამყოფი ჩემი მეგობრები დილით თურქული ყავითა და OC–ის მარკის კონიაკებით საუზმობენ. მე კი ისევ მურაბიანი ჩაითა და ცეკავშირის ყველით ვსაუზმობ.

ჩემი ამხანაგები ისეთი ვიწრო შარვლებით დადიან, ორი კაცი ეხმარებათ გაძრობაში. მე კი, ქამარს რომ შევიხსნი, მისით მძვრება. კარგია მერე ეს? რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ იმედი მაქვს, ამ მოთხრობის შემდეგ გამოვსწორდები, რადგან ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებს გარკვეული აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს თვით ავტორისთვისაც.

ვიოლა კავშირგაბმულობის სახლის წინ შემხვდა. ამათვალიერ–ჩამათვალიერა, ქალს რომ კაცი შეეცოდება, ისე გამიღიმა და მკითხა:

– დღეს საღამოს თავისუფალი ხარ?
– კი, რა იყო?
– გამოიცვალე, აბა, ეგ ტომარა, წვერი გაიპარსე და მოდი ჩემთან.
– რაშია საქმე?
– პატარა სვეტსკი ვახშამი მაქვს!
– ვინ იქნება?
– ერთად ვიმოგზაურეთ ევროპის გარშემო. მოკლედ, მოხვალ და ნახავ.
– კარგი, ბატონო!
– არ დამიწყო ახლა ქართული ნომრები, კაცს რომ დილას დაპატიჟებ და ღამის ორ საათზე მოგადგება ძმაკაცებით. საღამოს რვა საათზე ზუსტად!
– ჩვენი დროით?
– ჩვენი დროით!
– კი, ბატონო!
– აბა, ჩაო!
– რაო?
– ნახვამდის!
– ნახვამდის!

იგი წავიდა წელის ირიბი რხევით და იქვე კედელზე აყუდებული ვიღაც მუტრუკის

ღმუილი და მკერდზე მჯიღის ბრახუნი დაიმსახურა.

კაცი რომ ვახშამზე დაგპატიჟებს და გამაძღარი ესტუმრები, ამაზე დიდი სიბრიყვე და სისულელე ქვეყნად წარმოუდგენელია. მართალია, არც მთლად წაქცევაზე მისვლა ვარგა, მაგრამ კარგა გვარიანად მოშიებული კი უნდა იყო. ამ ტრადიციით აღზრდილი მივადექი ვიოლას ბინას ზუსტად საღამოს 8 საათზე. ვიოლას მისაღებ ოთახში, სკანდინავიის ქვეყნების მცირე გამონაკლისის გარდა, სამხრეთ–დასავლეთ ევროპა სუფევდა.

– თენგიზ, აცეკვე! ხომ ხედავ, ბიჭები არ გვყოფნის, – მისვლისთანავე შემომაჩეჩა ვიოლამ თავისი მეგობარი და ჩვენ საოცრად მინორული ბლიუზის ტაქტზე შუა ოთახში შევცურდით. იგი ცეკვავდა ნაზად და თვალს არ მაცილებდა, მე ვცეკვავდი უხეშად და თვალს ვარიდებდი. მას ფრანგული სუნამოს „შანელის“ სურნელი ასდიოდა, მე – საავიაციო ბენზინისა.

– თქვენ რა გქვიათ? მკითხა მან და ფილტრიანი სიგარეტის იისფერი კვამლი შემომაბოლა.
– მე თენგიზი, თქვენ? – ვკითხე და პრიმის შავი კვამლი მივაფუტუნე.
– მე – თათია. თქვენ ევროპაში ხართ ნამყოფი?
– არა. თქვენ?
– ო, მე გარშემო.
– რატომ, შიგნით არ გიშვებდნენ?
– ასტრაუმნო! – გამიღიმა მან, საჩვენებელი თითი ცხვირზე დამაჭირა, – ზრრრრ... – დარეკა და გადაიკისკისა.
– თქვენ თმებს იღებავთ? – ვკითხე მე და თმაზე ხელი გადავუსვი.
– ო, არა, ზღვაზე გამიხუნდა. თქვენ?
– რა მე?
– ასე შავი თმები რატომ გქვთ?
– შავ ზღვაზე გამიშავდა.
-ასტრაუმნო!.. – გამიღიმა მან. ისევ ასწია საჩვენებელი თითი და ისევ უნდოდა ჩემს ცხვირზე ზარი დაერეკა, მაგრამ ბლიუზი შეწყდა და მე მადლობის ნიშნად თავი დავუკარი. თათიას თითი შუბლზე მომხვდა. ორთავეს გაგვეცინა. ცეკვა შეწყდა. ორთავე სავარძლეში ჩავესვენეთ. სალონური საუბარი ჩემს პირდაპირ მჯდომმა შიომ დაიწყო: .
– წაიკითხეთ მერაბ ფხალაძის ლექსები?
– გამოვიდა? – იკითხა ვიოლამ.
– ვგიჟდები მაგ ბიჭზე, ფრანგულ მინიატურებს მაგონებს... – თქვა თათიამ.
– ის რა გვარია, კარგ მოთხრობებს რომ წერს და რომ არ უბეჭდავენ? – ვერ გაიხსენა ლულუმ.
– მასეთი რამდენიც გინდა იმდენია. შენ რომელზე ამბობ? – ჰკითხა ბენომ.
– აი ის, წვერგაუპარსავი, თმადაუვარცხნელი და ჭიპამდე პერანგჩახსნილი რომ დადის. ძალიან აბსტრაქტულ რაღაცეებს წერს, კონკრეტულობაში.

– სტეინბეკი თუ წაიკითხეთ ბოლო? – გვკითხა ვიოლამ.
– ისე გადავხედე და, მართალი გითხრა, სადღაც რაღაცაში ძალიან ისეთია... პრინციპში, მე მაგალითად, ის უფრო მომწონს. რა ქვია? აი ის, კინოც რომ გადაიღეს მერე, დიდი თევზი რომ დაიჭირა და... წვერები რო აქვს, თოფი რომ გაუვარდა, – ტუჩები მოიკვნიტა შიომ.
– ჰემინგუეი! – გამოვიცანი მე. ლულუს დედამ, კალენტი ბიცოლამ, კონიაკი შემოიტანა და მაგიდაზე პატარა სათითურებს შორის ჩადგა.
– კონიაკზე გამახსენდა, რემარკზე რას იტყვით? – გვკითხა თათიამ და თვალები მოწურა გამომცდელად.

რემარკზე ყველამ ვთქვით, რომ იგი ძალიან ბევრს წერს კონიაკზე, რომ იგი სადღაც რაღაცაში ჰგავს, რა ჰქვია იმას?.. ის რომ დაწერა, სულ რომ სვამენ და ესპანეთში რომ არიან, ლოთი ქალი რომ არის, ხარებს რომ ეჩხუბებიან იმაზე, რა ჰქვია იმას? ჰოდა, იმას ჰგავს სადღაც რაღაცაში. მერე ბენომ პარიზში მიღებული შთაბეჭდილებები მიამბო.

– პარიზში არ ყოფილხარ? – მკითხა მან.
– პარიზში არა, – დავიმორცხვე ისე, თითქოს მოსკოვში ვყოფილიყავი ნამყოფი.
– გახსოვთ, გოგოებო, სტოკჰოლმიდან კოპენჰაგენზე გავლით პარიზში რომ ჩავედით? – გოგოებს ახსოვდათ.
– სასტუმროდან პირდაპირ უნივერმაღში გავქანდით, ლუვრის ახლოს რომაა, „ბო მორშე“...
– მერე? – მომკლა ცნობისმოყვარეობამ.
– მერე? – ვეკითხები გამყიდველს, – ნეილონის საროჩკა არ გაქვთ–მეთქი?
– აუჰ! – გამიკვირდა მე.
– კეს კე ვუ ვულე? – მკითხა გამყიდველმა.
– რაო, რა მინდაო?
– ვიცი და არ გეუბნები? ვიმეორებ, საროჩკა, საროჩკა...
– ვას ვოლენ ზი? – მეკითხება ისევ.
– სა–როჩ–კა, – დავუმარცვლე მე.
– უოტ დუ იუ ლაიკ? – შემეკითხა კიდევ და შტერივით მიყურებს.
– კი მაგრამ, რუსული არ იცოდა იმ უპატრონომ? – გავბრაზდი მე.
– რუსული კი არა, ის მოთხოვე ახლა გამყიდველს! – გაეცინა ლულუს.
– ვაი, სირცხვილო! – გავწითლდი მე.
– აბა, ბიჭო, მოკვდა სირცხვილით. მაგათ არაფრის არ ცხვენიათ, – თქვა თათიამ.
– მერე, მერე? – გამომელია მოთმინება.
– მერე რა, სანამ არ შემოვიხიეთ ტანზე, ვერ გავაგებინეთ, ასე არ იყო, გოგოებო? – დაამთავრა საინტერესო ამბავი ბენომ.
– მიკვირს, როგორ ნიშნავენ ისეთ ხალხს გამყიდველად, ერთი ხუთი ენა მაინც თუ არ იცის! – განცვიფრებით აიჩეჩა მხრები ვიოლამ და მაგიდასთან მიგვიპატიჟა. შიომ სათითურები შეავსო, ვიოლამ თითო ფინჯანი შავი ყავა დაგვიდგა და ხუთმა კაცმა ერთად გავაქანეთ ხელი პაპიროსის ქაღალდივით სიფრიფანად დაჭრილი ნამცხვრისკენ. ნამცხვარი გაქრა. მოიტანეს მეორე წყება. ყავას სასიამოვნო ოხშივარი ასდიოდა და მისი სურნელი ნესტოებიდან პირდაპირ მშიერ კუჭში მიექანებოდა ძლიერი ჭავლით.

– ხელოვნებას გაუმარჯოს იმ ასპექტში, ჩვენზე რომ დიდ ემოციურ იმას ახდენს სადღაც რაღაცაში, რა თქმა უნდა, ინტელექტუალურად, – თქვა შიომ და სათითე პირში გადაიმხო.

კონიაკი გადაჰკრა და თვალები ააპარპალა.

– უუჰ, პიკასო! – გაასავსავა ხელები თათიამ, მერე კონაკი გადაჰკრა და თვალები ააპარპალა.
– წარმოგიდგენიათ, ბებერია და ისევ ხატავს. ოხ, მაგის მათხოვარი! – ამოიოხრა ვიოლამ. ლულუმაც ამოიოხრა, მაგრამ არაფერი არა თქვა, მხოლოდ თავი გააქნია, არ გამახსენოთო და ნამცხვრის უკანასკნელი ნაჭერი დაითრია.
– ერთი ყავა, თუ შეიძლება კიდევ, ვიოლა, – შეუკვეთა თათიამ და განაგრძო.
– ჭურში ვზივართ, გენაცვალე. ევროპას ყავით უდგას სული, აბა, ჩვენ რომ მივუსხდებით მაგიდას ღორებივით და ვშთანთქავთ; ეს კატლეტიო, საცივიო, მწვადიო, ტოლმაო, სუკიო, შემწვარი სულგუნიო, ბორშჩიო, ჭყინტი ლობიოო... მუშტისხელა ნერწყვი გადავყლაპე და თათიას მუდარით სავსე თვალები მივაშტერე – გეყოფა, ნუ შემშლი–მეთქი. თათია განაგრძობდა:
– ეჰ, ევროპა. შეხვალ კაფეში, გენაცვალე, და სადაა პური? – ეს უკვე ზედმეტი იყო. პურის ხსენებაზე ენაზე დამბლა დამეცა, კისრის ძარღვები დაწყვეტამდე დამეჭიმა და პავლოვისეული რეფლექსები ერთად ებრდღვნენ ჩემს ლიმფურ თუ სანერწყვე ჯირკვლებს.
– ამიტომ არიან, გენაცვალე, ტანადები და ფეხადები, ნახე ბარდო, ნახე სილვანა, ნახე მერლინ მონრო და სოფია ლორენი, – თქვა ლულუმ, მერე ცარიელ თეფშზე ნეკით შეაგროვა ნამცეცები და მორიდებულად ჩაიყარა პირში.
– ცივილიზაცია, გენაცვალე, ცივილიზაცია... როდის მივალთ იქამდე, პაპუასები ვართ, ნამდვილი პაპუასები, როგორც მიკლუხო იტყოდა, მაკლაი, პაპუა...
– პური! – დავიკვნესე მე.
– რა?! – მკითხა გაკვირვებულმა ვიოლამ.
– პატარა ნაჭერი პური და ყველი, თორემ გული წამივა, მშიერი ვარ წამოსული. სალონში უკმაყოფილო და დამცინავი ჩურჩული ატყდა. ვიოლა სამზარეულოში გავიდა და იქიდან გამხმარი პურის ყუა და გაქვავებული ყველის ნაჭერი გამომიტანა.
– უკაცრავად, თენგიზ, სადილი არ გაგვიკეთებია, არ გვეგონა...
– რას ამბობ, ვიოლა! –დავამშვიდე მე და პურს ვებრდღვენი.
თათიამ ვერ გაუძლოი ჩემს ყურებას, ადგა და მაგნიტოფონი ჩართო. „ო ჯეკი ჯოო“ – ააყოლა ჩემს ყბებს მაგნიტოფონმა. შუაზე რომ დავიყვანე პური და ყველი, თათია გვერდზე მომიჯდა და მორიდებით მკითხა:
– ძალიან გამხმარია პური?
– არა უშავს, – ვუპასუხე ისე, რომ ყბა არ გამიჩერებია.
– აბა, მაჩვენე! – მთხოვა თათიამ. მე პური მივაწოდე. თათიამ პური ჩაკბიჩა და აღარ დაუბრუნებია. არაფერიც, სულაც არ არის გამხმარი. ყველი მომიტეხე, რა? – მოვუტეხე.
– მართლა არ არის გამხმარი? – იკითხა ლულუმ.
– აბა, მაჩვენე?!
თათიამ აჩვენა.

ვა, მართლა არ ყოფილა გამხმარი! – გაუკვირდა ლულუს.
– მართლა? – გაუკვირდა ბენოსაც, მაგრამ საჩვენებელი პური აღარ იყო.
– ვიოლა, ნახე ერთი, თუ ქალი ხარ, სამზარეულოში იქნებ არის კიდევ პური! – შეეხვეწა შიო.
– ვაიმე, რა ვქნა, რომ არ არის, რაღაც ძველი პურები მიწყვია ქვაბში მერძევის ძროხისთვის.
– მოიტა, კაცო, მერძევის ძროხა მოიცდის! – აიქნია ხელი ბენომ. ვიოლამ პური ქვაბით შემოიტანა.
„ო ჯეკი ჯოო!“ – იქაჩება მაგნიტოფონი.
– პატარა მომიტეხეთ, – ვიქაჩები მეც.
– ვიოლა, ნახე ერთი, ყველი აღარ არის?
– ვიოლა, ბოლოკი ან ნიორი არა გაქვთ?
– ხახვი და მარილი წამოიღე, ვიოლა!
– უჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, ეს ტყემალი მკვდარს გააცოცხლებს.
– დამარტყი, თუ ძმა ხარ, ზურგზე ხელი, გულზე დამეცა, – მთხოვა თათიამ და ზურგი მომიშვირა.
– ღვინო არა გაქვს, ვიოლა, ერთი ბოთლი?
– ვაიმე, რა ვქნა, ჭანგიანია.
– მოიტა, კაცო, გაავსე, თუ ძმა ხარ, ჩაის ჭიქა. წაიღე, თუ ქალი ხარ, ეს სათითურები, – დადგა თამადად ბენო.
– ამ ყავას რა ვუყო? – სასოწარკვეთილად თქვა ვიოლამ.
– გააცივე და მერძევის ძროხას შეუნახე, კალორიებს მოუმატებს, – დაარიგა შიომ.

მე ჩაის ჭიქები შევავსე. კალენტი ბიცოლამ, ქრისტემ რომ უდაბნოში სასწაული მოახდინა, იმაზე უარესი ქნა. მაგიდაზე თახთახა ხაჭაპური დადო და მორცხვად დაჯდა ოთახის კუთხეში. „ჩაო–ჩაო ბამბინო“, გვემშვიდობებოდა მაგნოტოფონი.
– გამოთიშე, თუ ძმა ხარ, ეს შობელძაღლი, ახლა ვიწყებ მე ქეიფს, „თბილისო“ არა გაქვთ? – წამოდგა ბენო.
– თბილისო არა, კეკელა და მარო მაქვს, – დაიმორცხვა ვიოლამ.
– დაუკარი, მაგის რჯულიც არ იყოს. აბა, კალენტი ბიცოლას გაუმარჯოს, მოდი, ჰო!
– იცოცხლეთ, შვილებო!

HELLADOS



- ჯემალ, სკრიპკა!
- იანგული, ლაწირაკო!
- ჯემალ, ქამო!
- იანგული, წუწკო ბერძენო!
- ჯემალ, წირპლიანო!
- პატარების ყოჩო!
- ვირისთავო!
- ვირის მწყემსო!
- გოგოების მაჩალკა!
- ხულიგანო!
- თბილისელო ჰარიფო!
- შენი დედა ვატირე, იანგული!
- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

•

სოხუმელი ბერძენის ხრისტო ალექსანდრიდის შვილი იყო იანგული. ნაფოტივით თხელსა და ბეჭებგანიერს სწორი, ლამაზი ცხვირი, ნახშირივით შავი თვალები და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. რომ იდგა, მუხლებამდე წვდებოდა უზარმაზარი ტორები. თოთხმეტი წლისა იყო. თავის ტოლ უბნის ბიჭებს შიშის ზარს სცემდა. საოცარი ჩხუბი იცოდა, ორ-სამ ბიჭს ერთად გაასილაქებდა, ხელს არ გაანძრევინებდა. კატასავით სწრაფი იყო, კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი. ზამთარ-ზაფხულ სატინის შავი ხალათით დადიოდა, მკერდგაღეღილი.

ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა, მდინარე ჩალბაშის პირას, მამამისთან ერთად. დედა ისე პატარას გარდაცვლოდა, არც კი ახსოვდა. მიწის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტნით. ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა. რძეს, მაწონს და მწვანილს ჰყიდდნენ მეზობლებში და სოხუმის ბაზარში, იანგული არსად არ სწავლობდა, მამამისს ეხმარებოდა მეურნეობაში და ხანდახან ვირსაც დაჰყვებოდა სავაჭროდ. დანარჩენი დრო ქუჩაში იყო გადებული. რკინიგზის გადასასვლელთან იდგა ხოლმე, სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკდა, ზოგს ძალით, ზოგს ნებით, თუთუნს, ხურდა ფულს, ბრჭყვიალა ნივთებს, ჯაჭვებს, ფერად ფანქრებს, კალმისტრებს ართმევდა, მეორე დღეს იმავე ნივთებს იმავე ბიჭებთან შეღავათიან ფასებში ჰყიდდა. მერე თავიანთსავე ფულზე ეთამაშებოდა, უგებდა, ჯიბეებგატენილი ბრუნდებოდა შინ.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

ამ თოთხმეტი წლის დიქტატორს ყურმოჭრილ მონებად ჰყავდა მთელი ვენეციის გზატკეცილის ბიჭები და მათ შორის ჩემი დეიდაშვილი კოკაც.

უბნის ყოჩი იყო იანგული.

ჩვენი ნაცნობობა 1938 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დეიდაჩემმა ნინამ, ობლობა რომ არ მეგრძნო, თბილისიდან ჩამოსული მეორე დღესვე მთელ სოხუმში სახელგანთქმულ მუსიკის მასწავლებელ ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიასთან მიმიყვანა და მუხლებში ჩაუვარდა:

- ობოლია, დედამისი ვიოლინოზე ატარებდა, უდედობა და ობლობა რომ არ იგრძნოს, უარს ნუ მეტყვით; სხვას რომ ახდევინებთ, ორი იმდენი გამომართვით, ოღონდ აიყვანეთო.

ნავროდსკაიამ ჯერ სმენა გამისინჯა, მერე ნოტების კითხვაში გამომცადა, თითებზე დამხედა, ნიკაპის ქვეშ ხელით კოჟრი მომისინჯა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ვიოლინო გამოიტანა, სიმები მოუშალა და ააწყვეო, მითხრა. დეიდაჩემი შეშინებული მიყურებდა და, როდესაც ვიოლინო ავაწყვე, შვებით ამოისუნთქა.

- აბა, ახლა ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დაუკარი! - მითხრა ელენე მიხაილოვნამ, სავარძელში ჩაჯდა და მოსასმენად მოემზადა. ბეთჰოვენის ხსენებაზე დეიდაჩემს საქციელი წაუხდა.

- პატივცემულო ელენა მიხაილოვნა, იქნება სხვა, უფრო პატარა კომპოზიტორი გეკითხათ?! - სთხოვა ნავროდსკაიას და ცხვირსახოცით შუბლზე გამოცვარული ოფლი დაიმშრალა.

- როგორ, „ზაზუნას“ არ უკრავს? - ჰკითხა გაკვირვებულმა ნავროდსკაიამ დეიდას და წარბები აზიდა.

მე მივხვდი, რომ დადგა ის სანატრელი ჟამი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც საშუალება მეძლეოდა, თავი დამეხსნა მუსიკის მონობის უღლისაგან, რომელშიც ექვსი წლისამ შემაბა დედაჩემმა და უმოწყალოდ მხედნიდა. საკმარისი იყო ახლა, ამ წუთში, მეთქვა ერთი მაგიური სიტყვა - „არა“, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ არ ვიცი დეიდაჩემის ტანჯულმა სახემ, ნავროდსკაიას გაკვირვებულმა გამოხედვამ, ცამეტი წლის ბავშვის განუზომელმა პატივმოყვარეობამ თუ ჩემთვის გაურკვეველმა კიდევ რაღაც ძალამ ხელში ამაღებინა ვიოლინოს ხემი და ოთახი „ზაზუნას“ მარტივი და განიალური მელოდიით აივსო.

როდესაც დაკვრა დავამთავრე, დეიდა ნინას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ნავროდსკაიას კი სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეფინა.

...და ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიამ ამიყვანა.

როდესაც შინ ვბრუნდებოდით და რკინიგზის გადასასვლელს მივუახლოვდით, იანგული ქვაფენილზე იჯდა ფეხმორთხმული და კაკალს ამტვრევდა აგურის ნატეხით.

- გამარჯობათ, ნინა ივანოვნა! - მიესალმა იგი დეიდას, როცა ჩავუარეთ.

- გაგიმარჯოს! - მოკლედ უპასუხა დეიდამ.

- კოკა სადაა? - ჰკითხა იანგულიმ.

- კოკა შენსავით უსაქმო კი არ არის, სკოლაშია! - უპასუხა დეიდამ.

- ეგ ვინღაა?

- შენი საქმე არ არის! - თქვა დეიდა ნინამ და წინ გამიგდო.

იანგულიმ გაბმულად დაუსტვინა. ჩვენ გზა განვაგრძეთ.

- ეეე, სკრიპკა! - მომესმა უცებ. გაკვირვებულმა მოვიხედე.

იანგულის ცალი თვალი მოეჭუტა, კისერი მოეღრიცა, ენა გამოეყო და მარჯვენა ხელს მარცხენაზე ხერხივით ისობდა. მივხვდი, მე მაჯავრებდა ვიოლინოს დაკვრაში. ბრაზისგან გული ყელში მომებჯინა.

- მაიმუნო! - დავუძახე და მუშტი მოვუღერე.

- ხვალ გამოიარე, შეშა მაქვს დასახერხი! - მიპასუხა სიცილით.

- შენ არ მოიშალე ხულიგნობა? - უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი დედაჩემმა.

- ვინ არის? - ვკითხე მე.

- ბერძნის ბიჭია, იანგული, მამიმისს რძე დააქვს ჩვენთან. არ დაგინახო მაგასთან გავლილი, ხულიგანია, დღე და ღამე ქუჩაში გდია.

მე ისევ მოვიხედე უკან, იანგული დამტვრეულ კაკალს არჩევდა, თან გამომწვევად მიცინოდა.

•

მეცამეტე სკოლაში სიარული, რომელშიც დეიდაჩემმა მომაწყო, რკინიგზის ლიანდაგზე გავლით მიწევდა, ასე რომ ჩემი და იანგულის ყოველდღიური შეხვედრა თითქმის გარდაუვალი შეიქმნა.

დაახლოებით ერთი თვე ყურადღებას არ მაქცევდა. იდგა უბნის ბიჭებში და, როგორც ყოველთვის, კოჭობანას ან პაჟარობანას თამაშობდა.

ერთი კი იყო, როგორც კი თვალს მომკრავდა, იმავე წუთში, ჩემს დასანახავად, ვინმეს ან ქუდს ჩამოაფხატავდა თვალებზე, ან პანღურს ამოჰკრავდა, თან ირიბად გამომხედავდა.

მეც ისე ჩავუვლიდი, თითქოს ფეხებზე მეკიდა იანგულიცა და მისი მრევლიც. ისე კი ერთი სული მქონდა, ბიჭებში გავრეულიყავი და იანგულის მსგავსად მეც მეჩვენებინა ჩემი შნო და მარიფათი, მაგრამ ჯერ უბანში უცხო, უამხანაგო, უმეგობრო და უდამქაშო ვიყავი, გვერდით ჩემი უმცროსი დეიდაშვილის, კოკას გარდა არავინ მომდევდა, და ამიტომ მისვლას ვერ ვბედავდი. ერთს კი ვგრძნობდი, ჩვენი ურთიერთობა ლაღუმის პატრუქივით თანდათან იწვებოდა, პატარავდებოდა, ფისტონს უახლოვდებოდა, და ერთ მშვენიერი დღეს იფეთქებდა.

...და ზუსტად ერთი თვის თავზე ეს დღეც დადგა.

ელენა მიხაილოვნას მოწაფე ჰყავდა. მე მოსაცდელში ვიჯექი და ჩემს რიგს ველოდი.

მრგვალ მაგიდაზე აკვარიუმი იდგა და შიგ წყალმცენარეებსა, ლამაზ ნიჟარებსა და ქვებს შორის მარაოსავით ფარფლებგაშლილი ოქროს თევზები დასრიალებდნენ, თან პირს სასაცილოდ აფჩენდნენ და ჰაერის ბუშტებს უშვებდნენ. რატომღაც მომეჩვენა, რომ თევზებს სასტიკად შიოდათ და ამიტომ წრიალებდნენ. სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან გაზეთში გახვეული შავი პურისა და ყველის ბუტერბროდი, წვრილწვრილად დავფშვენი და აკვარიუმში ჩავყარე, წყლის ზედაპირი შავი პურისა და ყველის ნაფხვენებით დაიფარა. თევზები ჯერ დაფრთხნენ, ქვებსა და ნიჟარებს ამოეფარნენ, შემდეგ, თითქოს მიხვდნენო ჩემს კეთილ განზრახვას, საფარიდან გამოცვივდნენ და გაშმაგებით შეესივნენ საჭმელს.

უზომო კმაყოფილებით ვუმზერდი ოქროს კორიანტელს. აკვარიუმი პატარა ოკეანესავით ღელავდა და ბობოქრობდა. თევზები თავდავიწყებით ტრიალებდნენ და ცეკვავდნენ. მერე თანდათან უკლეს თამაშს. აკვარიუმი დაწყნარდა და დამშვიდდა. ახლა მუცელდაბერილი და დამძიმებული ოქროს თევზები ზანტად დაცურავდნენ მინანქრის ნიჟარებსა და ქვებს შორის, რიგრიგობით მოდიოდნენ მინის კედელთან და თითქოს მადლობას მეუბნებიანო, კუდის ოდნავი მოძრაობით ტოკავდნენ ჩემს წინ, უცებ ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო დიდი იყო, გულაღმა ამოტრიალდა და ზურგზე დაიწყო ცურვა. გაკვირვებული მივჩერებოდი ამ უცნაურ სანახაობას. მალე სხვა თევზებმაც მიბაძეს. აკვარიუმი თითქოს თავდაყირა ამოატრიალესო, ახლა ყველა თევზი გულაღმა ცურავდა შიგ, თან გამალებით ამუშავებდნენ ლაყუჩებს... წყალში ხელი ჩავყავი და თეევზების წაღმა გადმობრუნება ვცადე, მაგრამ ამაოდ, ისინი კვლავ გულაღმა წვებოდნენ, შეშინებულმა სასწრაფოდ ამოვიღე ხელი წყლიდან. მივხვდი, რომ მოხდა რაღაც საშინელება. მალე აკვარიუმში სიცოცხლე ჩაკვდა. მოწამლული ოქროს თევზები უსულოდ ტივტივებდნენ წყლის ზედაპირზე. ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა, ვიოლინოს ბუდეს ხელი ვსტაცე და გასაქცევად მოვემზადე, მაგრამ უცებ კარი გაიღო და ოთახიდან ელენა მიხაილოვნა გამოვიდა. იგი ჩემზე ადრე მოსულ მოსწავლეს მოაცილებდა, თან რაღაც დარიგებას აძლევდა.

- შემოდი! - მითხრა მან, როდესაც მოწაფე გააცილა. მე გაშეშებული ვიდექი.

- შემოდი, შემოდი! - გამიმეორა მან, მხარზე ხელი დამადო და მსუბუქად მიბიძგა ოთახისკენ. ადგილიდან არ დავძრულვარ.

- გაკვეთილი არ იცი? - მკაცრად მკითხა ელენა მიხაილოვნამ და კვლავ რომ არ გავეცი ხმა, გაკვირვებულმა თვალი გააყოლა ჩემს გაშტერებულ მზერას... და მოხდა ის, რისი წარმოდგენაც მხოლოდ იქთიოლოგებს შეუძლიათ. მუხლმოკვეთილი ელენა მიხაილოვნა სავარძელში ჩაეშვა, ტუჩები გაულურჯდა და ხმის კანკალით მკითხა:

- Ты что наделал, паршивый мальчишка?!

- მე არ მეგონა, ელენა მიხაილოვნა, მე მხოლოდ შავი პური და ყველი ჩავუყარე...

- Отравил! - ამოიგმინა მან სასოწარკვეთით. მერე თავი ხელებში ჩარგო და შვილმოკლულივით აქვითინდა, მახსოვს, როგორ ვლუღლუღებდი, თავს ვიმართლებდი და ვცდილობდი, როგორმე დამემშვიდებინა მუსიკის მასწავლებელი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო... იგი ადგა, აკვარიუმთან მივიდა, სათითაოდ იღებდა წყლიდან უსულო თევზებს, ჰკოცნიდა, კვლავ აკვარიუმში აბრუნებდა, თან საოცარი სიტყვებით ეალერსებოდა.

- Милые мои, золотые, ненаглядные, отравили, убили вас.

მერე ჩემსკენ შემოტრიალდა, სახე შეშლილი ჰქონდა, ნიკაპი უკანკალებდა და თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი. უცებ გაშლილი ხელი მოიქნია და ისეთი სილა გამაწნა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ წავქცეულიყავი.

- Вон из моего дома, варвар. Чтоб твоей ноги не было больше здесь! Вон!

მე სილა და ცრემლი ერთად გადავყლაპე, ვიოლინო იღლიაში ამოვიჩარე და უხმოდ გამოვიხურე კარი.

თავზარდაცემული, შერცხვენილი და ცოცხალ-მკვდარი მოვაბიჯებდი სახლისაკენ.

რკინიგზის გადასასვლელთან იანგული და მისი დამქაშები პაჟარობანას თამაშობდნენ. გულმა მათკენ გამიწია. შინ მაინც არ მიმესვლებოდა. ბიჭებს რომ დავუახლოვდი, ფეხი ავითრიე, მერე განგებ გავჩერდი და დავიხარე, ვითომ ფეხსაცმლის თასმას ვისწორებდი.

- ეეე, სკრიპკა! - იანგულის ხმა ვიცანი. წელში გავიმართე და თვალებში შევხედე.

- რა გინდა? - ვკითხე.

- მოდი აქ! - მიმიხმო თითით.

- თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! - ვუთხარი. იანგულიმ გაკვირვებულმა გადახედა მასზე უფრო გაკვირვებულ ქვეშევრდომებს და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ.

- შენ არ იცი, მე ვინა ვარ? - მკითხა ამაყად.

- ვიცი! - ვუპასუხე მე.

- მერე, რომ გეძახი, რატომ არ მოდიხარ?

- შენ ვინა ხარ, მე რომ მეძახი? - ვუთხარი აგდებით და ყოველი შემთხვევისათვის ვიოლინო მიწაზე დავდე. იანგულიმ ისევ გაკვირვებით გახედა თავის ბიჭებს, რომლებსაც თამაშისათვის თავი დაენებებინათ და ჩვენს გარშემო წრე შეეკრათ.

- იანგული, ასწავლე, ვინცა ხარ! - დაუძახა ვიღაცამ წრიდან.

- მიდი, უთაქე, იანგული!

- ერთი შენებური სილა აჭამე!

- ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! - თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.

- ნუ ბანაობ! - ვუთხარი და თავი გავწიე.

- უყურე შენ?! - გაუკვირდა იანგულის.

- მიყურე! - ვუპასუხე მე.

- პაპიროსი! - ხელი გამომიწოდა უცებ იანგულიმ.

- არ ვეწევი!

- ფული!

- არ მაქვს!

- ჯიბეები ამოიტრიალე!

- შენ თვითონ ამოიტრიალე!

ბიჭებში ჩურჩული ატყდა, იანგული დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ვიოლინოსკენ დაიხია.

- ხელი აიღე! - ვუთხარი მე და ვიოლინოსკენ წავიღე ხელი, მაგრამ იანგულიმ დამასწრო, ბუდე გახსნა, ვიოლინო ამოიღო, გამომიწოდა:

- მიდი, დაუკარი, ბიჭები გამირთე!

- არ ვუკრავ!

- მაშ, რას დაათრევ, მუქთა ვირი ხარ?

არაფერი ვუპასუხე, ვიოლინოსაკენ გავწიე, რომ გამომერთმია, იანგულიმ უკან გადადგა ნაბიჯი და ვიოლინო ზურგს უკან დამალა.

- პეტია, ფემა, კურლიკ, პანჩო, გენა, სკრიპკას ხმა გაგიგონიათ როდესმე? - ჰკითხა ბიჭებს. ბიჭებმა კვიცებივით დაიჭიხვინეს.

- მარტო რადიოში! - თქვა პეტიამ და ისევ დაიჭიხვინა.

- მიდი, იანგული, გაგვაგონე!

სხვაზე ადრე ჩემი ვიოლინოს ხმა მე გავიგონე: იანგულიმ იგი მსუბუქად მოიქნია და ბრტყლად დამამხო თავზე. - ზზრრრ, წკრრრ... - დაიკვნესა ვიოლინომ და შუაზე გადაიხსნა, ქვედა ნაწილი მოწყვეტილი მკლავივით დაეკიდა ზედას და ერთხანს კიდევ გამოსცემდა ამაზრზენ ხმას. ბიჭები მიწაზე გაგორდნენ. გული გამიჩერდა, სისხლი თავში ამივარდა და ყურები დამიგუბდა. აღარაფერი მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ მიწაზე გაგორებულ ბიჭებს, წელში გაწყვეტილ ვიოლინოს და იანგულის ოდნავ წინ გამოწეულ გამხდარ ყბას და უცებ, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავკარი ამ ყბას გაციებული მუშტი.

როდესაც კვლავ დამიბრუნდა სმენა და ცნობიერება, იანგული ქვაფნილზე იჯდა, გაკვირვებული მიმზერდა და ყბას მარჯვენა ხელით იზელდა. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მე უხმოდ შევტრიალდი და შინ წავედი.

საღამოს დამტვრეული ვიოლინოცა და მისი ყუთიც ჩვენმა მეზობელმა და იანგულის მარჯვენა ხელმა, პეტიამ მოგვიტანა, შემოსასვლელთან დაყარა და გაიქცა.

დაიდაჩემმა ჯერ პეტია შეიცხადა, მერე ვიოლინო, მერე იანგული ალექსანდრიდი, მერე მე და სულ ბოლოს დედაჩემი.

ახლა რომ ვიხსენებ, დეიდაჩემი დაახლოებით ასე მოსთქვამდა:

- როგორ ხარ დაგვაჯული, ისე არგასაზრდელო პეტიაა... შენ და მემწვანილე მამაშენს რას გერჩით. თქვენ რა იცით ამ ვიოლინოს ფასი, სტრადივარიუსი და პაგანინი მხერხავები გგონიათ... იანგული ალექსანდრიდი მყავს მოსაკლავი, მაგრამ ვირის ყროყინზე გაზრდილ ჩოჩორს მუსიკის რა მოეთხოვებაა... ჩემს ოჯახში ჩამოსახლებული ეს ახალი ხულიგანი მყავს მოსაკლავიიიი... სულწაწყმედილო და უბედურო დაო ანიკო, მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფოდა, ეს ყაჩაღი რომ არ დაგეტოვებინა ჩემდა სამწყემსარად. ვაი, შენს დღეს და უი, ჩემს გაჩენას...

ამ დღეს დასრულდა ჩემი მუსიკალური ოდისეა და დაიწყო ახალი ერა ჩემს ცხოვრებაში - ბრძოლა არსებობისათვის.

●

მეორე დღეს იანგული და პეტია სკოლის ალაყაფთან დაგვხვდნენ მე და ჩემს დეიდაშვილ კოკას. ერთი კი შემიქანდა გული, მაგრამ ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი მომხდარიყოს.

- სკრიპკა! - ხმა პეტიასი იყო, მე გავჩერდი.

- უნდა გელაპარაკო! - მომიახლოვდა იანგული.

- რაზე?

- აქ უხერხულია! - თქვა მან და სკოლიდან გამოსულ ბავშვებს და მასწავლებლებს გახედა.

- აბა, სად? - ვკითხე მე.

- რკინიგზის გაღმა, ხიდის ქვეშ.

- სადაც გინდა! - ვუპასუხე და გავყევი.

იანგული წინ მიდიოდა! მერე მე და კოკა. პეტია უკან მოგვდევდა მოშორებით. ალბათ იმიტომ, რომ არ გავქცეულიყავით.

- დავიღუპეთ! - თქვა საქციელწამხდარმა კოკამ. კოკა ორი წლით პატარა იყო ჩემზე და არაერთხელ ჰქონდა ნაჭამი იანგულის ალიყური.

- ნუ გეშინია! - დავამშვიდე, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, მეც მეშინოდა. რკინიგზის მიწაყრილზე რომ ვეშვებოდით, კოკამ გაქცევა დააპირა, მაჯაში ჩავავლე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვუჭირე.

- არ გაიქცე, ბიჭო, სირცხვილია!

- შენ არ იცი მაგის ამბავი, დაგვასიებს ორივეს, - ამოიკვნესა კოკამ.

- რა მოხდა მერე, ხომ არ მოგვკლავს, - ვუთხარი მე. კოკა დასაკლავად განწირული ხბოსავით გამომყვა.

იანგული რკინიგზის ხიდის ქვეშ დადგა. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ჩვენც გავჩერდით.

- აჰა, მოვედი, რა გინდა? - ვკითხე იანგულის. იანგულიმ თავი ჩაღუნა, ერთხანს ასე იყო, რაღაცას ფიქრობდა.

- აჰა, მოვედი, რა გინდა? - ვკითხე იანგულის. იანგულიმ თავი ჩაღუნა, ერთხანს ასე იყო, რაღაცას ფიქრობდა.

უცებ თავი ასწია.

- შენ გუშინ უბანში შემარცხვინე. ერთი დარტყმით დამსვი... არ ველოდი და იმიტომ დამსვი, პასუხი იმიტომ არ მიიღე, რომ ვერ ავდექი. მინდოდა ადგომა, მაგრამ ვერ ავდექი. - მისმა მშვიდმა და გულახდილმა ლაპარაკმა სულ გამაფუჭა. - მე ამ უბნის ყოჩი ვარ და ყოჩად დავრჩები... - განაგრძო მან.

- მე არ მინდა შენი უბნის ყოჩობა, თავი დამანებე! - გულწრფელად ვუთხარი მეც.

- შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარ, ამიტომ ვერ დაგანებებ თავს. უბანში ორი ყოჩი არ შეიძლება, ან შენ უნდა იყო, ან მე...

- აკი გითხარი, არ მინდა ყოჩობა-მეთქი! - გავუმეორე.

- ეგრე არ გამოვა, უნდა ვიჩხუბოთ.

- ვიჩხუბოთ! - დავთანხმდი მე.

- პატიოსნად ვიჩხუბოთ! - თქვა იანგულიმ.

- პატიოსნად რას ჰქვია? - გამიკვირდა მე.

- არც პეტია, არც კოკა ჩხუბში არ უნდა ჩაერიონ. გინება არ იყოს, ქვა არ იყოს, წაქცეულის ცემა არ იყოს!

- ეგრე იყოს!

- თუ მოგერიე, ხვალ იმავე უბნის ბიჭებთან გცემ, რომლებთანაც დამსვი, მერე მოგეშვები! - გამაფრთხილა.

- ცემა მორევაზეა! - ვუთხარი მე.

არაფერი არ მიპასუხა, შავი სატინის ხალათი გაიხადა და მიწაზე დააგდო, რომ გაიხადა და შევხედე, გულმა რეჩხი მიყო: იმხელა გაშლილი მკერდი ჰქონდა, თან მარცხენა ძუძუს ზემოთ ლურჯი ლათინური ასოებით დასვირინგებული ჰქონდა სიტყვა HELLADOS, რომელმაც შემაკრთო უცებ.

იანგულიმ რაღაც უთხრა პეტიას ბერძნულად. პეტია შეყოყმანდა. იანგულიმ ბრძანება გაუმეორა. პეტიამ ორი დიდი ქვა ამოიღო ჯიბეებიდან და უხალისოდ გადაყარა. იანგულიმ ახლა კოკას შეხედა, კოკამ ცარიელი ჯიბეები ამოიტრიალა.

- დავიწყოთ! - თქვა იანგულიმ.

- დავიწყოთ! - ვთქვი მე და ჩანთა მიწაზე დავაგდე.

ჩხუბი ორ-სამ წუთს გაგრძელდა. მე შეკრული მუშტებით ვჩხუბობდი. იანგული გაშლილი ხელით. ჩემი დარტყმული ყრუ ხმას გამოსცემდა, მისი კი ქვეყანას აზანზარებდა: ისეთი ლაწალუწი გაუდიოდა ჩემს ყბებზე.

პეტია ბერძნული შეძახილებით ამხნევებდა იანგულის, კოკა კი ქართულად მკარნახობდა:

- თავი, თავი აჭამე, ჯემალ!

ვიცოდი, რომ ახლოს მისვლა და თავის ჭმევა იყო საჭირო, მაგრამ წელს ზემოთ გახდილს რამდენჯერაც წავავლე მკლავში ხელი, იმდენჯერ დამისხლტა ოფლით დაპოხილი, კიდევ ერთი სილა და ვიგრძენი, რომ ცხვირიდან სისხლი წამსკდა.

ვიდრე ცხვირიდან წამსკდარ სისხლს ვიხოცავდი, იანგულიმ კიდევ ერთი სილა მაჭამა და ზუსტად ისე დავჯექი მიწაზე, როგორც გუშინ იანგული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იანგულის გუშინ არ შეეძლო ადგომა, მე კი შემეძლო, მაგრამ ჩემს ადგომას ფასი აღარ ჰქონდა - ჩხუბი წაგებული იყო.

იანგულიმ ერთხანს მაცალა და რომ აღარ ავდექი, ხალათის ჩაცმა დაიწყო, და მე ისევ წავიკითხე მის მკერდზე ამოსვირინგებული HELLADOS.

- ხვალამდის! - მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ზედა ტუჩი შესივებული ჰქონდა და მარჯვენა წარბი გახეთქილი.

- ხვალამდის! - ვუპასუხე და წამოვდექი.

იანგული და პეტია მიწაყრილზე ავიდნენ და რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვნენ. მე და კოკა ხიდის ქვეშ დავრჩით.

- არა უშავს, მაგასაც ბევრი მოხვდა! - დამამშვიდა კოკამ.

- სულერთია, ხვალ ვცემ! - ვთქი მე.

- ნეტავი სარკეში ჩაგახედა! - თქვა კოკამ.

- ძალიან ვარ დასიებული? - ვკითხე.

- ბულკივით! - მიპასუხა და თვალი ამარიდა.

- მაგის დედა ვატირე!

ამჯერად დაიდაჩემს არ შევუცხადებივარ. ცივი კომპრესები დამადო სახეზე. დილით კი იანგულის მამას, ხრისტოს, ზუსტად ისე დააფშვნა მაწვნის ქილა თავზე, როგორც იანგულიმ მე ვიოლინო და ციხეში ამოლპობას დაჰპირდა მის გათახსირებულ და ხულიგან შვილს საბჭოთა პიონერის ასე უღმერთოდ ცემისათვის.

●

მეორე დღეს სკოლაში არ წავსულვარ, ჭრილობებს ვიშუშებდი. მესამე დღეს რკინიგზის გადასასვლელი სავსე იყო უბნელი ბიჭებით. მე და კოკა რომ მივედით, სტვენით შეგვხვდნენ.

- სკრიპკა, გაზიარეს?

- სანამ აქ მოგკლავს, არ მოეშვები?!

- შენ აქ თბილისი ხომ არ გგონია?!

მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი.

ყველა აქ იყო იანგულის გარდა. არავისთვის ხმა არ გამიცია, ჩანთა ფილაქანზე დავაგდე, ზედ დავჯექი და იანგულის მოსვლას დაველოდე.

- იანგული მოდის! - დაიძახა უცებ ვიღაცამ.

- ახლა დაიწყება ცირკი! - თქვა მეორემ.

- გამარჯობათ! - თქვა საერთო სალამი იანგულიმ და მე რომ დამინახა ფილაქანზე ჩამომჯდარი, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

- იანგული, თავისი ფეხით მოვიდა ბულკი, მიდი ერთი, შეჭამე! - უთხრა პეტიამ.

- კარაქს წაუსვამ, იანგული, თუ ხიზილალას?!

იანგულიმ ლაზღანდარებს ყურადღება არ მიაქცია, ტრიბუნივით ასწია ხელი, ბრბო დააწყნარა და ისტორიული სიტყვით მიმართა თავის ხალხს, ისე, როგორც ტომის ბელადებს სჩვევიათ ხოლმე.

- ბიჭებო! - დაიწყო მან. - ეს მე მოგმართავთ თქვენ, ვენეციის გზატკეცილის ტომის თავისუფალ შვილებს, მე, თქვენს მიერ არჩეული ბელადი, იანგული ალექსანდრიდი! თქვენს წინაშე დგანან მკრთალსახიანი თბილისელი ჰარიფი და მისი დეიდაშვილი, ჩვენი ტომის გამყიდველი და სამშობლოს მოღალატე, წკვინტლიანი კოკა. ამ მკრთალსახიან გადამთიელს, იმის ნაცვლად, რომ ესარგებლა ჩვენი სტუმართმოყვარეობით, დიდსულოვნებითა და სულგრძელებით, სურს მიისაკუთროს ჩვენი კურთხეული მიწა, ზღვა, მდინარე, ოქრო, ვერცხლი, საძოვარი და გაზონები...

- მორჩი ლაზღანდარობას! - შევაწყვეტინე სიტყვა. - უნდა მეჩხუბო!

იანგული შეჩერდა და თვალი თვალში გამიყარა.

- მე თქვენ გაჩვენებთ ახლა, როგორ კეთდება მკრთალსახიანებისაგან კატლეტი... - განაგრძო ისევ.

- ნუ მაიმუნობ, დავიწყოთ!

- შენ ეი, წკვინტლიანო, - მიუბრუნდა იგი კოკას, - წადი, სასწრაფოში დარეკე, უთხარი ხუთ წუთში მოვიდნენ და შენი დაინვალიდებული დეიდაშვილი წაიყვანონ! - ბიჭებში ხარხარი ატყდა.

- დღეს შენ მოგიწევს სასწრაფოთო წაყვანა. - ვუთხარი მე და ავდექი. ბიჭებმა წრე შეკრეს. იანგულიმ ისევ რაღაც უთხრა პეტიას ბერძნულად, პეტია შეიშმუშნა და ქამრის შეხსნა დაიწყო. განცვიფრებული ვუყურებდი პეტიას თითის სიმსხო ღვედის ქამარს - „ნუთუ ქამრით უნდა მცემოს?“ - გამიელვა თავში. პეტიამ ქამარი გადასცა იანგულის და ისევ წრეში ჩადგა. იანგულიმ ამაყად მიმოიხედა გარშემო და საჯაროდ განაცხადა:

- მე მკრთალსახიანს ორი ხელით არ ვეჩხუბები. იგი დღეს ცალი ხელით უნდა გაილახოს. პეტია, გამოდი და შემიკარი ხელი!

ბიჭებმა აღტაცების ყიჟინა გაისმა. მე ელდა მეცა. იანგულიმ გაჭიმული მარცხენა ხელი თეძოზე მიიდო. პეტია მოვიდა, ქამარი წელზე შემოარტყა, ისე რომ ის მარცხენა ხელი შიგ მოაყოლა, და რაც ძალი და ღონე მქონდა გაუკრა.

- ნუ არტისტობ, ხელი ამოიღე და ისე ვიჩხუბოთ! - ვუთხარი დაკარგული ხმით.

- მე შენთან ორი ხელით ჩხუბს არ ვიკადრებ, - თქვა იანგულიმ. ბიჭებს კვლავ აღტაცების ყიჟინა აღმოხდათ.

- მაშინ არ მინდა! - ვთქვი მე და ჩანთა ავიღე.

- გეშინია? - მკითხა იანგულიმ.

- კი არ მეშინია, არ მინდა. ხელი ამოიღე და ისედაც გცემ!

- მეჩხუბე, თორემ გცემ! - თქვა გაღიზიანებით იანგულიმ.

- მიდი, დასვი! - წამჩურჩულა კოკამ. მე ჯიუტად გავიქნიე თავი. მაშინ იანგული მომიახლოვდა და სილა გამაწნა. სახეზე ისე წამეკიდა ცეცხლი, თითქოს მდუღარე შემასხესო, მაგრამ ხელი არ შევუბრუნე. იანგულიმ მეორედ გამაწნა სილა, მერე მესამედ, შევატყვე, გამეტებით არ მირტყამდა, ეს უფრო გასილაქებას ჰგავდა, ვიდრე ჩხუბს. და მაინც რომ არ შევუბრუნე ხელი, იანგული გაჩერდა. მე შევტრიალდი და წრიდან გავედი, ბიჭები უხმოდ ჩამომეცალნენ.

- ეე, სკრიპკა! - მომესმა ზურგს უკან პეტიას ხმა, და უცებ გავიგონე გაშლილი ხელის საშინელი ლაწანი: ეს უკვე პეტიას ყბაზე გაღებული იანგულის ხელის ხმა იყო.

უკან არ მიმიხედავს, რადგან ვტიროდი და არ მინდოდა ბიჭებს ჩემი ცრემლი დაენახათ. ერთს კი მივხვდი - დღევანდელი ჩხუბი იანგულიმ წააგო.

●

მეორე დღეს, სისხამ დილით, ალექსანდრიდების ეზოს ჭიშკართან ვიდექი. ხრისტო ალექსანდრიდი ვირს კაზმავდა პატარა თავლასათან. იანგული ეხმარებოდა, რომ დამინახა, ვირი მიატოვა და ჭიშკარს მოადგა.

- საჩივლელად მოხვედი? - მკითხა მან და თვალი მამისკენ გააპარა. მამამისი ზურგშექცევით იდგა და ვერ მხედავდა.

- საჩხუბრად! - ვუპასუხე მე.

- ვინ არის? - დაუძახა მამამისმა, ისე რომ არ მოუხედავს.

- ამხანაგია ჩემი.

- იანგულის არ სცალია, ბაზარში მიდის! - მოიხედა ხრისტომ. უცებ მიცნო და გაუკვირდა: - შერიგდით?

- შევრიგდით! - ვუპასუხე მე.

- ეგრე არ ჯობია? ორივე კარგი ბიჭები ხართ! - გაუხარდა ხრისტოს და ეზოში შემიპატიჟა.

- მეჩქარება, - ვუპასუხე, მერე იანგულის მივუბრუნდი: - როდის დაბრუნდები ბაზრიდან?

- საღამოს!

- რკინიგზის ხიდის ქვეშ დაგელოდები! - ვუთხარი და წავედი.

●

საღამოს ხიდის ქვეშ ველოდი იანგულის. იგი მოვიდა. ხმა არ გაუცია ჩემთვის, ვირი ადამიების ღობეს მიაბა, ხალათი გაიხადა, ვირის კეხზე გადაჰკიდა და მე კვლავ წავიკითხე მის გაშლილ მკერდზე მაგიური სიტყვა HELLADOS.

დღეს ჩვენი ჩხუბის მოწმე მხოლოდ ვირი იყო.

ჩხუბი ამჯერად უფრო დიდხანს გაგრძელდა. პირველმა იანგულიმ დამარტყა, როგორც არ ვეცადე, მაგრამ მაინც დამასწრო. არ წავქცეულვარ, მხოლოდ წავიფორთხილე. მეორე რომ მომიქნია, თავი უკან გადავწიე და მისმა გაშლილმა ხელმა შხუილით ჩამიქროლა ცხვირწინ. მოქნეული, ისე ძლიერად იყო, იანგულიმ თავი ვერ შეიკავა, ინერციამ ოდნავ შეატრიალა და ახლა იგი გვერდულად იდგა ჩემს წინ, მისი ყბა ზუსტად ისე დაეკიდა ჰაერში, როგორც მაშინ, პირველი ჩხუბის დროს; და ვიდრე კვლავ შემოტრიალდებოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ყბაში მოვდე. იანგული სახით სილაში ჩაემხო. ერთხანს გაუნძრევლად იდო. არ მეგონა, თუ ადგებოდა, მაგრამ უცებ წამოხტა და საოცარი სისწრაფით გამოქანდა ჩემსკენ. მისი გაშილილი ხელი და ჩემი მუშტი ერთდროულად მოხვდა მიზანს, მე დავრეტიანდი, ცალ მუხლზე დავიჩოქე და უნებურად სახეზე ხელები ავიფარე. ხელები რომ მოვიცილე და თვალი გავახილე, იანგული ზუსტად ისეთივე პოზაში იყო ჩაჩოქილი, როგორც მე, და გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იხოცავდა. ხელებზე დავიხედე და მივხვდი, რომ მეც მჟონავდა სისხლი ცხვირიდან. თავს ძალა დავატანე და წამოვდექი. წამოდგა იანგულიც.

დიდხანს ვუცქეროდით ერთმანეთს უხმოდ. მე მისი მძიმე და ღრმა სუნთქვა მესმოდა, ალბათ იმას - ჩემი. ყოველ წუთს ველოდი თავდასხმას. მაგრამ საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი. რაღაც შინაგანი კმაყოფილება დამეუფლა. მივხვდი, რომ დღეიდან იანგული ვეღარასოდეს დამჩაგრავდა.

- გვეყოფა! - თქვა იანგულიმ და მკლავები ჩემოუშვა.

- გვეყოფა! - ვთქვი მეც და შვებით ამოვისუნთქე. ოღონდ ხვალ ბიჭებთან უნდა ვიჩხუბოთ! - დავაყოლე ყოველი შემთხვევისთვის.

- არ გინდა, ბიჭებს მე ვეტყვი, რომ მაგარი ხარ, ოღონდ ყოჩობას ვერ დაგითმობ. - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მან.

- არც მინდა! - ვთქვი მე.

- თუ გინდა, მეორე ყოჩი იყავი! - შემომთავაზა მოადგილეობა.

- არ მინდა, შენ შენთვის, მე ჩემთვის! - ვიუარე ისევ, შემოვტრიალდი და წამოვედი.

- მოიცა! - მითხრა მან. მე გავჩერდი. - ასე არ ივარგებს. ყოველდღე ხომ არ ვიჩხუბებთ, მოდი ხვალიდან ვაგინოთ ერთმანეთს, ვინც აჯობებს, იმის იყოს!

- იმისი იყოს! - დავთანხმდი.

●

მეორე დღეს მე და იანგული კვლავ ბიჭების წრეში ვიდექით და უშვერი სიტყვებით ვამკობდით ერთმანეთს.

- ჯემალ, ვირისთავო!

- იანგული, ბერძენო მემწვანილე!

- თბილისელო სირისტიანო!

- ლაწირაკო!

- წვინტლიანო!

- ვირის მწყემსო!

- ჩოჩორო!

- მჟავე კიტრო!

- კამბოლა!

- ღორჯო!

- მედუზა!

- კრეტინო!

- პაგანინო!

სალანძღავი სიტყვების არსენალი შეუმჩნევლად შემომელია და გავჩერდი, იანგული მელოდებოდა, რადგან ჩემი ჯერი იყო.

- მიდი, თორემ წააგე! - იდაყვი გამკრა კოკამ.

- გამითავდა! - ვუთხარი მე.

- დედა შეაგინე! - შემახსენა მან.

- დედის გინება არ მოდის.

- „დედა ვატირე“ რა გინებაა?

- ეგ რუსულად არ ვიცი!

- ქართულად შეაგინე, ვერ გაიგებს! - არ მომეშვა კოკა და შემაცდინა.

- იანგული, შენი დედა ვატირე! - ვთქვი ქართულად და პასუხის მოლოდინში გული შემეკუმშა.

- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! - მიპასუხა იანგულიმ. მივხვდი, რომ ისიც დედას მაგინებდა, მაგრამ ისე ლამაზად ამბობდა, ავე-მარიასავით მეყურებოდა და გინება გავიმეორე:

- შენი დედა ვატირე, იანგული!

- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! - გაიმეორა მან სიმღერასავით.

●

ასე გრძელდებოდა მთელი ნახევარი წელიწადი, მერე ვნებები დაცხრა. მე და იანგულიმ გინებათა არსენალი თითო ყველაზე მნიშვნელოვან გინებამდე დავიყვანეთ და შეხვედრისას თითქოს ვესალმებოდით, ხელის აწევით გავძახოდით ერთმანეთს"

მე: - შენი დედა ვატირე, იანგული.

ის: - იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

●

მზიანი დღე იყო. მე და კოკა სკოლიდან ვბრუნდებოდით. რკინიგზის გადასასვლელთან რომ მივედით, იანგული, როგორც ყოველთვის, უბნის ბიჭებს პაჟარობანას ეთამაშებოდა. დამინახა თუ არა, თამაშს თავი დაანება და ჩემსკენ წამოვიდა, არ დამასწროს-მეთქი და გინება გზაზე შევაგებე.

- იანგული, შენი დედა ვატირე! - იანგული მონუსხულივით შედგა და თვალებში შემომხედა. დიდხანს ველოდი პასუხს, მაგრამ იანგული ხმას არ იღებდა.

- შენი დედა ვატირე, იანგული! - გავიმეორე მე.

იანგულიმ თავი დახარა, შეტრიალდა და ასე თავდახრილი ნელი ნაბიჯით წავიდა. მე გაკვირვებული ვუქცეროდი სახლისაკენ მიმავალ იანგულის.

- ნახე, როგორ გაიძურწა, გათავდა მაგის ყოჩობა! - ვუთხარი კოკას.

- გათავდა კი არა, ახლა დაიწყო! - მიპასუხა კოკამ და ცალყბად გაიღიმა.

- როგორ?

- გაჯობა და ისე.

- მაშ, რატომ არ შემაგინა?

- გუშინ მკითხა, ჯემალის დედა სად არისო. მე ვუთხარი, აღარ არის-მეთქი, იმიტომ არ შეგაგინა, - თქვა კოკამ.

ელდა მეცა.

- რატომ გუშინ არ მითხარი, ლაწირაკო!

- მე რა ვიცოდი!.. - თავი ჩაღუნა კოკამ.

- იანგული! - დავუძახე მე, მაგრამ იანგული უკვე შორს იყო და ან ვერ გაიგონა ჩემი ძახილი, ან გაიგონა და არ მოიხედა.

იმ დღიდან იგი ერთი ათად გაიზარდა ჩემს თვალში. ჩვენს შორის სამუდამოდ დამთავრდა ომი და ქიშპობა, მაგრამ მე და იანგული დიდი მეგობრები მაინც არ გავმხდარვართ. შეხვედრისას უბრალოდ ხელის აწევითა და ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს და თუ მამამისის მაგივრად რძეს ან მაწონს მოგვიტანდა ხოლმე ვირით, მაშინ თუ გავესაუბრებოდით ერთმანეთს უნებურად ან რძის და მაწონის ფასის, ან მამამისის, ან მწვანილის, ან ვირის თაობაზე. ეს იყო და ეს.

●

ერთ დღეს იანგულიმ რძე მოიტანა, მე ეზოში შევეგებე, რომ შევხედე, ძლივს ვიცანი, ისე ჰქონდა სახე შეშუპებული და თვალის უპეები ჩალურჯებული.

- რა მოგივიდა? - ვკითხე გაკვირვებულმა.

წარმოუდგენელი იყო, იანგული ასე ეცემა უბანში ვინმეს. აშკარად მასზე უფროსის ნახელავი იყო.

- არაფერი! - მიპასუხა მან და თვალი ამარიდა.

- მაგარი ნაცემი ხარ! - ვუთხარი მე.

- არა უშავს! - თქვა მან და გაიღიმა.

- თქვი, ვინ არის, თუ მარტო ვერ მოერიე, მე წამოგყვები! - ვუთხარი. იანგულიმ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

- ვირი აქ დააბი და ახლავე წავიდეთ, - არ მოვეშვი მე. რძიანი ქილა კიბეზე დავდგი და გასაყოლად მოვემზადე.

- არ გინდა, ვერ მოვერევით! - მწარედ გაიღიმა მან.

- ვინ? მე და შენ ვერ მოვერევით? - გავიქაჩე მე.

- ვერც მე და შენ, და ვერც მთელი ვენეციის გზატკეცილი...

- ასეთი ვინ არის? - შევცბი.

- მამაჩემი! - თქვა იანგულიმ.

- მამაშენი?

- ჰო, მამაჩემი.

- ასე როგორ გაგიმეტა? - ვკითხე გაკვირვებულმა და შეშუპებულ ლოყაზე ხელი დავადე.

- ჩემი ბრალია!

- რა დააშავე?

- სამ დღეში სოხუმში საბერძნეთიდან გემი ჩამოდის. ჩვენი თემის ბერძნები ელადაში ბრუნდებიან. მამაჩემიც... - იანგული გაჩუმდა.

- მერე? - ვკითხე მე.

- მერე არაფერი, მე არ მივყვები, არ მინდა წასვლა... მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მოვალენი ვართ წავიდეთო...

- მერედა რატომ არ მიყვები? - გულწრფელად გამიკვირდა მე.

იანგული დიდხანს სდუმდა თავჩაღუნული და ვირს აცქვეტილ ყურებს უუთოვებდა. ყურები იანგულის ხელის ყოველ დასმაზე მორჩილად წვებოდნენ, მაგრამ შემდეგ უცნაური სიჯიუტით კვლავ წამოხტებოდნენ და ცქვიტად დგებოდნენ. თითქოს ჩვენს საუბარს უგდებდნენ ყურს და ეშინოდათ, რაიმე სიტყვა არ გამოგვრჩესო.

- როგორ აგიხსნა... - თქვა ბოლოს იანგულიმ. - მე ჩემი დედა არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ან ბოსტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... - იანგული ცოტათი შეყოვნდა. მერე ისევ განაგრძო: - მიდა... მიდა და შენც... - სახელი „მიდა“ იანგულიმ პირველად ახსენა ჩემთან, მაგრამ არ მიკითხავს, მიდა ვინ არის-მეთქი, რადგან კოკასაგან ვიცოდი: მიდა აფხაზზე გათხოვილი ბერძენი ქალი იყოს შვილი იყო. მიდაზე ლამაზი გოგო სოხუმში არ დადიოდა და ეს გოგო იანგულის უყვარდა.

- გაიგე ახლა? - მკითხა იანგულიმ და თვალებში შემომხედა. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ასეთი სიტყვები ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმოდა.

- კი მაგრამ ეგ რაღაა? - ვკითხე. მკერდზე ხალათი გადავუწიე და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე ხმამაღლა.

- ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო. სამშობლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით... - თქვა იანგულიმ და ხელი მკერდზე დაიდო. მე ყელში გაჩხერილი მუშტისოდენა ბურთი გადავყლაპე და ვიდრე რამეს ვუპასუხებდი, იანგულიმ ვირს ხელი მოჰკიდა, აღვირი მოქაჩა და ეზოდან გავიდა.

●

მესამე დღეს, სისხამ დილით, იანგული ჩვენს ეზოში იდგა. თან უებლო ვირი მოეყვანა.

- მამამ ყველაფერი გაყიდა: ძროხა, სახლი, კარი. ვირს არავინ არ ყიდულობს. თქვენი ხალხი ვირის ყოლას სამარცხვინოდ თვლის, ვირი კი ძალიან საყვარელი ცხოველია... მუშა, უწყინარი... ქუჩაში ხომ არ დავტოვებ, ან ვის დავუტოვო, ბერძნები ყველა მივდივართ... ძალიან ადვილი მოსავლელია, ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის... ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თან ვირს ყელზე უსვამდა ხელს და ცრემლებს ყლაპავდა.

- მიდიხარ?

- მივდივარ. ხომ დაიტოვებ?

- დავიტოვებ!

- არ გააგდო სახლიდან!

- არა, იანგული!

- ნინა ივანოვნას სთხოვე, არ გააგდოს!

- ვთხოვ, იანგული!

- კოკა მოგეხმარება, ამის მოვლას რა უნდა...

- არაფერი, იანგული.

- სულ ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის.

- ჰო, იანგული!

- აპოლონი ჰქვია!

- ვიცი, იანგული!

- მოეფერე ხოლმე!

- კი, იანგული!

- წავედი ახლა, გემი საღამოს გადის!

- წადი, იანგული.

- მშვიდობით, ჯემალო!

- პორტში მოვალ, იანგული!

იანგული გადამეხვია, დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. მერე უცებ ხელი გამიშვა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გაიქცა უკანმოუხედავად, ისე, თითქოს რაღაც საშინელსა და შემზარავს გაურბოდა.

●

საღამოს მთელი სოხუმი პორტში იყო გამოსული.

იყო ბევრი ყვავილები, ორკესტრიც, ტაშ-ფანდურიც, ცხვირსახოცების ფრიალიც, მადლობა, ნახვამდის, მშვიდობით, მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო.

სოხუმის მოქალაქენი თავისი სხეულის ნაწილს, თავის სისხლს და ხორცს - ბერძნებს აცილებდნენ. ბერძნები უკვე ასულიყვნენ გემზე. ღრუბელივით თეთრ და ქათქათა „პოსეიდონზე“ და იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას, ზოგს ბერძნულად, ზოგს რუსულად, ზოგს აფხაზურად, ზოგს სომხურად, ზოგს ქართულად... უზარმაზარი თეთრი „პოსეიდონი“ კიჩოთი ნაპირისკენ იდგა. ზღვა ოდნავ ღელავდა და გემი ისე ირწეოდა და იქნევდა თავს, თითქოს თვითონაც გვემშვიდობებოდა.

მე სხვა ბავშვებთან ერთად პირსის მოაჯირს მიჭყლეტილი, თვალებს ვაცეცებდი და გემის ქიმზე გადმოფენილ ბერძნებში იანგულის დავეძებდი. უცებ თვალი მოვკარი. მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა. მკერდზე გაღეღილი. იანგული მამამისის წინ იდგა და მომეჩვენა, რომ მამამისს ხელით ეჭირა.

- იანგული! - იანგული! - ვიკივლე მე და ხელების ქნევა დავიწყე. იგი დიდხანს, დიდხანს დამეძებდა ბრბოში, ბოლოს ეტყობა ხმით მომაგნო და რომ დამინახა, ორივე ხელი მაღლა აღმართა.

- იანგული, იანგული, მშვიდობით!

- ჯემალო, ეღო აღაპო ი მანა სუ!

ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი! - მეძახდა იგი ბერძნულად და მე კვლავ მომეჩვენა, რომ იგი მღეროდა, მე ვერ გავუძელი მის ხმასა და ცქერას, გემს ზურგი შევაქციე და ატირებული შინ წამოვედი.

●

მესამე დღეს, მდინარე კელასურის შესართავთან, ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამორიყა. უფრო სწორად, იგი სტარავერმა მებადურებმა გამოიტანეს და როდესაც სილაზე დაასვენეს, იქვე მობანავე

ბიჭებს დაგვიძახეს გვამის ამოსაცნობად. ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა. ვერავინ ვერ იცნო იგი. მხოლოდ მე, მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე. უკანმოუხედავად და სულმოუთქმელად გავირბინე პლაჟი, სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგი, ვენეციის გზატკეცილი და შეშლილივით შევვარდი სახლში...

- რა მოგივიდა, ბიჭო? - მკითხა გულამოვარდნილს შეშინებულმა დეიდაჩემმა.

- დეიდა ნინა... იანგული დაბრუნდა... - ვუთხარი მე. მერე დავიჩოქე მის წინ, კალთაში თავი ჩავუდე და მწარედ ავტირდი.

ნოდარ დუმბაძე

რევაზ ინანიშვილი

ლამაზი ცრემლები

მეტი გზა არ იყო, ისევ ღუმელით უნდა წასულიყვნენ იოლას. ნოემბერი რომ განახევრდა და ცივი წვიმები დაიწყო, თინამ მამას სოფელში წერილი მისწერა: მამაჩემო, შენ გენაცვალე, იქნებ მანდ ვინმესთან ოთხი კუბმეტრი („ოთხი კუბმეტრი“ გიამ უკარნახა) შეშა შეგვიგულო, შაბათს ან კვირას გია ჩამოვა, ფულსაც ჩამოიტანს და შეშას თვითონ წამოიღებსო. წერილი ჯერ სოფელშიც არ ეგონათ ჩასული, ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, - ადექით, შვილებო, შეშა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოვცალოო. ლოგინში წამომჯდარმა თინამ ჭუჭყუნი დაიწყო: - ოო, ისევ შენ იწვალე!.. ხომ მოგწერე, გია ჩამოვიდოდა და თვითონ წამოიღებდა!.. - მამამ კეთილად გაუღიმა, - ადექი, ადექი, შენც ჩაიცვიო! ფრთხილად მივიდა შვილიშვილის პატარა საწოლთან, რაღაცები უჩურჩულა, მერე ისევ შვილსა და სიძეს მიუბრუნდა— თბილად ჩაიცვით, არ შეგცივდეთო, - და მათთვის აღარ დაუცდია, თვითონ ჩავიდა ძირს.

თინამ და გიამ ერთმანეთს შეხედეს, გიამ ღიმილით გადააქნია თავი.

- იჰ, შენც ერთი! - თქვა თინამ, ბავშვს საბანი გაუსწორა, თავშალი მოიხვია და ჩქარი ნაბიჯით დაედევნა უკვე გარეთ გასულ გიას.

- კი, მაგრამ შენ რაღად მოდიხარ, რა უნდა გაგვიკეთო?

- ჩამოვალ, რა გინდა?

გიამ მხრები აიჩეჩა, თინამ მარცხენა მხარზე ჩამოადო ხელი, თავი ახლოს მიუტანა და ისე ჩაჰყვა კიბეზე. დაბლა, შემოსასვლელთან, კარგად დატვირთული „გაზ-512“ იდგა. - ეს რამდენი ჩამოგიტანიათ, კაცოო! - გაიკვირვა გიამ. - ბევრიაო? - იკითხა თინამ. გადმოვიდა ჩექმებიანი მძღოლი, ჯერ გიას გაუწოდა ხმელი, ცივი ხელი, მერე თინას. - ხო არ დამწარდება, შვილოო. - თუ რამე გადაგრჩათ, მეზობლებს მიაწოდეთო, - დაამატა თინას მამამაც. გიასაც გაეღიმა, თინასაც. გიამ შუბლი მოიფხანა, მანქანას ირგვლივ შემოუარა და თქვა: - ეგრეევ ჩავზიდოთ სარდაფში, დილდილაობით მე დავხერხავ ხოლმე, მაგაზე კარგი ვარჯიში მეორე არ არსებობსო. თინას მამამ ეჭვიანად შეხედა. - დასახერხი ფული თუ არა გაქვთ, მე მოგცემთო. არაო, რას ამბობო, - შექან-შემოქანდა გია, - მართლა ძალიან მინდა, მე თვითონ ვხერხოო. თინაც აბუზღუნდა, - ნუ მოიგონებ ხოლმე რაღაცეებსო. მაგრამ გიამ თავისი გაიტანა, შეშა სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოკოლეს, თინა მშვენივრად მიეხმარა.

გია მართლაც ხალისობდა. ჰო, შეშის ღირებულებაზე ხმა არ ამოაღებინა თინას მამამ, მაღლაც კი არ აჰყვა, - პირველი გაკვეთილი მაქვს, შვილოო, უნდა მოვასწრო და ერთი-ორი საათი წავიძინოო. დაქოქეს მანქანა, წავიდნენ. გიას ხერხი შინ ჰქონდა, წაიღო ის ხერხი, დეზერტირების ბაზართან გაალესინა, ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შვიდ საათზე დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა, თვითონვე ამოჰქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა, მერე მკლავებს უჩვენებდა თინას, - ნახე, როგორ დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა. რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაჰპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს.

- არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი მწვადიო! ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამხარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი სულ „მწვადს“ გაიძახოდა. მაგრამ ერთ საღამოს გია შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა, - ხვალ მივლინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და არ ვიცი, როგორ წახვალთ იოლას უჩემოდო. ერთი პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები უკან გასწია, აკოცა გიას, - შენ ჩვენი დარდი ნუ გექნება, მე მაგარი გოგო ვარო. გიას ცოტა გულს მოეშვა, მიდგა-მოდგა, რაღაცებს დაუწყო ძებნა. სუფრას რომ მიუსხდნენ, იქ დაიწყეს ანგარიში. ფული რაც ჰქონდათ გიასაც და თინასაც, გია წაიღებდა (ახლა უკვე აღარავის სჭირდება ახსნა-განმარტება, მარტო სამივლინებო თანხით რატომ არ შეიძლება ქალაქიდან გასვლა). ესეც არ იყოს, იქნებ ბავშვისთვის კარგი რამ შეხვედროდა. ოც დღეში თინას და ბავშვს დასჭირდებოდათ... თინას აზრით - ოცდაათი მანეთი, გიას აზრით - სულ ცოტა, ორმოცდაათი მანეთი. ეს ორმოცდაათი მანეთი გიას უნდა ესესხა. დეიდას თუ არ ექნებოდა, სხვაგან უსესხებდა. მთავარი შეშა იყო, შეშას თინა ხომ ვერ დახერხავდა და დააპობდა. ოცი დღის სამყოფის დახერხვას ვერც გია მოასწრებდა.

გადაწყვიტეს, სამოცი მანეთი ესესხათ გიას დეიდასგან. ორმოც მანეთს თინა დაიტოვებდა, თხუთმეტი მანეთით შეშას დაახერხინებდნენ, ხუთი მანეთიც... ხუთი მანეთი ხვალვე დასჭირდებოდათ.
გიას ძალიან ენანებოდა მხერხავისთვის მისაცემი ფული, მაგრამ თან უკვე ის ყოველდღიური ფართიფურთიც მობეზრებოდა. - დავახერხინებ სულ, დავაწყობ და მოვისვენებო.
წავიდა, დეიდასაგან სამოცი მანეთი მოიტანა, ორმოცი თინას მისცა, ოცი თვითონ ჩაიდო.
დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა, ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ, ზოგი იდგა, ზოგიც ბაღის ყორეებზე ჩამომჯდარიყო. აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიმყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, - იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო! - წამობრძანდებით პაპაო. ბერიკაცს ფარაჯის სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია, ხერხი მარცხენა მკლავზე ეკიდა. ისევე გაჰყვა. წავკისელი იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით გაჰფანტოდა, ზოგი საით. გიამ რძის რიგთან ცოტა მოაცდევინა, რძე-მაწონი აიღო, მერე ისევ ერთად წავიდნენ. გია ჩქარობდა, ზოგჯერ დაავიწყდებოდა კიდეც ხოლმე, მოხუცი რომ მისდევდა, წინ გაუსწრებდა, მერე გაახსენდებოდა და შემცბარი გადახედავდა. მოხუცი მაინცდამაინც დიდ მანძილზე არ რჩებოდა. პირდაპირ სარდაფში არ ჩაუყვანია, ჯერ მაღლა ავიდნენ. - ნახე, როგორი პაპა მოვიყვანე, თინაო. თინა გამოვიდა, იმასაც მოეწონა. - ისეთი პაპაა, მოფერება მოგინდებაო. და მოეფერა კიდეც, - ღუმელთან მობრძანდით, პაპილო, გათბითო. - არა, შვილო, არა მცივაო. თინა მაინც არ მოეშვა. მაშინ ბერიკაცმა ხერხი კარს უკან მიაყუდა, ფეხებზე ყურებით მივიდა ღუმელთან, ხელები ჯერ შორიდან მიუშვირა, მერე ზედ დააწყო. მოვიდა თამუნიაც, დაინტერესებულმა შემოუარა ირგვლივ. ბერიკაცმა გაუღიმა, - რაო, პატარა ქალოო! თამუნია მიბრუნდა და დედასთან გაიქცა.
გიამ კარადიდან არაყი, პური, ლორი და ყველი გამოიღო. არაყი დაასხა. - აბა, პაპა, დილის მადლი შეგვეწიოსო. პაპამ ერთი პირობა იუარა, მაგრამ მერე მაინც ასწია ჭიქა. ნელა დალია. გიამ ბოთლი ისევ აიღო. - არაო, ხელი დააფარა ბერიკაცმა თავის ჭიქას. - ერთიც, პაპა, ერთიც, ეს რა არის, პატარა ჭიქაა. ოჯახი დამილოცეო! ის ერთიც გაუვსო. ბერიკაცმა ოჯახი დალოცა. თამუნია შუა კარიდან იყურებოდა, დაინახა, ბედნიერი ქალი გაგიზარდოთო. დალია. გიამ მესამედაც მოინდომა ჭიქის ავსება, მაგრამ მოხუცმა საბოლოოდ იუარა, თინაც გამოექომაგა, - კარგი რა, გია, შენც ხომ სამსახურში ხარ წასასვლელიო. მაშინ გიამ სარდაფის გასაღები მოძებნა და ბერიკაცს დაბლა ჩაუძღვა.
არ უვაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც. - თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, - თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, შავი ბამბაზიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირებაღუნული, წვრილი ღილებით საღძირამდე შეკრული. აიღო შეშა, დადო ჯოჯგინებზე; რბილად გადაუსვა ხერხი. წადი, შვილო, შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა, რა მოლაღურივით პაპა შემხვდაო. მიაწყ-მოაწყო წიგნები და ქაღალდები, ჩასალაგებელი ჩაილაგა, თინას დაუბარა, ადრე აჭამე სადილი, ეგენი, ხომ იცი, პირველ-ორ საათზე სადილობენო, და სამსახურში წავიდა.
თინამ კარგი ხარჩო გააკეთა, ბოლოკი დაარჩია, ყველი დაჭრა, ერთი ბოთლი შინაური ღვინოც დადგა და მოხუცს ისე გაუმასპინძლდა. ბერიკაცი ამჯერადაც ჩუმად იყო, ჩუმად ჭამდა, ღვინის დალევას სულ არ აპირებდა, მაგრამ თინაც მიუჯდა მაგიდას, თამუნიაც გვერდზე მოისვა, თვითონაც დალია, მოხუცსაც დაალევინა. სუფრაზე დახრილი, მათლაფაში რიდით კოვზჩაყოფილი პაპა კიდევ უფრო მოსწონდა. თეთრი ეკლებივით მსხვილი თმით შემოსილი პატარა თავი ჰქონდა, თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე უბრწყინავდა. თინამ კიდევ ერთი გაიგო მისი - უმცროსი ბიჭი ავარიაში დაღუპოდა. ჭიქა წაუქციეს, ბერიკაცს აღარაფერი უთქვამს მეტი, აღარც თინა ჩასძიებია. ჭამას მორჩა, ქუდი აიღო და ისევ სარდაფში ჩავიდა.
ოთხის ნახევრისთვის გიამ მოირბინა, - მე მივდივარ და აბა, თქვენი იმედი მაქვს, პაპაო. - წადი, შვილო, წადი, კეთილად გატაროსო. გიამ ზეზეულად წაიხემსა, შეშის დასახერხი ფული დატოვა, ცოლ-შვილი დაკოცნა. წასვლის წინ, რუსულ ყაიდაზე, ცოტა ხანს დასხდნენ, თამუნიამ უკვე იცოდა, მამა რომ „მოსკოვში“ მიდიოდა და ლამაზ-ლამაზი რამეები უნდა ჩამოეტანა, მაგრამ მაინც ატირდა. თინამ ძლივს დააწყნარა.
ბერიკაცმა საღამომდე ხერხა, საღამოს ამოვიდა. - ცოტაღა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ დავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. - არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეო. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი ცოტა შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუდო, - წაიღეთ, წაიღეთო! ბერიკაცმა მადლობა გადაუხადა. - დილამდე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო, წავიდა.
წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო კვირას.

დაბრუნდა გია მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი. - აი, ასე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა. მერე თქვა, - მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. - ნახევარზე ცოტა მეტიო, - მიუგო თინამ. - მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნებ რა შეემთხვაო! - კარგიო! - გაეღიმა თინასაც. გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც.

ერთ დღეს ერთი დაბალი ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ ჰყავთ, შეშა რომ ჰქონდათ სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მოიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარაკდა, - პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დავხერხოო. თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნით, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე შეუფიქრიანდა. - პაპა? პაპას რა დაემართაო? - პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო. თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გიამ, იმანაც გაიგო, რა ამბავიც იყო, აჰო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო.

გია მაღლა ამობრუნდა. თინა შუა ოთახში დახვდა. გიამ ხელები კეფაზე შემოიწყო, - აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! თინამ გაუღიმა. თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა.

რეზო თაბუკაშვილი (1927 – 1990)

ეს ლექსი რეზო თაბუკაშვილმა გარდაცვალებამდე 3 დღით ადრე დაწერა და შვილიშვილებს მიუძღვნა

მშვიდობას ვეტყვი, მალე ქართულ ზეცის საფირონს,
და მცირე ტალღად შევერწყმები ზღვას, უნაპიროს.
ქარს, იმქვეყნიურს დავუხვედრებ, მალე, წინ აფრას;
დიდებულია! გარდვიქცევი მალე წინაპრად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას.
მე წავალ, რადგან დრო არა მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები.
მეც გიმეგზურებთ, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით,
მე დაგინახავთ, მაგრამ ვეღარ დაგენახვებით.
მე არასდროს არ ვიქნები თქვენთან მოდავე,
სამშობლო თქვენი, თუ არასდროს არ იცოტავეთ,
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ.
მშვიდი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერე,
სხვათა მიღწევით, სიხარული თუ გაიბევრეთ.

https://www.youtube.com/watch?v=pmKOUJ0aV2c

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით…
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე დავით…
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით…
– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები?
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი "ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე"….
თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ,
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
– ფეხი დამადგით, გულზე დამადგით
ფეხი ყოველთა…

ანა კალანდაძე

ვანო და ნიკო და ვალი

ერლომ ახვლედიანი

ერთხელ ვანო ნიკოზე ოცი წლით უფროსი იყო...

ნიკოს ვანოს ვალი ჰქონდა, მაგრამ ნიკო ვანოს სულ ატყუებდა: დღეს ეუბნებოდა, ხვალ მოდიო, ხვალ ეუბნებოდა, ხვალ მოდიო და ყოველდღე ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

ვანოს სწყინდა, ნიკო რომ ატყუებდა და ფიქრობდა: „თუ შეუძლია გადამიხადოს —

გადამიხადოს, თუ არ შეუძლია გადამიხადოს, რატომ მატყუებს? პირდაპირ მითხრას და გათავდება“.

მაგრამ ნიკო პირდაპირ არ ეუბნებოდა და თუ ეუბნებოდა, ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

„თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და წყენით შევხედავ. მაშინ ხომ მიხვდება, რომ მწყინს, რომ მატყუებს“.

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.

— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.

— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.

— ხვალ მოდი, — თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა, წყენით ვერ შეხედა ნიკოს და წამოვიდა.

„ხვალაც მივალ, — ფიქრობდა ვანო, -

ხვალაც მივალ და, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და ვეტყვი, რომ მატყუებს. მაშინ ხომ მიხვდება, რომ ვხვდები, რომ მატყუებს?“

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.

— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.

— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.

— ხვალ მოდი, — თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

,,ნიკო, მე ვხვდები, რომ მატყუებ”, - და წამოვიდა.

,,ოცი წლით უფროსია ჩემზე ნიკო, - ფიქრობდა ვანო, - მე რომ ნიკოზე ოცი წლით უფროსი ვიყო, აუცილებლად გადავუხდიდი ვალს. თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ვეტყვი, რომ უპიროა და არ ეკადრება. ნეტა ნიკო არ იყოს ჩემზე ოცი წლით უფროსი”.

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო
— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.
— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.
— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.
— ხვალ მოდი, — თქვა ნიკომ.
ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:
„ნიკო! შენ უპირო ხარ, არ გეკადრება... ოცი წლით ხარ ჩემზე უფროსი“, — და წამოვიდა.
„უჰ, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, — ფიქრობდა ვანო, —
ავდგები და კარგად გამოვლანძღავ, ვეტყვი — შე ასეთო და ისეთოო... უჰ, რად არა ვარ ნიკოზე ოცი წლით უფროსი!“
მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.
— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.
— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.
— რამ მოგიყვანა? — ჰკითხა ნიკომ.
— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.
— ხვალ მოდი! — თქვა ნიკომ.
ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:
„ხვალ მოვიდე?.. ნეტა შენზე ოცი წლით უფროსი ვიყო... შე ასეთო და ისეთო... უჰ!“ —
და წამოვიდა.
„მეტი აღარ შემიძლია, — ფიქრობდა ვანო, —
მეტი აღარ შემიძლია, ხვალაც მივალ, ხვალაც მივალ და თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ქვა მექნება ჯიბეში ხვალ და თუ მითხრა, ხვალ მოდიო, ვეტყვი, ამ ქვას თავში დაგარტყამ-მეთქი და თუ გაიქცა, გამოვეკიდები... მაგრამ ვეცდები, არ დავეწიო, ვეცდები, არ მოვარტყა...“
მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.
— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.
ვანომ არაფერი უპასუხა.
— რამ მოგიყვანა?
— ვალი!
— ხვალ...
ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:
„ხვალაო?!. გაიქეცი! ქვა მოვიდა თავში! გაიქეცი!.. ვეცდები, არ დაგეწიო... ვეცდები, არ მოგარტყა ... გაიქეცი! ჩქარა!“
ნიკო არ გაიქცა. ვანო არ გამოეკიდა და არ დაეწია. არც ესროლა და არც ააცილა. ვერც გასძახა ნიკოს:
„ხვალ არ მოვალ, მოვალ ზეგ და თუ ჩემი ვალი არ დამიბრუნე, დაგეწევი. ტყუილად კი არ ვარ შენზე ოცი წლით უმცროსი?!“ — და წამოვიდა.
მეორე დღეს ვანო არ მივიდა ნიკოსთან და მთელი დღე დიდ ქვას არჩევდა მისთვის.



მესამე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

— გამარჯობა! — მიესალმა ნიკო.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა ვანომ.

— რისთვის მოსულხარ? — ჰკითხა ნიკომ.

— შენ ჩემი ვალი გმართებს, — უპასუხა ვანომ.

— ხვალ...

— რაო?!

— ხვალ...

— რაო?!

— ხვალ ნუ მოხვალ... დღეს მოგცემ შენს ვალს.

— ნიკო, მაპატიე, რომ შეგაწუხე... შენ ხომ ჩემზე ოცი წლით უფროსი ხარ...

ნიკომ ვანოს ვალი დაუბრუნა.

უმისამართო წერილი

„ - მე შენ მიყვარხარ!

- არა გჯერა?

- ვიცი რაღაც დაკარგა ამ სიტყვამ მეოცე საუკუნეში, თითქოს გაიცვითა და აღარავინ იჯერებს. ხომ შენც ასე ფიქრობ და ალბათ ამიტომ ხარ ასე შორს და არ გჯერა ჩემი. მე კი… მე კი ისევ იმის თქმა მინდა რომ…

მე შენ მიყვარხარ!

ყველაფერმა აზრი დაკარგა ჩემს ირგვლივ შენს გარეშე. ურთიერთობას ვეღარ ვახერხებ ვერც სულიერთან და ვერც უსულოსთან. ისინი მე გამირბიან. თითქოს დაიცალა მთელი სამყარო და დავბორიალობ უსახო სიცარიელეში. დილით რომ ვიღვიძებ, საშინელი სევდა მომყვება ხოლმე სიზმარეული ქვეყნიდან. ყოველ ღამე სიზმარში გხედავ, ისეთს, როგორიც იყავი.

დილა არის.

თოვს.

ფანჯრიდან გხედავ, რომ ჩემი სახლის წინ დგეხარ და მელოდები.

თოვს.

ზეცა ნებივრობს შენს კულულებზე, თეთრი ფანტელებით გეალერსება, სახეზე გათოვს. მე შინიდან გიყურებ და კარგა ხანს გარეთ არ გამოვდივარ. ამ წუთში შენ ზეციდან მოფრენილ ანგელოზს გავხარ. დგეხარ ჩემს ფანჯარასთან და მელოდები. სახეზე გათოვს. შენ ზეცაში იყურები და გეჩვენება, რომ მაღლდები, ზემოთ მიფრინავ. ეს მასწავლებელმა გვასწავლა პირველ კლასში. შემოდგომაზე რომ მოვიდა თოვლი, კლასიდან გარეთ გამოგვიყვანა და დაგვაყენა.

თოვდა.

მასწავლებელმა ცაში აგვახედა. სახეზე თოვლის ფიფქები გვეფინებოდა და უცებ ყველას ნეტარების წამოძახილი აღმოგვხდა - ჩვენ ცაში ავფრინდით!

ეს რა თქმა უნდა მოგვეჩვენა. ასე იცის, როცა თოვაში მაღლა იყურები. მაგრამ მაშინ ჩვენ ეს არ ვიცოდით და რატომღაც ყველამ დაბლა დავიხედეთ რომ გვენახა, მასწავლებელიც მოფრინავდა, თუ არა.

როგორ გვეწყინა, რომ ისევ მიწაზე ვიდექით.

მერე ხშირად ვმაღლდებოდით ხოლმე თოვაში.

შენ ჩემს ფანჯარასთან დგეხარ და სახეზე გათოვს. ვიცი რომ ამ წუთში მაღლა მიფრინავ და არ გამოვდივარ სახლიდან, არ მინდა მიწაზე დაგცე.

- დაგაგვიანდა, - მეუბნება დედაჩემი.

თოვს.

მე ვერ ვბედავ გარეთ გამოსვლას.

ახლა ჩვენ მეექვსე კლასში ვართ და რა თქმა უნდა, ის მასწავლებელი აღარ გვასწავლის.

იცი, რა მახსოვს?

ერთხელ დავალება მოგვცა: წიგნიდან ლამაზად უნდა გადაგვეწერა მოთხრობა. მე მთელი ღამე ვწერდი. დილით რომ გავიღვიძე, ჩემს ბიძაშვილს, ჩვენზე ერთი წლით წინ რომ სწავლობდა, იმას, გამურული ტაფა დაედგა ჩემს ნაწერზე. მეტი რა გზა მქონდა, ის გადათხუპნული ნაწერი წამოვიღე. ხელის კანკალით გადავუშალე მასწავლებელს, დარწმუნებულმა, რომ ერთიანს თუ არა, ორიანს ნამდვილად დამიწერდა.

თქვენ ყველანი მე მიყურებდით შემკრთალი თვალებით.

მასწავლებელმა ხუთიანი დამიწერა.

თოვს…

შენ უცებ თავს დახრი და ფანჯრისაკენ მოიხედავ. შენ ახლა ისევ მიწაზე ხარ და მე გულადად გამოვდივარ სახლიდან.

თოვს.

ჩვენ სკოლაში მივდივართ.

- მე შენ მიყვარხარ.

- დამიჯერე რა.

- ვიცი რაღაც დაკარგა ამ სიტყვამ და ალბათ ამიტომ ხარ ასე შორს და არა გჯერა ჩემი. მე კი…

მე კი, რაც დრო გადის უფრო მიყვარხარ.

ყველაფერმა აზრი დაკარგა ჩემს ირგვლივ შენს გარეშე. ზოგჯერ მეშინია კიდეც, სიმარტოვისა მეშინია. დილით რომ ვიღვიძებ, საშინელი სევდა მომყვება ხოლმე სიზმარეული ქვეყნიდან. ყოველღამე სიზმარში გხედავ, ისეთს, როგორიც იყავი.

შენ არ იცი რატომ გავაცდინე მაშინ სკოლა. თავი რომ მქონდა გატეხილი, იმას გეუბნები. იქნებ არც უნდა გითხრა, მაგრამ იმიტომ ვამბობ, მაშინ რომ მოგატყუე, ხიდან ჩამოვვარდი-მეთქი. ტყუილი მინდა დავიბრუნო.

მერვე კლასელმა ბიჭებმა მცემეს სკოლის უკან…

მაგრამ თურმე აღარაფერი ბრუნდება უკან. მე დროში გავლილ მოვლენებზე გეუბნები. ის, რაც იყო, ერთხელ იყო, განსაზღვრულ დროში და განსაზღვრულ სივრცეში.

მე მაშინ მოგატყუე.

სხვასაც რამდენ რამეს გატყუებდი. გეუბნებოდი რომ ქალაქში ვიყავი და იქ სპილოები და აქლემები ვნახე-მეთქი.

ერთხელ ისიც კი მოგატყუე, რომ შენი სახლის უკან დევი ვნახე ღამე, - შენ გჯეროდა.

რატომ გატყუებდი, არ ვიცი. ალბათ ვაჟკაცად მინდოდა დამენახვებინა ჩემი თავი.

ერთხელ სიზმარში გნახე, რომ ბეღურა იყავი და დაფრინავდი. ვიღაცამ ქვა გესროლა და ფრთა მოგტეხა, შენ ჭინჭრებში ჩავარდი. მოვედი, აგიყვანე. კანკალებდი. მე უბეში ჩაგისვი, რომ გამთბარიყავი. თან ვტიროდი, ისე ვტიროდი, გულს ვიგდებინებდი. მეგონა, თუ ასე ვიტირებდი, არ მოკვდებოდი…

დედაჩემმა შეშინებულმა გამომაღვიძა - ეტყობა, ცხადად ვტიროდი.

ბავშვობა მაინც სხვანაირი იყო. ალბათ იმიტომ, რომ იქ შენ იყავი. ბავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული. ხოლო სამყარო არ დაბადებულა ერთხელ და სამუდამოდ, იგი მარადიულად იბადება. ყველაფერი მიიქცევა და კვლავ მოიქცევა.

მე რატომღაც მგონია, რომ ისევ მოხვალ.

იცი, როგორ გელოდები.

როდესმე ისევ წავალთ სკოლაში. პირველი თოვლი რომ მოვა, მასწავლებელი გარეთ გამოგვიყვანს და ცაში აგვახედებს…

სკოლის უკან ისევ მცემენ მერვე კლასელი ბიჭები და ისევ მოგატყუებ, რომ ხიდან ჩამოვვარდი.

ისევ ვნახავ დევს შენი სახლის უკან…

ისევ წავალ ქალაქში სპილოების სანახავად.

ოღონდ დამიჯერე. სადაცა ხარ და როგორცა ხარ, იქ დამიჯერე, რომ - სამყარო არ დაბადებულა ერთხელ და სამუდამოდ, იგი მარადიულად იბადება…

ოღონდ, დამიჯერე, რომ თუ როდისმე კიდევ მოხვალ ამ მიწაზე, უკან გაუხსნელად არ დაგიბრუნებ შენს წერილებს და ამის გამო თავს აღარ მოიკლავ…

ოღონდ დამიჯერე, რომ ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ არ მიყვარდი, პირიქით…



მე შენ მიყვარხარ!“



ნიკო გომელაური

* * *

მღვდლებმა მითხარით , ან წარმართებმა ,
რა მემართება? რა მემართება?
ტყუილი, ნეტავ, რას მემართლება,
რა მემართება? რა მემართება?
გული თავისით არ იმართება,
რა მემართება? რა მემართება?
სული დამისხამს, ტვინი დათვრება,
რა მემართება? რა მემართება?
რად გამიტაცეს ცრუ მიმართვებმა,
რა მემართება? რა მემართება?
უსახურობა სახეს მართმევდა,
რა მემართება? რა მემართება?
ალბათ, თავდახრა უფრო მმართებდა,
რა მემართება? რა მემართება?
ბედი ბედავდა, სად არ მათრევდა,
რა მემართება? რა მემართება?
,,რა მემართება? რა მემართება?”
– მაინც თავისით წარიმართება . . .

ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა

ჩემს ქალაქში არაფერი მაოცებს, შუაღამეს მზის სხივიც თუ მაკოცებს,

აქ ხომ შავი საყვარელი ფერია, აქ შენი ძმა თურმე შენი მტერია…

აქ არ ხარობს თავმდაბლობის ნარგავი, აქ ტაძრებშიც შეიტანეს ნაგავი,

აქ სიზმრები აღარ არის ფერადი, აქ ღალატი გახდა მრავალჯერადი…

აქ სიყვარულს ჩაგითვლიან ბოდვაში, აქ ხომ ახლა ბოზობაა მოდაში.

აქ გესევა მათხოვრების არიმია, აქ სიყალბე უმთავრესი შარმია...

აქ უნიჭო სიმღერები ჰიტია, აქ "ბებერი ალაზანში კიდია"…

აქ პოეტებს გაურბიან მუზები, აქ გესვრიან, თუ არ წაიკუზები…

ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეტამ ჯონდო დააორსულა.

ნიკო გომელაური



ნიკო გომელაური

როგორი იყო აბა რა ვიცი,
ასე ამბობენ, ჰქონდა წვერები.
2000 წელი განვიცდი ,
ჩარევა არ ღირს , მაგრამ ვერევი .
როგორ აკოცა უფალს ლოყაზე?
ცოტათი მაინც მორიდებოდა,
მეზიზღებოდა ზოგჯერ მოყვასი ,
მაგრამ ღალატი არ მინდებოდა .
არადა კოცნის, არადა ყიდის ,
იცის მოკლავენ, განა შტერია,
ღალატზე განა ვერცხლისთვის მიდის,
თავის სიმცირეს ვერ მოერია .
ისტორიაში დარჩა იუდა ,
დღესაც აქ არის, არ გაიგუდა .

მუსიკოსი

საღამო სწორედ ისეთი იყო, ჩვენ რომ გვიყვარდა.

ჩვენ დავდიოდით ლამაზ ქუჩებში – ვაბიჯებდით ხეების და ფოთლების ჩრდილებს. ფეხს ვურტყამდით პაპიროსის ნამწვავებს, ჩვენდაუნებურად მზერას ვაპარებდით განათებული ფანჯრებისაკენ. იყო სასიამოვნო სიჩუმე, და გვესმოდა მხოლოდ ჩვენი ნაბიჯების ხმა. ეს ხმა გვსიამოვნებდა, არ ვიცი, რატომ... შეიძლება იმიტომ, რომ ეს იყო ჩვენი ნაბიჯების ხმა. ხმის ამოუღებლად მივდიოდით. ალბათ იმიტომ, რომ გვსიამოვნებდა სიჩუმე, შეიძლება იმიტომ, რომ ლაპარაკს არ დაეფარა ნაბიჯების ხმა. ჩვენ გვსიამოვნებდა რაღაც. ეს „რაღაც“ იყო ლამაზი ქუჩა და სწორედ ისეთი საღამო, როგორიც გვიყვარდა. ჩვენ ჩავუარეთ სახლს, საიდანაც ისმოდა როიალის ხმა. ბგერები ჯარისკაცებივით მწყობრად და რითმულად მიდიოდნენ ზევით და ქვევით. ჩვენ გავცდით სახლს.

- იცი, რა? - მითხრა ნუგზარმა, - როდესაც ოდესმე კიდევ ჩავუვლი ამ სახლს, მექნება მოლოდინი, რომ გავიგონებ გამებს...

მე არაფერი ვთქვი – ვერ შევარჩიე პასუხი.
- შენც? - მკითხა მუგზარმა.
- ჰო, მეც... - ვთქვი მე.

- იცი, მე ზოგიერთ ქუჩაზე უფრო ხშირად დავდივარ. ასეთ ქუჩაზე მე ვცხოვრობ, ვსწავლობ ან უბრალოდ მომწონს ქუჩა...და დავდივარ. იმ ქუჩაზეც ხშირად ვარ...

- რომელზე?

- ის რომ ცხოვრობს...

„ის“ ერთი კარგი გოგოა, სიცილი და წითელი კაბა უხდება.

- იმ ქუჩებს კარგად ვიცნობ, - თქვა ნუგზარმა, - მივდივარ და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას, რასაც მივეჩვიე. რომელიმე ფანჯრიდან ხშირად გამოდის სიმღერების ხმა. სხვა ფანჯარაში ჩანს რომელიმე ნახატი, ზოგიერთი ფანჯრიდან მოისმის მაგნიტოფონზე ჩაწერილი მსუბუქი მუსიკა, ზოგიერთიდან გამების დაკვრა ისმის. მივდივარ ნაცნობ ქუჩებში და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას და დანახვას, რასაც მივეჩვიე. ხანდახან მიკვირს, რატომ არ ისმის სიმღერა... ჩემი სახლის წინაც დადიან, ალბათ, სხვები და ესმით... ზოგს მსუბუქი მუსიკა ურჩევნია გამების მოსმენას, ზოგს პირიქით... ის ხმა კი, ჩემი სახლიდან რომ მოისმის, არავის არ სიამოვნებს. არავის, გარდა იმისა, ვინც უკრავს და კიდევ იმისა, ვინც იცის, რაშია საქმე.

- რაა ეგეთი? - ვკითხე მე.

- მოგიყვე?

- მომიყევი.

- ჩამოვჯდეთ და მოგიყვები.

ჩვენ რომელიღაც სახლის კიბეზე ჩამოვჯექით.

- ის ჩემი მეზობელია, - თქვა ნუგზარმა, - მაშინ ყველანი მუსიკოსს ვეძახდით. ამ დაძახებაში არ იგრძნობოდა ის პატივისცემა, რომელსაც რატომღაც იწვევენ მუსიკოსები. ალბათ იმიტომ იწვევენ, რომ არის მათში რაღაც ისეთი, რაც აიძულებთ იყვნენ მუსიკოსები და არა, ვთქვათ... რა ვიცი, რამდენი სხვა პროფესიაა... ჰო, ამ დაძახებაში პატივისცემა კი არა, დაცინვა იგრძნობოდა. ალბათ, იმიტომ, რომ იმ ინსტრუმენტზე უკრავდა.

- რომელ ინსტრუმენტზე? - ვკითხე მე.

- ტუჩის გარმონზე უკრავდა... ჩვენ ყოველთვის ვბრაზდებოდით, როდესაც ის უკრავდა... რაღა რატომღაც – წარმოიდგინე ტუჩის გარმონზე გაუთავებელი დაკვრის მოსმენა... ამ ინსტრუმენტის ხმას მეზობლები სხვადასხვანაირად ვეძახდით – ზოგი წრიპინს, ზოგი ჩხავილს, ზოგიც წრუპუნს... უფრო ეს სიტყვა მიგვაჩნდა შესაფერისად – წრუპუნი. მას შეეძლო დაუსრულებლად დაეკრა თავის ინსტრუმენტზე. ეტყობოდა, რომ ძალიან სიამოვნებდა ეს. ის რაღაც სხვანაირად უკრავდა. რატომღაც ყოველთვის ირჩევდა სევდიან მელოდიას. უკრავდა ხანგრძლივი ჩაბერვით. ყოველი შესუნთქვის დროს ქრებოდა დიდი ძარღვი მის კისერზე. მკრთალი ძარღვი შუბლზე. და ასე გაუთავებლად...

ეზოში მეორე მუსიკოსიც გვყავდა, ნამდვილი მუსიკოსი. ის ვიოლინოზე უკრავდა. ის უფრო ხშირად უკრავდა, მაგრამ არავინ ბრაზდებოდა – ის ნამდვილი მუსიკოსი იყო. მეზობლებიდან ზოგს მართლა უყვარდა ვიოლინო, ზოგს არა, მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერ გამოხატავდა საყვედურს – იცოდა, რომ ვიოლინო აღიარებული ინსტრუმენტი იყო. სამაგიეროდ, ისიც ყველამ იცოდა, რომ ტუჩის გარმონი არ იყო ასეთი ინსტრუმენტი და ყველა იძახდა, რომ ყურისწამღები იყო ეს ,,გაუთავებელი წრუპუნი". სიმართლე რომ ითქვას, ის არ უკრავდა ძალიან ბევრს, არ უკრავდა გაუთავებლად. დაკვრა მაშინვე წყდებოდა, როდესაც გაისმოდა ვიოლინოს ხმა. ტუჩის გარმონის ხმა მაშინვე იკარგებოდა ვიოლინოს გაგონებაზე, თითქოს იმალებაო. მევიოლინე უკრავდა გამებს, რთულ პასაჟებს, მერე ეტიუდებს და მთელ კონცერტებს. ჩვენც ვიყურებოდით იქით, საიდანაც მოდიოდა ბგერები და გვეჩვენებოდა, რომ ფანჯარა უკრავდა. როდესაც მევიოლინე ამთავრებდა დაკვრას, ეზოში ათიოდე წუთით სიჩუმე იყო. მერე შემპარავად იწყებდა დაკვრას მუსიკოსი. ისმოდა ლამაზი, სევდიანი მელოდია, მაგრამ ჩვენ მაინც გვეჩვენებოდა, რომ მისი ფანჯარა ,,წრუპუნებდა". ყველა იწყებდა ლაპარაკს: იძახდნენ, რომ მუსიკოსმა გააჭირა საქმე, რომ წაიღო ყურები, რომ აღარაა მისგან საშველი... ერთ დღეს ჩვენი ერთერთი მეზობელი შემოვიდა ეზოში და გაიგონა ტუჩის გარმონის ხმა. მეზობელს ვიოლინოც სძულდა. ის საერთოდ უკმეხი იყო და იმ დროს, მგონი, ცოტათი მთვრალიც. ,,შენ ეი, მუსიკოსო!" - დაიღრიალა მან. ფანჯარაში მუსიკოსი გამოჩნდა. ,,რა გნებავთ?" ,,გააჩერე რა, თუ ღმერთი გწამს, ნუ წაიღე ყურები". ეს პირველად ხდებოდა, როდესაც მუსიკოსს პირში ეუბნებოდნენ საყვედურს. ,,რას გიშლით?" - ჰკითხა მუსიკოსმა. ,,როგორ თუ რას!.. აღარაა მოსვენება". მეზობელი ცოტათი მთვრალი იყო. ,,კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ორ გარმონზე ერთად დაუკრავდი", - თქვა მეზობელმა და მიმოიხედა – უნდოდა ჩვენს სახეებზე ამოეკითხა როგორ მივიღებდით მის ენამოსწრებულობას. ,,ერთი ხელითაც შემიძლია ორი გარმონის დაჭერა", - სცადა ხუმრობა მუსიკოსმაც. ,,კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ოთხი გარმონით დაუკრავდი!" - დაიყვირა მეზობელმა, მოეწონა ნათქვამი და აღფრთოვანებით გამოიხედა ჩვენსკენ. პირველად ზოგს მოეწონა ხუმრობა, მთქმელიც კი. მუსიკოსი ნაწყენი ჩანდა და ცდილობდა ეთქვა რაიმე. ვერაფერი თქვა და შებრუნდა ოთახში.
იმ დღეს ყველანი ველოდით, როდის გავიგონებდით მისი ინსტრუმენტის ხმას, მაგრამ ფანჯარა დუმდა. მე ავედი მასთან და მორიდებულად დავაკაკუნე კარებზე. კარები მუსიკოსმა გააღო. მე შევედი ოთახში და ჩამოვჯექი სკამზე. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. ,,დაუკარით რამე, რა..." - ვუთხარი მე. ,, მე არ მეგონა,"- თქვა მუსიკოსმა, - ,,რომ გაწუხებდით თქვენ... ალბათ იმიტომ, რომ ყველა ინსტრუმენტი მიყვარს", ,,დაუკარით, რა,"- გავუმეორე მე. ,,ორივე ხელი რომ მქონდეს, ვიოლინოზე დავუკრავდი", - თქვა მუსიკოსმა.



ჩვენ დიდხანს ვისხედით ჩუმად.

,,მე არ შემიძლია არ დავუკრა",- თქვა მუსიკოსმა. - ,,მე ძალიან მიყვარს მუსიკა. ისეთი კი არა, რომელსაც უსმენენ... ისეთი, რომელსაც თვითონ ჰქმნი"... მან დახედა ინსტრუმენტს: ,,ეს ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელზედაც შეუძლია დაუკრას ცალხელა კაცმა".

,,დაუკარით, რა", - კიდევ ვთქვი მე.

მუსიკოსმა აიღო გარმონი, მიიტანა ტუჩებთან და ჩაჰბერა. მუსიკოსი უკრავდა ნაღვლიან მელოდიას. უკრავდა გრძელი ჩაბერვებით. შესუნთქვის დროს ქრებოდა დიდი ძარღვი კისერზე, მკრთალი ძარღვი შუბლზე. მერე ისევ ჩაბერავდა და... ისევ იბერებოდა კისერზე დიდი ძარღვი, ისევ ჩნდებოდა წვრილი ძარღვი შუბლზე... ეს არ იყო ,,წრუპუნი", არც ,,ჩხავილი" და ,,წრიპინი". ეს იყო ლამაზი ნაღვლიანი მელოდია და მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია მეორე ხელზე.

ნუგზარი გაჩუმდა.

- ახლა, როდესაც ვბრუნდები სახლში, შორიდანვე ვამახვილებ სმენას. მერე გავიგონებ, რასაც მოველი და მსიამოვნებს – ეს არის ტუჩის გარმონის ხმა.

- ახლაც უკრავს ნეტავ? - ვკითხე მე.

- ალბათ...

ჩვენ წამოვდექით. მივდიოდით ლამაზ ქუჩაზე – ვაბიჯებდით ხეების და ფოთლების ჩრდილებს. იყო სასიამოვნო სიჩუმე და გვესმოდა მხოლოდ ნაბიჯების ხმა. გვსიამოვნებდა ხმა, რომელიც იყო ჩ ვ ე ნ ი.

მე გამახსენდა მუსიკოსი და რატომღაც შემშურდა მისი. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვუკრავ არცერთ ინსტრუმენტზე...

იმ ღამეს, როდესაც მარტო ვბრუნდებოდი სახლში, მე ვსტვენდი... ეს იყო ნაღვლიანი მელოდია რომელიღაც კინოფილმიდან. მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია ჩემს ორ ჯანსაღ ხელზე, რომლებსაც არ შეეძლო დაკვრა...

მე მაინც მსიამოვნებდა სტვენა.

გურამ დოჩანაშვილი

პირველი კონცერტი



დღეს საღამოთი კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.
ვღელავ.
ვცდილობ, დავმშვიდდე - ხან ჟურნალებს ვათვალიერებ, ხან ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ.
ვერ ვწყნარდები. დავდივარ ოთახში - ერთი კუთხიდან მეორემდე. რაღაცით უნდა გავირთო თავი... რა ვქნა? ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ტახტზე ვწვები და ჭერს თვალებით ვბურღავ.
დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. რომ შემეშალოს?.. არა! არ შემეშლება.
არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე?
ვდგები და დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.
რა ვქნა?..
კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი.
სურათიდან პატარა ბიჭუნა მიყურებს და ეშმაკურად მიღიმის. მოკლე შარვალი ჩაუცვამს. ყელზე დიდი ბაფთა გაუკეთებია. ხელში სათვალე უჭირავს. მისი ღიმილი ჩემზეც გადმოდის და ვუღიმი.
ეს ხომ მე ვარ, მე...
მე მაშინ პატარა, ძალიან პატარა ბიჭი ვიყავი.
მამაჩემი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ, დედაც თან გაჰყვა. დამტოვეს ბებიასთან.
ყოველი ბავშვივით, თამაში, ცელქობა და განსაკუთრებული შეკითხვები მიყვარდა.
ცოტათი...
ცოტათი კი არა, საკმაოდ ახირებული გახლდით.
როგორ მიყვარდა ეზო!..
ბებია და სახლი მაშინ მაგონდებოდა, როცა თამაშით დაქანცულს არაქათი აღარ მქონდა.
ავდიოდი კიბეზე, კარზე ბრახაბრუხს ავტეხდი და ლოყებდაწითლებული და ოფლიანი სავარძელზე მოვიკალათებდი ხოლმე.
- უუჰ, შე ყაჩაღო, - მეუბნებოდა ბებია და ტანსაცმელს მიცვლიდა, - სათვალიანი და ასეთი ცელქი!
სათვალეს მაშინვე ვიხსნიდი განაწყენებული, მაგრამ ისევ ვიკეთებდი. ბავშვობიდანვე სუსტი მხედველობა მქონდა.
ბებიას ჩემი სათვალეების გამოულეველი მარაგი ჰქონდა, რადგან თითქმის ყოველდღე ვტეხდი მათ - ხან ველოსიპედით მოვისურვებდი კიბეზე ჩასვლას, ხან ბურთი მხვდებოდა სახეში, ხან სირბილის დროს წავიქცეოდი ხოლმე.
ეზოდან ამოსული ცოტა ხანს ვისვენებდი.
- ბებო, რამე წამიკითხე, - ვეტყოდი ხოლმე შემდეგ.
ბებიაც მიკითხავდა გრიმების ზღაპრებს, მიამბობდა ამირანის ამბავს...
ერთხელ «მუმუ» წამიკითხა.
- ბებო! - შევშფოთდი, - დაიხრჩო?
- დაიხრჩო...
- მოკვდა?
- მოკვდა...
- რატომ დაიხრჩო, ცოდვა არ არი? - შევაცქერდი ბებიას და ტირილი დავაპირე.
ტირილი ხმამაღალი მიყვარდა. ისეთ ღრიალს ამოვუშვებდი ხოლმე, რომ...
- დაიცა, დაიცა, - დაფაცურდა ბებია, - ჯერ არ დამიმთავრებია. მუმუმ იცოდა კარგი ცურვა, - განაგრძო «კითხვა» ბებიამ, - გასცურა მდინარე, მივიდა გერასიმესთან და ახლაც იქ ცხოვრობენ კარგად და ბედნიერად... ფქვილი აქა, ქატო იქა, - დაუმატა დამაჯერებლობისათვის.
მეც დავუჯერე და ცრემლიანი თვალებით გავუღიმე.

როცა გავუღიმებდი, ბებია ყოველთვის მეფერებოდა, თმას თითებით მივარცხნიდა და გულზე მიკრავდა.
- ჩემი პატარა ბიჭი, - იტყოდა ხოლმე.
«ჩემის» ბებია ყოველთვის აგრძელებდა და მოფერებით «ჩემის» ამბობდა. მე კიდევ უფრო ვპატარავდებოდი მის მკლავებში.
- ჩემი სათვალიანი ბიჭი, - ამბობდა ბებია და თვალებში მკოცნიდა.
ჩვენს სახლში მოსულ სტუმრებს მოვალეობად მიაჩნდათ, ჩემზე რაიმე აზრი გამოეთქვათ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაქებდნენ.
ბებია ცდილობდა, არ შეემჩნია ჩემი ქება, მაგრამ ვერ ახერხებდა, იღიმებოდა.
- რამდენი წლისა ხარ, ნუგზარ? - მეკითხებოდნენ სტუმრები.
მე საჩვენებელ თითს ცერით ვიჭერდი და სტუმრებს სამ თითს ვუჩვენებდი ხოლმე.
- უჰ! უკვე დიდი ბიჭი ყოფილა, - ამბობდნენ ისინი.
მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი დიდი.
- ბებო! შენ ხომ დიდი ხარ?
- კი, - მოგვიანებით მპასუხობდა ბებია. სტუმრებს უხერხულად გაეღიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.
- ბებო, მე რატომ ვარ პატარა და შენ - დიდი?
ბებია ბრაზდებოდა.
- ი-მი-ტომ! - მეუბნებოდა ნერვიულად.
მე და სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით.
ასეთი კითხვების შემდეგ, ცხადია, ვერ შემაქებდნენ.
გამოსავალს ისევ ბებია პოულობდა.
- ნუგზარ, აბა უთხარი ბიძია გიორგის - ვინ დაწერა «თორნიკე ერისთავი».
- აკაკი წერეთელმა, - ვპასუხობდი მე.
- უყურე შენ! - გაიკვირვებდა ბიძია გიორგი.
ბებია გაიბადრებოდა და განაგრძობდა:
- მუმუ?
- მუ-მუ ტურგენევმა. მუმუმ ისეთი კარგი ცურვა...
- ნუგზარ! წადი, გენაცვალე, ეზოში ითამაშე.
ეზოში ჩავრბოდი და ომობანას ვთამაშობდი. სათვალეს ვიხსნიდი და ჯიბეში ვიდებდი. რომ არ მომეხსნა, აუცილებლად «გერმანელი» ვიქნებოდი.
გადიოდა დრო.
ჩემი წლოვანების საჩვენებლად აღარ მყოფნიდა ერთი ხელის თითები. სკოლაში შემიყვანეს.
ეზოში ცოტა ხნითღა ჩავდიოდი ხოლმე.
სკოლა კიდევ არაფერი, ბებიამ გადაწყვიტა, რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მესწავლა.
«რომელზე?» - ფიქრობდა.
- რომელზე? - ეკითხებოდა ნაცნობებს.
როიალისა და ვიოლინოს გაგონებაც არ სურდა, ყველა მაგაზე უკრავსო, ამბობდა. ბებიას ყოველთვის უნდოდა, რომ განსაკუთრებული ვყოფილიყავი.
ბოლოს ვიოლონჩელზე შეჩერდა.
დაიწყო ჩვენი სიარული მუსიკალურ სკოლაში! ბებია წინ მიმიძღოდა ვიოლონჩელით ხელში, მე ნოტები მიმქონდა.
როგორ ვბრაზდებოდი, ჩემს ტოლებს ეზოში ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მე კი... მე უნდა დამეკრა.
გაბრაზება სწრაფად მავიწყდებოდა, ქუჩაში მრგვალ ქვას ამოვარჩევდი, ფეხს ვურტყამდი და თავს ფეხბურთელად ვთვლიდი. მივრბოდი თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით. ბებიას მივდევდი, ხან ვუსწრებდი ხოლმე, ხანდახან ზედმეტად გართული ბებიას ვეჯახებოდი.
- უუჰ, შე ყაჩაღო, - ამბობდა მაშინ ბებია, - სათვალიანი და ასეთი ცელქი!
სათვალის მოსახსნელად ხელი სახესთან მიმქონდა, - მაგრამ ისევ ვუშვებდი.
გზად ბებიას ნაცნობი ქალი ცხოვრობდა. დღენიადაგ ფანჯარაში იყო გადმომდგარი და ქუჩას ათვალიერებდა.

- ნუგზარი როგორა გყავს? - ეკითხებოდა ბებიას.
- ცელქობს, - პასუხობდა ბებია, - კვირაში ორ სათვალეს ამტვრევს.
გაკვეთილის შემდეგ წინ მე მოვდიოდი ისევ თამაშით, ბებია უკან მომყვებოდა ვიოლონჩელით ხელში.
ნაცნობი ქალი იდგა ისევ და ქუჩას ათვალიერებდა.
- ბებო, ეს ქალი «შპიონია?» - ვეკითხებოდი ბებიას.
- არ არის შენი საქმე!
სახლში მისვლისას ცოტა ხნით ბებია ეზოში სათამაშოდ მიშვებდა. რას არ ვთამაშობდით - ლახტს, დამალობანას, დაჭერობანას, ომობანას, ყველაზე ხშირად კი ფეხბურთს.
მე ყველაზე პატარა ვიყავი და ამიტომ მეკარედ მაყენებდნენ. თვადამსხმელად თამაში მერჩივნა, მაგრამ!.. მაინც გატაცებით ვთამაშობდი. ჩვენი ეზოს ნაკრების მეკარე ვიყავი.
- ნუგზარ, - დამიძახებდა უცებ ბებია, - ამოდი, გაკვეთილები მოამზადე.
- მოიცა რა, მოიცა რა, ბებო...
ბებია არ მიცდიდა.
- ნუგზარ! ამოდი.
ზანტად ავდიოდი სახლში.
მეცადინეობის შემდეგ ეზოში სტვენით ჩავრბოდი და დამალობანას ვთამაშობდი.
კარგ ადგილს ვიპოვიდი, დავიმალებოდი და ამ დროს...
- ნუგზარ, - დამიძახებდა ბებია, - ამოდი, გენაცვალე, და დაუკარი.
«დაუკარის» ბებია ხაზგასმით ამბობდა.
მე არ ვპასუხობდი.
ბებია, როგორც ყოველთვის, არ მიცდიდა.
- ნუგზარ! ახლავე ამოდი!
ოხვრით ავდიოდი კიბეზე. ბებია ვიოლონჩელით მეგებებოდა.
- დაუკარი...
იმ წუთში ალბათ ძალიან შეწუხებული და დაღვრემილი გამომეტყველება მქონდა.
- დაუკარი, ჩეემო კარგო ბიჭო...
ბებია მაგიდასთან სკამს მიდგამდა და სურაზე ნოტებს მიაყუდებდა.
მე ყოველი შემთხვევისათვის უარის თქმას დავაპირებდი, მაგრამ...
- ნუგზარ! ჩქარა! დაჯექი და დაუკარი.
რაღა გზა მქონდა. ვჯდებოდი და ვუკრავდი.
ვიოლონჩელი კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი.
ეს კაცი მუხლებშუა უნდა დამეყენებინა, მისი თავი მარცხენა მხარზე უნდა მიმესვენებინა, მარცხენა ხელის თითები ყელზე უნდა შემომეჭდო მისთვის, ხოლო მარჯვენათი უნდა ამემღერებინა.
ვიოლონჩელს მაშინ ბოხი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა და მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა.
ბებია გვერდით მეჯდა და მიყურებდა, რომ მარჯვენა ხელის მოძრაობა არ შემეჩერებინა.
რა ნელა გადიოდა დრო!
ჩემზე მეტად მეზობლები იტანჯებოდნენ.
- ვეღარ გაათავა? - კითხულობდა ერთი.
- არ იქნა ჩემი მოსვენება, - ამბობდა სამსახურიდან დაბრუნებული ბუღალტერი.
ჩემი ბოროტი კაცი არავის ერიდებოდა და ჩახრინწული ხმით სიმღერას განაგრძობდა.
- ვა! ვეღარ გადახერხა? - ამბობდა მანამდე მოწყენილი მეწაღე სეროჟა და თავისი ხუმრობით კმაყოფილი კარგ ხასიათზე დგებოდა.
დაკვრის შემდეგ ისევ ეზოში ჩავრბოდი სტვენით.
- ნუგზარ, - მითხრა ერთხელ ბებიამ, - მე ცოტა ავად ვარ. წახვალ მარტო?
- როგორ ვერ წავალ, - გავიკვირვე.
- ვიოლონჩელი ფრთხილად ატარე. სადმე არ დაამტვრიო. აბა, შენ იცი, ჩეემი ჭკვიანი ბიჭი.
კიბეზე მართლაც ფრთხილად ჩამოვიტანე ვიოლონჩელი.
ეზოში ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ ბიჭები.
- თამაში გინდა? - მკითხა ეზოს გუნდის კაპიტანმა.

- კი...
- დადექი გოლში...
ჩემი კაცი მიწაზე დავაწვინე და დავდექი. ერთი ძნელი ბურთიც ავიღე და ნამდვილ მეკარედ წარმოვიდგინე თავი. «აი, ნამდვილ კარში რომ ვიდგე, რა იქნებოდა, - გავიფიქრე, - ძელებიან კარში». უცებ ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ყველას გაუხარდა.
ერთი ძელის მაგიერ ხემი ჩავარჭე მიწაში, ხოლო მეორის ნაცვლად ვიოლონჩელი. ასეთ კარში მდგარი დამინახა ბებიამ... ერთი კვირის მანძილზე უმეკარეოდ იყო ჩვენი ეზოს ნაკრები... გადიოდა დრო.
ჩვენ ისევ ერთად დავდიოდით მუსიკაზე.
- ნუგზარი როგორ არის? - ეკითხებოდა ფანჯარაზე გადმომდგარი ქალი ბებიას.
- ცოტათი დაჭკვიანდა, ერთი კვირაა, სათვალე არ გაუტეხია, - ამაყად პასუხობდა ბებია.
ბებიასთვის ის დღე დღესასწაული იყო, როდესაც მე კონცერტზე ვუკრავდი.
- ბებო, რომ შემეშალოს, რა მეშველება? - ვეკითხებოდი შიშით ბებიას.
- არ შეგეშლება, - მაიმედებდა ბებია და მეფერებოდა, - არ შეგეშლება, ჩეემი ჭკვიანი ბიჭი. როდის იქნება, სოლო კონცერტი რომ გექნება?
დრო არავის და არაფერს უყურებდა. მიდიოდა თავისთვის.
მე უკვე მეჩოთირებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა.
ვიოლონჩელი ისევ კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი, ოღონდ ისეთი ჩახრინწული ხმა აღარ ჰქონდა.
ერთხელ ბებია ავად გახდა. დიდხანს იწვა.
ფრთხილად დამქონდა ვიოლონჩელი.
- თამაში გინდა? - მეკითხებოდნენ ბიჭები.
- არა...
მე ღრმად განვიცდიდი ბებიას ავადმყოფობას.
- ბებო, რამე ხომ არ გინდა? - ვკითხე ერთხელ.
- ის დაუკარი.
- რა?
- მე რომ მიყვარს.
ბებიას სენ-სანსის «მომაკვდავი გედი» უყვარდა.
ვიოლონჩელი მუხლებშუა დავიყენე, თავი მხარზე მივადებინე, კისერზე თითები შემოვაჭდე და დავუკარი.
არასოდეს დამიკრავს ისე კარგად...
- ჩეემი ჭკვიანი ბიჭი. მოდი, მოგეფერო, - მითხრა ბებიამ და ცრემლები მოიწმინდა.
ისე მომეფერა, როგორც ყოველთვის მეფერებოდა, - თითებით დამივარცხნა თმა, გულში ჩამიკრა, თვალებში მაკოცა.
კარი გაიღო და ჩვენი მეზობელი ბუღალტერი შემოვიდა.
- კიდევ დაუკარი რა, ნუგზარ, - მითხრა მან, - მუსიკა ისე მასვენებს...
მე, რა თქმა უნდა, კიდევ დავუკარი.
იმ დღის შემდეგ შევიყვარე ვიოლონჩელი... ის ისევ კაცი იყო ჩემთვის, ოღონდ ისეთი, რასაც მოსთხოვ, რომ აგისრულებს. მინდოდა და, ბედნიერებაზე, სიხარულზე ავამღერებდი, მომინდებოდა და, სევდიან ჰანგებს გადმოვაღვრევინებდი.
აღარ მჭირდებოდა დაძალება. აღარც მეზობლებს ვაწუხებდი. პირიქით.
- დამწვრისა დაუკარი რა... - მთხოვდა ხოლმე მეწაღე სეროჟა.
ბებია ამაყობდა ჩემით. ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა:
«ჩეემი ბიჭი, როდის გექნება ნეტავ სოლო კონცერტი?»
დრო გადიოდა - ხან მდორე მდინარესავით მიიზლაზნებოდა, ხან მთის ნაკადივით მიისწრაფოდა.
დრო შეუმჩნევლად მაშინ გადიოდა, როდესაც ვუკრავდი.
აღარ ვიყავი პატარა ბიჭი, ბებია მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი.
ბებია ერთხელ საწოლზე ჩამომიჯდა და მომეფერა. მივარცხნიდა თმას და მიყურებდა თვალებში. რაღაცის კითხვას აპირებდა.
- ჩეემი დიდი ბიჭი, - გაუბედავად მომმართა, - არავინ გიყვარს?

კინაღამ გავწითლდი.
- არა, ბებო, რა დროს ჩემი...
- რატომ რა დროს... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ.
იმ წუთს პირველად ვიგრძენი, რომ აღარ ვიყავი ბავშვი.
- ნუგზარ, ვინმე რომ გეყოლება... ხომ გამაცნობ?
- კი, ბებო...
ბებია დაფიქრდა.
- სოლო კონცერტი რომ გექნება, მაშინ გამაცანი, კარგი?
- კარგი, ბებო...
რამდენი ვიფიქრე იმ ღამეს!
მართლაც, აღარ ვიყავი ბავშვი. ვგრძნობდი, რომ აღარ შემეფერებოდა ცელქობა, ვეღარ ჩავიცვამდი მოკლე შარვალს, სათვალესაც აღარ გავტეხდი.
მე მხოლოდ მაშინ ვიყავი ბავშვი, როცა ბებია მეფერებოდა.
მე ისე ხშირად მენატრებოდა მისი ალერსი...
- ბებო, - ვეუბნებოდი, - ჩემო ბებო, მომეფერე, რა!
ბებიაც მეფერებოდა, მეალერსებოდა და მეუბნებოდა:
- ხომ გამაცნობ იმას... შენს სოლო კონცერტზე?
მე ტახტზე ვწევარ და ჭერს ვუყურებ.
დღეს საღამოს კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.
ვღელავ. ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ბოლი ბოლქვებად მიიწევს ზევით. მერე იშლება და იფანტება.
რომ შემეშალოს?!
დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. ვიცი, მეზობლები გვირგვინს მიმზადებენ ჩუმად.
ბევრი ხალხი იქნება. ისიც იქნება...
«იმას ხომ გამაცნობ?» - მახსენდება ბებიას თხოვნა.ის კი იქნება იქ, მაგრამ...
ცრემლი ნაოჭში ყოვნდება, მერე ჩარბის ქვევით, ტუჩის კუთხესთან, მერე ნიკაპთან ჩერდება და მკერდზე მეცემა.
მეორე წვეთი პირველის ნაკვალევზე უფრო სწრაფად მიგორავს და ისიც მკერდზე მეცემა.
ბებო, ჩემო ბებო, როგორ გინდოდა ჩემი სოლო კონცერტის მოსმენა!
თვალებს ვიმშრალებ. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი...
დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ, თავს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ.
ავამღერებ სუფთა, ხავერდოვანი ხმით.
ოთახში დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.
შემეშლება?
არა, არ შემეშლება!
ბებო, შენს ხსოვნას მიუძღვნის ჩემი სათნო კაცი თავის სევდიან სიმღერას..

ტარიელ ჭანტურია

ლექსპრომტი ზეს

ყელი ბროლის.
მკერდი ფიქლის.
თვითონ მიზეზი ხარ
ფიქრის.
შენთვის ჯოჯოხეთში
ჩავალ
(თუმცა მაქნისი ვარ იქ
რის...).
თუ შენს გამო გიჟი არ ვარ
ყოველ შემთხვევაში,
მიქრის...
საზიზღარი ვიღაცა ვარ!
შენ კი ნატეხი ხარ
ჯიგრის!

ან მე მოვალ!
ან შენ მოდი!
დრო, ვერ ხედავ,
როგორ მიჰქრის?..

მანანა მენაბდე

ამბავი პირველი

იყო ერთი კაცი, მაგრამ არავინ იცოდა, რომ იყო. ჰოდა, ცხოვრობდა კაცი ასე, ყველასგან მიტოვებული და მივიწყებული.

მერე მოხუცდა და მოკვდა.

მიაბარეს კაცი მიწას, აბა, ზევით ვინ დატოვებდა.

დადგა გაზაფხული, შემდეგ ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი... საფლავი ეკალ-ბარდმა დაფარა.

დრო გადიოდა...

იყო ერთი კაცი. ყველამ იცოდა, კაცი რომ იყო. ჰოდა, ცხოვრობდა კაცი ასე, ყველგან პატივცემული და დაფასებული.

მერე მოხუცდა და მოკვდა.

კაცის სიკვდილის ამბავი ქვეყანას მოედო პატივით დაკრძალეს. გულზე ძვირფასი ქვა დაადეს, წარწერით:„ აქ ბრძენზე ბრძენი და დიდებული კაცი მარხია”.

დადგა გაზაფხული, შემდეგ ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი...

საფლავი ეკალ-ბარდმა დაფარა...

დრო გადიოდა...

სანამ დედა ცოცხალია...



მერე მუდამ გვიანია,
ვსდიოთ ცაში მისი სულის მტრედებს,
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს.
სიყვარულს ნუ დაამადლით,
თბილი სიტყვა ხშირად გაუბედეთ.
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს,
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს.
მანამდე გვაქვს ფრენის ნიჭი,
ვეჯიბრებით არწივებს და გედებს,
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს.
თუ ბავშვობა გენანებათ,
ნაადრევად შიშობთ არ დაბერდეთ.
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს.
დედის თვალთა კეთილ ზღვაში
სარკესავით ხშირად ჩაიხედეთ,
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს...
თორემ მერე გვიანია
სდიოთ ცაში მისი სულის მტრედებს,
სანამ დედა ცოცხალია,
მოეფერეთ დედებს.

შარლოტა კვანტალიანი

არ დამემდურო

ჩემს ვაჟს ლაშა მარგიშვილს

მცირე ხანს თქვენთან ყოფნა მაცალეთ,
ვუცქირო, როგორ ბრწყინავს მარიხი,
არ დამემდურო, შენ გენაცვალე,
თუ მოხვედი და აღარ დაგიხვდი.
არ დაიმძიმო გული ფიქრით და
არ მოგერიოს დარდის მორევი,
ღამით გადმოვალ ჩემი წიგნიდან
და მძინარს ჩუმად გეამბორები.
მინდა მზის სხივად ცაზე გავება,
ვიგრძნო სამყაროს ყველა შერხევა,
,,მიყვარხარ“ - როგორ მეცოტავება
ეს სიტყვა, როცა შენ შეგეხება.
აქ ყოფნა ერთხანს კიდევ მაცალეთ,
ვუცქირო, როგორ ბრწყინავს მარიხი,
არ დამემდურო, შენ გენაცვალე,
თუ მოხვედი და აღარ დაგიხვდი.

მანანა ჩიტიშვილი

კოტე ყუბანეიშვილი

*****

ფანჯრის რაფაზე იდგა ალოე,
როგორც ოჯახის სიუბრალოე...

*****

როცა სიბნელე ირგვლივ სრულია,
ნიშნავს, რომ ღამის დასასრულია.

მთვარე - ძაღლიშვილი, ისე გაიტურა,
თითქოს კვალში ედგა ღამის ტარანტული.
წასვლა გამიგია, მაგრამ - პოეტურად!
არის მიტოვებაც, მაგრამ - გალანტური!

ბოლო სიგარეტიც ყავას შევუხამე
(სადღაც უნდა მეგდოს კიდევ, ორი ღერი).
წერა შემიძლია მხოლოდ შუაღამით...
სხვა დროს არ მაცლიან, თორემ - ვინ ოხერი.

რაღაც უხეირო სასმელს მიძალებით,
გუშინ საღამოდან ვიკლავ მოშიებას.
დილით მიპოვნიან, ალბათ, მიცვალებულს...
გარეთ ნერვიულად ყეფენ გოშიები.

ქალაქს გადავხედე - თვალი ამარიდა
ისე მედიდურად, მისთვის დანაბერებს...
მთელი დედამწა, ჩემი ფანჯრებიდან,
მოჩანს, დამიჯერე - ბევრი არაფერი...

და ეს ლექსიც, თითქოს, სხვათა შორისია -
ფიქრიც მიძნელდება... იცი? გეფიცები,
ყოფნას და არყოფნას, სადღაც შორისა ვარ,
საფლავს მინაწერი წლების დეფისივით.

გიორგი საჯაია

უპატრონო ძაღლების პირადი ცხოვრება

“დავიწყოთ ისე, როგორც იწყებდნენ რომანტიზმის ეპოქაში.

ბნელი და ქარიანი ღამე იყო. მე ვბრუნდებოდი ერთი გაწელილი წვეულებიდან. თოვდა და ციოდა და რაც ასევე აღნიშვნის ღირსია, არანაირად არ მეთქმოდა მთვრალი. მსუბუქად შეზარხოშებულიც კი არ ვყოფილვარ. ამისდა მიუხედავად, აღმოვჩნდი ფალიაშვილის ქუჩის განთქმული ხეივნის ერთ-ერთ ჭადარზე. სწორედ რომ რუსული სკოლის პირდაპირ.

ყველაფრის თავი და თავი ის არის, რომ თავს დამესხა უპატრონო ძაღლების გუნდი. წარმოიდგინეთ, რომ სულაც არა ვარ განსაკუთრებით გამორჩეული მშიშარა და მხდალი ხომ მით უმეტეს არ გახლავართ. ახლო და შორეულ წარსულში არაერთი ოთხფეხა გამიქცევია, ან დამიმარცხებია, მაგრამ ამგვარად გაბოროტებულ და თამამ ურდოს არასოდეს შევყრივარ. ბრძოლა ჩვენს შორის სამ წუთს მაინც მიმდინარეობდა და რაკიღა შევატყვე, რომ უეჭველად შემჭამდნენ, რადგან ვერც აგური მოვიგდე ხელთ და ვერც სხვა რამ, რითაც შევუტევდი, მოაჯირისაკენ გავწიე და ხეზე ავძვერი.

მე ტოტზე შემოვჯექი. ძაღლები კი არსად წასულან, სწორედ ისე, როგორც მონადირეთა ნაამბობში არ მიდიან ხეზე ამძვრალი კაცის მოდარაჯე მგლები. ნახევარ საათზე მეტ ხანს იდგნენ ხის ძირას და მელოდნენ, მთლად გავიყინე. ამ დროს, ჩემდა ბედად, მანქანამ გამოიარა და განაწყენებული თავდამსხმელები მას გაეკიდნენ. ხიდან ჩამომხტარმა ბარნოვზე ამოვირბინე და მთლად წამხდარი შევვარდი სახლში.

ამის შემდეგ გადავწყვიტე მოხეტიალე, გინდათ მაწანწალა ძაღლების რაობა გამომეკვლია, რაც არცთუ ძნელი საქმე გამოდგა, რა თქმა უნდა, დღის საათებში.

მოქალაქეთა და უპატრონო ძაღლთა ურთიერთობა, რა დასამალია და, მტრულია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ძაღლების მსპობი ორგანიზაციები აღარ აქტიურობენ.

სადღეისოდ, შეიძლება ითქვას, რომ ძაღლებმა შექმნეს გარკვეული სტრუქტურები, მთელი თემები და კომპაქტური დასახლებები. მე პირადად ვაკვირდებოდი იმავე ფალიაშვილის ქუჩის ერთ-ერთი (არა იმ აგრესიულ, ეს სულ სხვა შემადგენლობაა) ბრბოს ცხოვრებას და ამის მაგალითზე ვეცდები წარმოვადგინო ძაღლური ყოფის შინაგანაწესი და ყოფა.

ჯგუფი, რომელშიც ექვსი ძაღლია, ადრიან დილიდან თავს იყრის ქუჩის ნაგავსაყრელთან. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მაწანწალა გუნდი არ ბინადრობს ამ ნაგავსაყრელის შემოგარენში. საინტერესოა ისიც, რომ ქუჩის მეორე მხარეს ორი უპატრონო ძაღლი ცხოვრობს, რომლებიც იქვე, ეზოში ბინადრობენ. უფრო ქვემოთ კი ცხოვრობს კიდევ ერთი მარტოხელა ძაღლი, რომელიც მეზობელ ეზოში მოღვაწეობს. ურთიერთობა ამ სამ ძალას შორის გარკვეულია. ნაგავსაყრელის ექვსი ძაღლი ფლობს ნაგავსაყრელს და მიმდებარე ტერიტორიებს, დაახლოებით ათი მეტრის რადიუსში. თუკი ისინი ნაგავსაყრელთან საქმიანობენ, მოპირდაპირე მხარის ორი ძაღლი სათოფეზე არ ეკარება ნაგავს. თავის მხრივ, არც "გუნდელები" გადადიან მეორე მხარეს. მაგრამ საკმარისია "გუნდმა" ტერიტორია დატოვოს და რაღაც საქმეზე გავიდეს (ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდება და რატომ, ქვემოთ დავინახავთ), ორი ძაღლი (ისინი, მგონი, ძმები არიან) წამსვე ნაგავსაყრელთან გაჩნდება და მუშაობას იწყებს. ქვემოთა ეზოს მარტოხელა ძაღლი კი საერთოდ არ მოდის ნაგავსაყრელთან, მას ძალიან უნდა უჭირდეს ორმაგი კორდონის გარღვევა. სამაგიეროდ, ის თავისი ეზოს სწორუპოვარი ბატონია და ძნელად თუ გაატარებს ვინმეს შეუყეფავად. მისი უბანი ოცი-ოცდახუთი მეტრის სიგრძისაა და საპირისპირო მხარის ტროტუარამდე მიდის. ეს ძაღლი მოქალაქეთა კეთილი გულის წყალობით იკვებება, რადგან ეზოში მდგარი მანქანების დარაჯადაც ვარგა. მისი სიავე სამაგალითოა მამაკაცების მიმართ, სხვა ძაღლებთან ურთიერთობას კი გაურბის.

მაგრამ დავუბრუნდეთ ექვს ძაღლიან გუნდს. მისი წევრები ნაგავსაყრელზე არეულად მოდიან. შეიძლება ექვსივე ერთად გამოცხადდეს, შეიძლება ორ-ორად, ან სამ-სამად დაყოფილები, ან სულაც ცალ-ცალკე… თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაგავსაყრელის ერთობა შემთხვევით კავშირს წარმოადგენს. არავითარ შემთხვევაში. ეს გუნდია და მასში (არ ვიცი, მეცნიერები რამდენად დამეთანხმებიან) ორი მამალი და ოთხი დედალი ძაღლია. ნასაუზმევს, ისინი, ჩვეულებრივ, ისვენებენ, ან ტერიტორიის კონტროლით არიან გართულნი.

შემდეგ ძაღლები მიდიან. შეიძლება ექვსივენი ერთად წავიდნენ, შეიძლება ორად გაიყონ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, სად მიდიან?

მგონი გასაგები უნდა იყოს. ისინი მოკლე გარბენებს ახორციელებენ ახლომახლო ქუჩებზე, ასე ვთქვათ, "არავის მიწებზე". ეს მეტად სასარგებლო საქმე უნდა იყოს მათთვის, რადგან ზედმეტი ლუკმა ყელზე არ დაადგებათ და ახალი გავლენის სფეროც ხელს არ შეუშლით.

თუკი ასეთი გარბენების დროს აქა თუ იქ სხვა ძაღლებიც შემოეყარნენ, გუნდი ჩხუბს ერიდება, ათვალიერებს, უკვირდება, სწავლობს შემხვედრთა ხასიათს, ბრძოლისუნარიანობას, რაოდენობას და ა.შ.

ჩხუბის მოსწრება ყოველთვის შეიძლება. ამ შემთხვევაში ისინი თითქოს არკვევენ, შემთხვევითია თუ არა შეხვედრა "არავის მიწაზე".

ნაგავსაყრელის გუნდს ჰყავს მეთაური, რომელიც ასეთ ამბავში წინ უძღვის თავისიანებს და საერთოდ, ნებისმიერი გადაადგილების დროს მეთაური წინ მიდის. თუ რომელიმე ძაღლმა გადაუსწრო, ეს უკანასკნელი აუცილებლად შეანელებს ნაბიჯს. თუმცა, შეტაკების დროს მეთაური დიდად არ იქაჩება, შეიძლება სხვამაც გადაუსწროს. მის მეთაურობას უფრო წინამავლის მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბელადისა.

შემდეგ ძაღლები ისევ ნაგავსაყრელზე ბრუნდებიან და იქ ატარებენ დროს. შეიძლება წაუძინონ კიდეც, ან გაერთონ ერთმანეთთან ღლაბუცით.

აი, მოსაღამოვებულზე კი ახალი ცხოვრება იწყება. შეიძლება ითქვას, რომ ძაღლები ერთგვარი სამხრეთული დღის მიმდევრები არიან. მთელს შუადღეს მცონარობაში ატარებენ და დილით და საღამოს საქმიანობენ.

ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ძაღლები იქვე, ნაგავსაყრელის ახლოს იძინებენ.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ისინი მოდიან ნაგავსაყრელზე. ისინი მოდიან თემებიდან. ძაღლთა თემები კი ჩვენ მიერ განხილულ ტერიტორიაზე სამია: ზოოპარკის ხევში, კუს ტბის ტყეში და ვაკე-საბურთალოს გზის ახლომდებარე ხევში.

ჩვენი ექვსეული ზოოპარკის ხევში მიდის ღამის გასათევად. გუნდი კვლავ დაცალკევებული მოძრაობს. მან უკვე იცის იმ დროის ამბები. ძაღლური ფოსტა საუცხოოდ მუშაობს. ყეფა ჩვენთვის არის ყეფა, თორემ ძაღლისთვის ინფორმაციაა. ვერაზე დაყეფილი ვაკეში წამოწოლილ ძაღლს ასჯერ უკეთ ესმის, ვიდრე ადამიანს. თანაც ძაღლს ყნოსვა აქვს განვითარებული, რასაც ჩვენ ვერ დავიკვეხნით. ყოველ გუნდს ღირსების საქმედ მიაჩნდა დიდ ყეფა-გნიასსა და ჩხუბში ჩაბმა. საკმარისია მოშორებით ყეფა ატყდეს, რომ გუნდიდან ერთი მაინც გაიქცევა ამბის შესატყობად. დანარჩენები კი შორიახლოს მიძუნძულებენ.

ზოოპარკის ხევის ამბავსაც მოვყვეთ.

ამგვარი თემი სხვა არაფერია გუნდისთვის, თუ არა ღამის გასათევი ადგილი. აქ არ არის როგორღაც ცენტრალიზებული ურთიერთობები. თემში ათი-თორმეტი გუნდი იყრის თავს. ესენი აქ უკვე გუნდს აღარ წარმოადგენენ და ყველა ძაღლი თავისთვისაა. თავისთვის ყოფნა შობს მაწანწალა ძაღლის სრულიად ახალ ტიპს, რომელსაც პირობითად შეიძლება "მარტოხელა გმირებიც" კი ვუწოდოთ. ამ კასტაში შეიძლება ჩაირიცხონ მარტოდ მოარული ძაღლებიც, რომლებიც ერთკაციან გუნდებს წარმოადგენენ და ზოოპარკის ხევში თავის (დილამდე დაშლილ) გუნდს დროებით ჩამოშორებული მოუსვენარი ძაღლებიც. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ არსებობენ მშვიდობიანი და ავი ძაღლები. ამ უკანასკნელთ გარკვეული ბოღმა დაჰგროვებიათ ადამიანთა მიმართ და ისე ებრძვიან მათ, როგორც თავიანთი გამოცდილება ჰკარნახობთ. სწორედ ესენი არიან მარტოხელა მებრძოლები. თემში თითქოს ყველას უნდა ეძინოს, მაგრამ მარტოხელა მებრძოლები ვერ ისვენებენ. როდესაც მშვიდობიანები იძინებენ, მებრძოლები ვერ წყნარდებიან. სწორედ მათგან იქმნებოდა ძაღლთა ღამის ბრბოები. დღის გუნდებისგან განსხვავებით, ეს ერთი ღამის ნაკრებებია ყველაზე აგრესიული, ბრაზიანი და კაციჭამია. ეს იმის ბრალიცაა, რომ ბრბოში ინდივიდუალისტები იყრიან თავს და შინაგანად ყველა ბელადია. ერთმანეთის წამხედურობით ისინი "მაგარ ძაღლობას" თამაშობენ და ჩამორჩენის შიშით შიშის ზარს სცემენ ღამის ქალაქს. გამთენიისას ისინი ხევში ბრუნდებიან და თავთავიანთ გუნდებს უერთდებიან.

აი, მოკლედ ის, რისი გამოკვლევაც მოხერხდა ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების მაგალითზე.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო ღრმად ჩავწდომოდით ძაღლურ ყოფას, მაგრამ ამისთვის მეტი დროა საჭირო და გაზაფხულზე კაცს ძაღლი აღარც გაახსენდება".

აკა მორჩილაძე